“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ ვიორვი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№11 (275)
ოქტომბერი
2021 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამესამე წელი "LITERATURULI MESKHETI"

დიდგორის ბრძოლის 900 წლისთავისთვის!

დიდგორის ბრძოლა

მიხეილ ბახტაძე,
პროფესორი

დასაწყ. იხ. NN8-9

დიდგორის ბრძოლასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხების გაცემა ძალიან ხშირად წყაროებში დაცული ინფორმაციის ინტერპრეტაციაზეა დამოკიდებული. ეს კი, ცხადია, სხვადასხვა მოსაზრებების არსებობას იწვევს. ძნელია მტკიცება, რომ რომელიღაც ერთი თვალსაზრისია ჭეშმარიტი და სხვა ყველა კი მცდარი. ყველა მოსაზრებას თავისი არგუმენტაცია გააჩნია. ჩვენ საკუთარი შეხედულება გვაქვს დიდგორის ბრძოლასთან დაკავშირებით და აქედან გამომდინარე ვახდენთ იმდროინდელი ვითარების აღდგენას.

მუსლიმთა კოალიციის მოძრაობის მარშრუტის დასადგენად რამდენიმე საკითხია გასარკვევი.

პირველი – კოალიციის მონაწილეები ცალ-ცალკე შემოვიდნენ საქართველოში თუ უკვე აქ გაერთიანდნენ, ვთქვათ თრიალეთში? ალ-ფარიკი მართალია ნერს, რომ მუსლიმთა სარდლები სამი მიმართულებიდან იწყებენ საქართველოსკენ მოძრაობას (ილ-ღაზი ყარსიდან, თოღრული – განძიდან, თულან არსლან კუზიანი – დვინიდან), მაგრამ მისი შემდგომი თხრობიდან თითქოს ისე ჩანს, რომ ყველანი საქართველოს საზღვრებში შემოსვლამდე თუ არა, შემოსვლიდან მალევე გაერთიანდნენ. ჩვენი აზრით, მუსლიმთა კოალიცია თრიალეთში უკვე გაერთიანებული ძალებით მოვიდა.

მეორე – სად გაერთიანდა მუსლიმთა ლაშქარი? ალ-ფარიკის მიხედვით ილ-ღაზი მოვიდა ყარსში და იქიდან გამოემართა საქართველოსკენ. ყარსში ალბათ მართლაც შეჩერდა ილ-ღაზი, მაგრამ აქედან პირდაპირ საქართველოსკენ გამოემართა თუ არა ეს დანამდვილებით უცნობია. აქ ერთი საკითხი უნდა დავაზუსტოთ – რა ერჩივნა ილ-ღაზსს, თავიდანვე შემოსულიყო საქართველოს საზღვრებში (ვთქვათ ყარსიდან ჯავახეთის მიმართულებით ემოძრავა, როგორც ს.მარგიშვილი ვარაუდობს) და ქართველთა მუდმივი თავდასხმის საფრთხის ქვეშ ყოფილიყო თუ რაც შეიძლება გვიან გადმოელახა საქართველოს საზღვარი? ჩვენ მეორე მოსაზრება უფრო მისაღებად მიგვაჩნია. ილ-ღაზის მიზანია მიაღწიოს თბილისამდე და თუ გზაში საშუალება ექნება გამართოს გენერალური ბრძოლა. ჩვენი აზრით, ილ-ღაზი ყარსიდან ანისში მივიდოდა (გასათვალისწინებელია, რომ კოალიციაში სომხეთის ამირებიც იყვნენ) და მცირე ხანს იქ შეჩერდებოდა კიდეც. შესაძლოა ამას ისიც ადასტურებდეს, რომ მარცხის შემდეგ კოალიციის მონაწილეთა ერთმა ნაწილმა ანისის მიმართულებით გაქცევა არჩია, ანუ ისევ ნაცნობი გზით წავიდნენ. სად იქნებოდა ყველაზე ოპტიმალური ანისიდან, დვინიდან და განძიდან მომავალი მუსლიმური ჯარების გაერთიანება? ალბათ, სადღაც, ქვემო ქართლში. ანისიდან და დვინიდან წამოსული ძალები, სავარაუდოდ, უფრო ადრე გაერთიანდნენ და შემდეგ შეუერთდა მათ განძიდან გამოსული ლაშქარი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ კოალიცია სადღაც დმანისთან უნდა გაერთიანებულიყო. ისიც გასათვალისწინებელია, რომ დმანისი მუსლიმთა ხელში იყო და დმანელი ვაჭრები, ტფილელ და განძელ ვაჭრებთან ერთად იყვნენ წასული დახმარების სათხოვნელად სულთანთან.

მესამე – ქვემო ქართლიდან, დმანისიდან რა მიმართულებით შეეძლო ემოძრავა ილ-ღაზს თბილისისკენ? *„თბილისიდან ქვემო ქართლისკენ გზები კოჟრისა და კარის კარით გადიოდა. პირველი კოჟრის კარიდან ტაბახმელამდის თბილისი მანგლისის გზას მიყვებოდა ... მეორე გზა თბილისიდან სამხრეთისკენ მარნეულს განშტოდებოდა ... ორივე ეს გზა ძველთაგანვე მჭიდროდ დასახლებულ კულტურულ რაიონებს აკავშირებდა. ისინი დიდი ეკონომიკური მნიშვნელობისანი იყვნენ. ამავე დროს საქართველო ამ გზებით თავის სამხრეთის მეზობლებს უკავშირდებოდა და ამდენადვე ხსენებულ მარშრუტებს სამინაოს გვერდით საგარეო მნიშვნელობაც ჰქონდათ.“* თუმცა ნ.ბერძენიშვილი იქვე აღნიშნავდა, რომ *„ორივე გზა ვიწრო და გრძელი ხეობებით მიდიოდა და მათი ჩაკეტვა საჭიროების დროს დიდ სიძნელეს შეამთხვევდა შემოსევის მსურველს. მოხერხებულ ადგილებზე მაგარი ციხეები უპირველესად ამ მიზნებს ემსახურებოდა“.* მიუხედავად ნ.ბერძენიშვილის შენიშვნისა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ დმანისი-ნახიდური-მარნეული და შემდეგ თბილისი, ის მიმართულება იყო, რომლითაც, წესით, ილ-ღაზს უნდა ემოძრავა, მაგრამ ის თრიალეთში „აღმოჩნდა“.

მეოთხე – თუ მუსლიმთა კოალიცია ქვემო ქართლში გაერთიანდა, რატომ მივიდა კოალიციური ლაშქარი „თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა“? შესაძლოა ორი მოსაზრების გამოთქმა: *პირველი* – ილ-ღაზს თავიდანვე ურჩიეს მანგლის-დიდგორის გზით წამოსვლა; *მეორე* – მუსლიმთა სარდალს სხვა გზა შესთავაზეს, მაგრამ ქართველებმა აიძულს თრიალეთის გზა აერჩია. ცხადია, ზუსტი და ცალსახა პასუხის გაცემა შეუძლებელია. ვფიქრობთ, რომ ქართველებმა სხვა არჩევანი არ დაუტოვეს. ჩვენი აზრით, საქართველოში სამხრეთ საზღვრიდან შემოსულ მუსლიმთა კოალიციას დავით აღმაშენებელმა აიძულა სწორედ ისეთი მარშრუტი აერჩია, რომელიც ქართველთა მეფეს აწყობდა. დავითმა ილ-ღაზი აიძულა ბრძოლა იქ მიეღო, სადაც ეს ქართველთათვის იყო სასურველი და არა მუსლიმთათვის. სწორედ ამაშია დავით აღმაშენებლის სამხედრო გენია. მეფის ისტორიკოსი საკმაოდ ზოგად ცნობებს იძლევა დიდგორის ბრძოლის შესახებ, თუმცა აღნიშნავს, *„ვითარ წინა განაწყო სპა მისი, და თუ ვითარ ყოველი საქმე შუენიერად და ღონიერად ყო, რაბამ რამე წყნარად, უშფოთველად და გამოცდილებით და ყოვლად ბრძნად განაგო, და თუ ვითარ თჳსნი სპანი დაიცვნა უვნებელად, ამათ ყოველთათჳს არა ჩუენი, არამედ ვგონებ, რომელ ყოველთა ბრძენთა სოფლისათა ენა ვერ შემძლებელ არს მითხრობად ზედა-მინევნით ყოველსავე“.* ვფიქრობთ, ამ სიტყვებში არა მხოლოდ უშუალოდ 12 აგვისტოს მომხდარი ბრძოლა უნდა იგულისხმებოდეს, არამედ წინა პერიოდიც, როდესაც დავით მეფემ თავის გეგმის მიხედვით წარმართა ყოველივე და ილ-ღაზი ფაქტობრივად გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო.

დიდგორში ბრძოლის გამართვა ილ-ღაზისთვის იძულებითი ნაბიჯი იყო. **ქ.ჩხატარაიშვილი** აღნიშნავს, *„საომარი ადგილის შერჩევითა და ბრძოლის თავისი გეგმის მტრისთვის თავზე მოხვევით დავით აღმაშენებელმა თავისი ბრწყინვალე სამხედრო ნიჭი გამოავლინა ... დიდგორთან მოსულ თურქებს ისეთი გამოცდილი სარდალი ჰყავდათ, რომ მისი შეცდომის ახსნა მხოლოდ ორი რამით შეიძლება: 1) ილ-ღაზი იძულებული იყო ბრძოლაში ჩაბმა ეჩქარა, რათა შორიდან მოყვანილი, ერთმანეთთან ორგანულად დაუკავშირებელი სამხედრო რაზმების ერთიანობა შეენარჩუნებინა და მათი ბრძოლისუნარიანობა დროულად გამოეყენებინა; 2) ილ-ღაზის სიფხიზლე მოადუნა თრიალეთში თავმოყრილი ჯარების სიმრავლემ, რასაც ერთხმად აღნიშნავენ იმდროინდელი უცხოელი და ქართველი მემატიანეები.“*

ივ.შაიშმელაშვილი თვლიდა, *„თურქ-სელჩუკთა მიერ წამოწყებული ეს დიდი ლაშქრობა მათ სასარგებლოდ მხოლოდ მაშინ დასრულდებოდა, როცა ქართულ არმიას პირისპირ ბრძოლაში დაამარცხებდნენ ... მათ ამჟამადაც შეეძლოთ ძველებურად აელოთ თავი და პირდაპირ შედგომოდნენ ქართული პროვინციების რბევა-ოხრებას, რაც არც ისე დიდი ხნის წინათ მათი ველური ბრბოების აღფრთოვანების უმთავრეს წყაროსა და ერთგვარ გასართობსაც კი წარმოადგენდა ... ჯერ გზიდან უნდა ჩამოეშორებინათ ქართული სახელმწიფოს მკლავმაგარი გუშაგი – დავით აღმაშენებლის არმია, ე.ი. არმიას აუცილებლად უნდა შებმოდნენ და გაეტეხათ მისი ძლიერება. ამიტომ გარკვეული აზრით მომავალი ბრძოლის ასპარეზის არჩევანი ქართველთა ხელში იყო. სადაც არ უნდა დაჯგუფებულიყო იგი, თურქები იქ უნდა შებმოდნენ მას ... დიდგორის ბრძოლა, რომ სახელდობრ დიდგორში მოხდა, ამის უპირველეს მიზეზად დავით მეფის გადაწყვეტილება უნდა ჩაითვალოს.“*

რა თქმა უნდა, დიდგორში ბრძოლის გამართვა დავით აღმაშენებლის გადაწყვეტილება იყო, მაგრამ ბოლომდე ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ სადაც არ უნდა დაჯგუფებულიყო ქართველთა ჯარი, თურქები იქ უნდა შებმოდნენ მას. ილ-ღაზი, ცხადია, ქართველებთან გენერალური ბრძოლის გამართვას გეგმავდა, მაგრამ ნებისმიერ ადგილზე გამართავდა კი? ასეთი გამოცდილი სარდალი თავისი ნებით ისეთ ადგილს, რომელიც მას არ აწყობდა და დიდგორი სავარაუდოდ არ აწყობდა, არ აირჩევდა. საჭირო იყო მისი იძულება, რათა ბრძოლა იქ მიეღო, სადაც არ სურდა.

როგორ აიძულა ქართველთა უპირველესმა მეფემ გამოცდილი ილ-ღაზი დაეშვა შეცდომა (შეცდომებიც კი), ცხადია, ზუსტად უცნობია. შეგვიძლია მხოლოდ მოსაზრება გამოვთქვათ. აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ რამდენიმე მუსლიმი ისტორიკოსის ცნობა, რომ თავდაპირველად ქართველები დამარცხდნენ და გაიქცნენ. მუსლიმები მათ დაედევნენ, ხოლო შემდეგ, მოულოდნელად მობრუნებულმა ქართველებმა გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვეს.

ქემალ ად-დინის თანახმად, *„სელჯუკთა მეფემ ტოღრულმა ქართველებისა და მათი მეფის დავითის წინააღმდეგ დახმარება სთხოვა ილ-ღაზი ორთოკის ძეს, რომელიც გაემართა მისკენ მრავალრიცხოვანი არმიით. მას თან ახლდა დუბეის სადაკას ძე. მუსულმანებმა, რომლებმაც თავდაპირველად დაამარცხეს ისინი, მისდიეს მტერს ბილიკებით და მოექცნენ მათ ზურგში მთის გადასასვლელზე. შემდეგ ქართველები გზაზე შემოუბრუნდნენ მათ და დაამარცხეს მუსულმანები. მისდევდნენ რა, ქართველები ხოცავდნენ და ტყვედ იგდებდნენ მათ. დუბეისი, რომლისგანაც წართმეულის ღირებულება შეადგენდა 300 000 დინარს, ნაჯმ ად-დინ ილ-ღაზისთან ერთად გაემართა მარდინში უვნებლად“.* მართებულად შენიშნავს **გურამ კუტალია,** რომ ეს დავით მეფის სამხედრო ხრიკი იყო და მოწინააღმდეგის შეტყუებას ითვალისწინებდა.

ქართველთა თავდაპირველი მარცხისა და შემდგომ მათი გამარჯვების შესახებ მოგვითხრობს **იბნ ალ-კალანისთანიც**. ამ უკანასკნელის მიხედვით, ქართველები თავს დაესხნენ თოღრულს, რომელმაც დახმარება სთხოვა ილ-ღაზსა და დუბაისს. ქართველთა ჯარი შეშინებული გაიქცა და მუსლიმები მათ დაედევნენ. მაგრამ, მოულოდნელად, ქართველები მობრუნდენ, მუსლიმებს შეუტიეს და დაამარცხეს. „В этом году также сообщалось о появлении грузин из Дурубы и их нападении на территории князя Тогрыла. Последний попросил помощи у эмира Наджм аль-Дина иль-Гази, сына Ортука, правителя Алеппо, а также у туркмен и эмира Дубайс бен Садак бен Мазияда. Они откликнулись на его просьбу и вышли к нему на помощь с большим войском. Армия грузин в панике бежала, а мусульмане преследовали их и осадили в Дурубе, но тут грузины атаковали мусульман, обратили их в бегство и убили многих. После этого они пошли на город Тифлис, с боем взяли его и казнили его жителей.“

პირველ შეტაკებაში ქართველთა მარცხსა და უკუქცევაზე საუბრობს **იბნ ალ-ადიმიც.**

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაზე დაყრდნობით, მუსლიმთა კოალიციასთან გამართულ ორ ბრძოლაზე საუბრობს **ს.კაკაბაძე.** თუმცა მეცნიერი თვლის, რომ პირველი ბრძოლაც ქართველთა გამარჯვებით დასრულდა. *„ყოფილა ორი ომი – პირველი ომი, სადაც აგრეთვე თურქებმა ვერ შეძლეს „წინადადგომა“ და დამარცხდნენ და მეორე კიდევ ის, სადაც თვითონ დავითი ხელმძღვანელობდა „წინგაწყობას“ მთელი სამი საათის მანძილზე, თურქების საბოლოო დამარცხებამდე. პირველი ომი იგულისხმება დიდგორის ქედზე დავითის ხელმძღვანელობით, ძეგვის ხევისა და დიღმის წყლის სათავეებს შუა (სანკეპელას ზეგანზე) და მეორე კიდევ – მთავარი ომი – მის აღმოსავლეთით, ათიოდე კილომეტრზე, დიდგორწინაზე, დავითისავე განკარგულებით.“*

ვფიქრობთ, რომ მოწინააღმდეგის საქართველოს სამხრეთ საზღვრებთან გამოჩენისთანავე ანვდიდნენ მსტოვრები დავით მეფეს საჭირო ცნობებს. მეფემ გამოიცნო ილ-ღაზის ჩანაფიქრი, თბილისის სანახებში მოსვლა და მას საკუთარი გეგმა დაუპირისპირა. მეფემ არაპირდაპირი მოქმედების სტრა-

გაგრძელება მე-2 გვ. ▶

ლიდგურის ბრძოლა

◀ დასაწყისი გვ. 1

ტეგია აირჩია, *„არაპირდაპირი მოქმედების გზით მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის მოშლა, მისი მდგრადობის დარღვევა და ომის წარმოებისათვის მისი ნების პარალიზება.“* გეგმის მთავარი იდეა მტრის ისეთ ადგილზე შეტყუება იყო, სადაც ის თავის რიცხობრივ უპირატესობას ვერ გამოიყენებდა. თავიდანვე შეიძლება ითქვას, რომ მეფემ ეს ჩანაფიქრი ბრწყინვალედ შეასრულა. *„დავითმა გააკეთა ის, რასაც ლიდელ-ჰარტი ელასტიურ ქმედებას უწოდებს: აიძულა მოწინააღმდეგე გაეკეთებინა ისეთი მოძრაობა, რომელზეც დაიჭირა და მისი ძალისხმევა მის წინააღმდეგვე გამოიყენა.“*

გ.ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ *„ჩანს დავითმა გამოიყენა ის ტაქტიკური ხერხი, რომელიც საერთოდ უცხო არ იყო აღმოსავლეთის სამხედრო ხელოვნებაში, დამარცხების იმიტაციით გაათამამა მტერი და შეიტყუა იქ, სადაც გენერალური ბრძოლის გამართვა მისთვის უფრო ხელსაყრელი იყო.“*

მოწინააღმდეგის შეტყუებაზე საუბრობს **ს. მარგიშვილიც**. თუმცა მეცნიერის აზრით ეს „მარცხი“ და შემდეგ შეტყუება მიზნად ისახავდა მტრის დიდგორის ქედისკენ გატყუებას და ჩასაფრებაში შეყვანას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დმანისის სანახებში მოხდა პირველი შეტაკება მუსლიმთა კოალიციურ ლაშქართან და „მარცხის“ გათამაშება. აქედან მოხდა მათი შეტყუება თრიალეთის მიმართულებით. ანუ სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. გასათვალისწინებელია ერთი მომენტიც, ილ-ღაზი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაედევნებოდა „დამარცხებულ და გაქცეულ“ ქართულ მხედრობას თუ დარწმუნდებობდა, რომ მის წინააღმდეგ იბრძოდა ქართველთა არა უმნიშვნელო ნაწილი, არამედ დავითის ჯარის უმეტესობა. დავით აღმაშენებელს ისე უნდა წარმოეჩინა ვითარება, თითქოს დმანისის სანახებში ბრძოლის გამართვა მისი უმთავრესი გადაწყვეტილება იყო. ამიტომ ვფიქრობთ, შესაძლოა დმანისთან ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო საბრძოლველად შეკრებილი საქართველოს მხედრობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა. პირობითად 10-15 ათასმა კაცმა. ვვარაუდობთ, რომ ქართველები დმანისის სანახებში მყოფ მოწინააღმდეგეს 11 აგვისტოს დილით დაესხნენ თავს. ბრძოლა, ალბათ, გაგრძელდა საათი, საათნახევარი და შემდეგ დათქმულ ნიშანზე ქართველებმა ბრძოლის ველი მიატოვეს და ჩრდილოეთით, თრიალეთის ქედის მიმართულებით დაიხიეს უკან. გარკვეული ხნის შემდეგ (რა დროც დაჭირდებოდა მუსლიმთა კოალიციას სამარშოდ მოსამზადებლად) იმავე მიმართულებით დაიძრნენ მუსმლიმებიც. იმავე დღის საღამოსთვის, მუსლიმთა კოალიციური ლაშქრის მეწინავე ნაწილი, ილ-ღაზისა და დუბეისის სარდლობით დიდგორის მიდამოებში დაბანაკდა. ჯარის დანარჩენი ნაწილი კი – მანგლისამდე არსებულ ტერიტორიაზე.

ნ.ბერძენიშვილის, ივ.ჯავახიშვილისა და **ს.ჯანაშიას** ავტორობით დაწერილ საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში არსებული ერთი მოსაზრებაა – *„მტრის ჯარმა სწრაფად იარა. მოულოდნელად შემოიჭრა საქართველოში, მხარმარჯვნივ დატოვა თბილისი.“* თბილისის მხარმარჯვნივ დატოვება შეიძლება იმ დროის შემთხვევებში თუ მოძრაობდა: აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ (ილ-ღაზის შემთხვევაში ეს გამორიცხულია), სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისკენ და სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ. წარმოუდგენელია თბილისის მხარმარჯვნივ დატოვება დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ ან სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მოძრაობისას (ასე იმოძრავებდა კოალიციური ლაშქარი თუ ის ჯავახეთიდან შემოვიდა თრიალეთში).

ილ-ღაზი გამოცდილი სარდალი იყო და მას ნებისმიერი მიმართულებით ვერ შეიტყუებდა (ვთქვათ დასავლეთ საქართველოს მიმართულებით). მუსლიმთა კოალიციის შესატყუებლად საჭირო იყო ისეთი ადგილის შერჩევა, რომელიც ილ-ღაზის თავდაპირველ ჩანაფიქრს ძალიან არ შეცვლიდა და, ამავე დროს, ეჭვიც არ გაუჩენდა ქართველთა სამხედრო ხრიკთან დაკავშირებით. თრიალეთი სწორედ ასეთი ადგილი იყო. კიდევ ერთხელ მოვიტანთ ნ.ბერძენიშვილის მოსაზრებას, რომ „ქუეყანა თრიალეთისანი“ საქართველოს ისტორიულ წარსულში განსაკუთრებული მნიშვნელობის პროვინცია იყო. გეოგრაფიული ცენტრი, უმაღლესი ზეგანი, ოთხივე მხრით წყალგამყოფი ტერიტორია მის გარშემო მდებარე ქვეყნებს (ზემო, შიდა და ქვემო ქართლს) ბუნებრივად ჰყოფდა და აკავშირებდა“. თრიალეთიდან შეიძლებოდა შეტევა თბილისი მიმართულებითაც და შიდა ქართლის მიმართულებითაც. ამას მეგზურები ალბათ ეტყოდნენ მუსლიმთა სარდალს. თუ ილ-ღაზი თრიალეთისკენ (მანგლის-დიდგორისკენ) უკანდახეულ ქართველთა მხედრობას დაეწეოდა და დაამარცხებდა მას გზა ხსნილი ექნებოდა ორივე მხარეს. მტრის შეტყუება ფრიად მნიშვნელოვან სტრატეგიულ რეგიონში ძალიან თამამი, თუმცა ამავე დროს, სახიფათო გადაწყვეტილება იყო და, რაც მთავარია, ალბათ, სრულიად მოულოდნელი ილ-ღაზისთვის.

იყო სავარაუდოდ მეორე მომენტიც. დმანისიდან თბილისისკენ მიმავალი გზა გადაკეტილი ქონდა ქართულ მხედრობას. ისიც გავიხსენოთ, რომ სამშვილდე და რუსთავი ქართველებს ეჰყრათ უკვე კარგა ხანია. ილ-ღაზს სურდა საქართველოს ჯართან დიდი ბრძოლის გამართვა, მაგრამ, ალბათ, არა ქართველთა მიერ წინასწარ გამზადებულ და გამაგრებულ პოზიციებზე.

შესაძლოა გვეფიქრა, რომ თრიალეთისკენ დაძვრის შემდეგ ეგებ ილ-ღაზმა თავდაპირველ გეგმაში ცვლილება შეეტანა და შიდა ქართლის დაკავება სცადა, როგორც ამას ქართველ მეცნიერთა ნაწილი თვლის. მით უმეტეს თრიალეთიდან შიდა ქართლში რამდენიმე გზა გადადიოდა. „თრიალეთის მთებიდან გამოსული მდინარეები: ძამა, ტანა, თეძამი, კავთურა და ნიჩბისის წყალი მათი შენაკადებით ქმნიდნენ ხეობებს, რომლებიც შიდა ქართლს ბუნებრივად აკავშირებდნენ თორ-თრიალეთ-მანგლისთან. თორ-გუჯარეთი, თრიალეთი და მანგლისი კი გზასაყარი ქვეყნები იყვნენ, საიდანაც არაერთი მარშრუტი შიდა ქართლში შედიოდა სწორედ ამ ხეობებით ... თრიალეთ-მანგლისიდან შიდა ქართლის თეძმის ხეობით მომავალი გზები სამი სხვადასხვა პუნქტიდან გამოდიოდა: თეძმის სათავიდან, კლდეკარიდან და მანგლისიდან. პირველი მათგანი გამოივლიდა ჭვარებს, დედაციხეს, ხევღრმის მონასტერს, რკონის მონასტერს და რკონის ციხის რაიონში შემოდიოდა. მეორე მარშრუტი კლდეკარიდან სალომია-სამაჭალოზე ჩამოვლით, რკონის ციხესვე ჩამოდიოდა. მანგლისიდან მესამე მიმართულება „გოსტიბის

დიდგორის ველი

თავს“ გამოივლიდა და იმავე რკონის ციხის რაიონში აღმოჩნდებოდა. ხეობიდან გასავალს ამ გზას „მაღალსა კლდესა ზედა, მაგარი, მდინარესა ზედა თეძმისასა“ ზენადრის ციხე უდარაჯებდა. აქედან გზა ხსნილი იყო დოესის მინდვრით გორისკენ (ქვახვრელი-უფლისციხისკენ) ან კიდევ ახალქალაქით თბილისისკენ. მეორე გზა რკონის რაიონიდან, ეს „ქვენადრის გზა“ იყო. ის მდინარე თეძმის მარჯვენა ნაპირზე იკვ-ჩაჩუბეთი-ქვენადრისზე გამოივლიდა და ერთაწმინდა-ახალქალაქში შემოდიოდა. თეძმის მარცხენა ნაპირით ფიცეს-საორბისზე მესამე გზა მიდიოდა ... შიდა ქართლიდან მანგლისისკენ გზები რამდენიმე მიმართულებით მიდიოდა. 1. ახალქალაქ-ცხირეთზე 2. მდინარე კავთურას ხეობით (თვალადი-წინარეხი-ბოტბისიან თვალადი-წინარეხი-ქვათახევი-ციხე კავთა). ნიჩბისის ხევით (ოხერა-ნიჩბისი-ციხე კავთა) და ძეგვის ხევით (ძეგვი-ხეკორძი-კოშკი). ციხე კავთა, როგორც ჩანს, კონტროლს უწევდა მანგლისიდან შიდა ქართლში მიმავალ მთავარ გზებს ნიჩბისზე და თვალადზე.“ თუმცა ჩვენი აზრით, ილ-ღაზს საკუთარი თავდაპირველი განზრახვა არ შეუცვლია და შიდა ქართლისკენ არ მიდიოდა. კუალიციური ლაშქრის მოძრაობის მარშრუტი მანგლისიდან დიდგორისკენ, სავარაუდოდ, იმაზე მიუთითებს, რომ ილ-ღაზს ჯარი თბილისისკენ მოყავდა. მას თრიალეთიდან შიდა ქართლში გადასვლა რომ ნდომებოდა, ეს მანგლისთან უნდა გაეკეთებინა და თეძმის თუ არა კავთურას ან ნიჩბისისწყლის ხეობის მიმართულებით უნდა ემოძრავა, ანუ ჩრდილოეთისკენ წასულიყო და არა აშკარად აღმოსავლეთისკენ.

დავით აღმაშენებლის მემატიანე წერს, *„მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა.“* როგორ უნდა გავიგოთ მისი სიტყვები? ივ.შაიშმელაშვილი თვლიდა რომ საუბარია სამ პუნქტზე: თრიალეთზე, მანგლისზე და დიდგორზე. *„თურქების ლაშქარი ამ სამ რაიონში უნდა დაჯგუფებულიყო, სამივე ეს გეოგრაფიული მიკრორაიონი ძველთაგანვე ერთიანი დიდი სტრატეგიული მიმართულების ამოსავალ პოზიციას წარმოადგენდა“.* ვფიქრობთ, მემატიანეს სიტყვები შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: მტერი მოვიდა თრიალეთში, კუნკრეტულად კი მანგლისსა და დიდგორში. მანგლისიცა და დიდგორიც თრიალეთის „ქვეყანაში“ მდებარეობს.

ჩვენი აზრით, მუსლიმთა კოალიციის მოსვლა თრიალეთში მოხდა ილ-ღაზის თავდაპირველი გეგმის სანინააღმდეგოდ. ის დავითმა იძულებული გახადა თრიალეთში მისულიყო. აქედან ილ-ღაზს ნამდვილად შეეძლო შიდა ქართლში გადასვლა. რა მოხდებოდა თუ ის შიდა ქართლში გადავიდა? ააოხრებდა საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე ნაყოფიერ და ეკონომიკურად დაწინაურებულ მხარეს. დაიღუპებოდა მოსახლეობის ნაწილი და ზოგიც ტყვედ ჩავარდებოდა. თუმცა შეგვიძლია დავუშვათ, რომ მოსახლეობის უმთავრესი ნაწილი გახიზვნასა და დამალვას მოასწრებდა. გადაჭრიდა საკომუნიკაციო გზებს. ცხადია, ეს სერიოზული ზარალი იქნებოდა საქართველოს სამეფოსთვის, მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც ვერ შეძლებდა თავისი მთავარი ამოცანის შესრულებას, თბილისისათვის საფრთხის მოხსნას. დავითს შეეძლო ბრძოლა არც მიეღო. რამდენი ხანი იქნებოდა ილ-ღაზი შიდა ქართლში? ადრე თუ გვიან მოუწევდა თბილისისკენ წამოსვლა. უბრალოდ, დროს დაკარგავდა. ამიტომ ვფიქრობთ, რომ თრიალეთში მყოფმა ილ-ღაზმა უარი თქვა შიდა ქართლში გადასვლაზე და პირდაპირ თბილისისკენ დაიძრა. მუსლიმთა კოალიცია დასავლეთიდან უახლოვდებოდა თბილისს, ანუ მოძრაობდა მანგლისიდან თბილისისკენ, დიდგორის გავლით.

რა თქმა უნდა, შესაძლებელია დავითის ისტორიკოსის სიტყვების – „მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა“ – განსხვავებული ინტერპრეტაცია: შესაძლოა მტერი ერთდროულად მოვიდა მანგლისში და დიდგორში. თუმცა ჩვენ ვთვლით, რომ ამ შემთხვევაში მემატიანე გულისხმობს კოალიციური ლაშქრის ყოფნას მანგლისიდან დიდგორამდე არსებულ ტერიტორიაზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თბილისისკენ მოძრაობისას ილ-ღაზმა ბანაკი მანგლისა და დიდგორს შორის დასცა. ცხადია 65-75-ათასიანი ლაშქარი დაბანაკებისას დაახლოებით 15-20 კილომეტრზე გაიწელებოდა (დაახლოებით ეს მანძილი სწორედ მანგლისსა დიდგორს შორის). ლაშქრის ავანგარდი კი, რომელსაც თავად ილ-ღაზი სარდლობდა დიდგორში იდგა.

რაც შეეხება ქართველთა ლაშქარს, ის მანგლის-დიდგორის სანახებში შიდა ქართლიდან უნდა ასულიყო მდინარეების: ნიჩბისიწყლის, კავთურასა და, შესაძლოა, თეძამის ხეობების გავლით. ნიჩბისიდან თითქმის პირდაპირ დიდგორზე გავიდოდნენ, ხოლო კავთურადან – მანგლისზე.

4. დიდგორის ბრძოლის მიმდინარეობა

ჩვენი აზრით, მუსლიმთა კოალიციური ლაშქარი 1121 წლის 12 აგვისტოს გამთენიისთვის დაბანაკებული იყო თრიალეთში, მანგლისსა და დიდგორს შორის. მისი ავანგარდი, ილ-ღაზის სარდლობით, დიდგორში იდგა. მოწინააღმდეგე თბილისიდან ნახევარი დღის სავალზე იმყოფებოდა.

პირველ რიგში ვნახოთ თუ რა ცნობებია დაცული წყაროებში თავად ბრძოლის მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ძალიან ზოგადად აღწერს ბრძოლას, *„შეკრბეს ესე ყოველნი, შეითქენეს და შეიმტკიცნეს სიმრავლითა, ვითარცა ქვიშაჲ ზღუაჲ, რომელთა ვერ იტევდა ქუეყანაჲ და აგჳტოსსა ათორმეტსა მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, და თჳთ ფერჴთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა. ხოლო მეფემან დავით, უშიშმან და ყოვლად უძრავმან გულითა, თუ ვითარ წინა-განაწყო სპაჲ თჳსი და თუ ვითარ ყოველი საქმე შუენიერად და ღონიერად ყო, რაჲამ რაამე წყნარად და უშფოთველად, გამოცდილებით და ყოვლად ბრძნად განაგო, და თუ ვითარ ზეგარდამოთა შეწევნითა პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და სივლტოლად მიდრიკნა იგინი, და ვითარითა ღონითა მოსრნა სახელოვანნი იგი მბრძოლნი არაბეთისანი, ანუ მეოტთა ვითარ სიმარჯჳთ და განკრძალულად სდევნა და მოსრნა, რომლითა აღივსნეს ველნი, მთანი და ღელენი მძორებითა და თუ ვითარ თჳსნი სპანი დაიცვნა უვნებლად – ამათ ყოველთათჳს არა ჩუენდა, არამედ ვგონებ, ვითარმედ ყოვლისა სოფლისა ბრძენთა ვერ შესაძლებელ არს მითხრობად ზედა-მიწევნით ყოველსავე, და გამომეტყველთა ენაჲ იმხილოს ჯეროვნად გამოწჳულილვითა თხრობასა ვერ მიცემად. რამეთუ ჴელი მაღალისაჲ შეეწეოდა და ძალი ზეგარდამოჲ ჰფარვიდა მას; და წმიდაჲ მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინა-უძღოდა მას და მკლავითა თჳსითა მოსვრიდა ზედა-მონევნულთა უსჯულოთა მათ წარმართთა, რომელი თჳთ იგი უსჯულონი და უმეცარნი მოღმართ აღიარებდეს და მოგჳთხრობდეს სასწაულსა ამას მთავარმოწამისა გიორგისს.“* ძალიან საინტერესოა თუ რით არის განპირობებული მემატიანის ასეთი სიტყვაძუნწობა. არგუმენტი, რომ ისტორიკოსი ბრძოლის ველზე არ იმყოფებოდა, საკმარისად არ მიგვაჩნია. თუმცა რაც არის იქიდანაც შესაძლებელია საჭირო ინფორმაციის მიღება. პირველ რიგში ეს ეხება გეოგრაფიული არეალის დაკონკრეტებას – „მანგლისს და დიდგორთა“. ეს ჩვენი აზრით, გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ბრძოლა თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე და მის მიმდებარე ვაკეზე უნდა გამართულიყო, როგორც ამას ს.კაკაბაძე ვარაუდობდა. ისიც ირკვევა, რომ ერთი ბრძოლა გაიმართა – *„პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და სივლტოლად მიდრიკნა იგინი.“*

ძალიან საინტერესოა „ისტორიანი და აზმანში“ დაცული ცნობა, *„იქმნა თამარისა შეწყალება, რომლისათჳს დროშა იგი ხალიფასი, რომელი მოიღო შალვა ახალციხელმან, წარგზავნა ესე მონასტერსა დიდსა წინაშე ხახულისა ღმრთისმშობელისასა, მსგავსად მამის პაპისა მათისა: მაშინ მას წარეგზავნა მოძრცკლი ქედისაგან დორბეზე სადაყის ძისა, ჟამთა დიდგორთა გაქცევისათა მანიაკი ოქროსა, შემკული თუალებითა ძჳრფასისათა“.* ამ ფრაგმენტიდან აშკარად ჩანს, რომ დუბეის სადაყის ძე კონკრეტულად დიდგორში იბრძოდა. **ალ-ჯაუზის მიხედვით,** დუბაისთან ერთად იყო ილ-ღაზიც. ამიტომ ვფიქრობთ, რომ კოალიციური ლაშქრის მთავარსარდალი, ილ-ღაზიც დიდგორში უნდა ყოფილიყო.

გოტიე შემდეგნაირად აღწერს ბრძოლას, *„მეფე დავით, წმინდა ჯვრის ნიშნით აღჭურვილი, ორმოცი ათასი მიდიელი და ქრისტიანი მეომრით, მოაწყო რაზმები, ერთ ხეობაში დადგა, ორ მთათა შუა დაბურულ ტყეში, საიდანაც ხმები იყო, რომ მტრები შეტევას უპირებდნენ. დადგა და წარმოსთქვა ესრეთ – ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძოლებთ, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ, და ერთს რამეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისათვის და სარგებლობისათვის კარგი იქნება, ესაა, რომ ჩვენ ყველამ, ხელთა ცისადმი აღპყრობით ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე უფრო მოვკვდებით, ვიდრე გავიქცევით და რომ არ შეგვეძლოს გაქცევა, რომც მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შემოვსულვართ, ხეთა ხშირ ხორგებით შეკრთ, და მტკიცე გულით მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მისატანად, სასტიკად შეუტიოთ“. – ამასთან მეფის, ამ ჭეშმარიტისა და სრულის ქრისტიანის, აზრი მოწონებული, მიღებული და შესრულებულიც ყოფილა. არც დაუგვიანდა: მეფემ თითოეული რაზმი დაარიგა, ხოლო ორასი ფრანგის მეომარი რომ ჰყავდა, მოწინავეში დააყენა, პირველ დაკრათა მისაცემად, მყის ხეობის მეორე ნაწილში ანუ ფრონტზე, ჯარისკაცთა ძლიერი ყიჟინით, ცხენთა და აბჯართა უკიდურესი ხმაურით, ურჯულოთა ზარ-დამცემი ბაირაღებით ჩნდებიან და ამავე დროს, სხვადასხვა გვარ საკრავთა ხმაურით მთა და ბარი ბანს აძლევენ. ხოლო მეფე დავით ამდენ სიმხეცეს მოთმინებით განიცდის და თავისიანებს მამაცი სულით ამხნევებს და ანუგეშებს. უმტკიცებს, რომ ურჯულოთა გამაყეპული სიმრავლე, ძალითა და შეწევნითა წმიდა ჯვარისა, ნაკლების ჯარით და სწრაფად დაითრგუნება. ამის შემდეგ, დაინახეს რა ურიცხვი ბრბო, ქრისტეს მსახურნი, ამაყის სულით გატაცებულნი უაღრესი ყიჟინით თავს დაესხნენ მათ, ხოლო უფლის ძალით პირველივე შეტაკებისთანავე ბრმავდებიან და ფრანგთა მიერ გაქცეულნი იფანტებიან. ღვთის თითის ჭნევით, ბორგტნი ქრისტეს მსახურთა და მიდიელთა მახვილის მსხვერპლად იქცევიან. გავიგეთ ამ ომის მნახველთაგან, რომ სამი დღის მანძილზე გაქცეულთა ოთხასი ათასი მოისრნეს მეფის მახვილით. თვით ელღაზი, თავში დაჭრილი, დაჰკარგა რა თითქმის ყოველივე ღვთის ნებით, მცირეოდენ ლტოლვილით, უიარაღო და დამშეული, არაბთა მეფის წინამძღოლობით სახლში დაბრუნდა, ნახევრად მკვდარი.“* გოტიეს ცნობაში მთავარი რამდენიმე მომენტია: ქართველებმა უკანდასახევი გზა თავადვე ჩახერგეს; შეტევა სელჩუკებმა დაიწყეს; ქართველები დაბანაკებული იყვნენ ორ მთას შუა არსებულ, ტყით დაბურულ ხეობაში; ფრანგებმა სერიოზული როლი ითამაშეს მუსლიმთა დამარცხებაში; ქართველები სამი დღე დევნიდნენ მტერს; ილ-ღაზი დაიჭრა და არაბთა მეფესთან ერთად გაიქცა. ანტიოქიის კანცლერის ცნობიდან გამოდის, რომ ბრძოლა ხეობაშივე გაიმართა. არაბთა მეფე ეს დუბაისია. კიდევ ერთხელ დასტურდება ილ-ღაზისა და დუბაისის ერთად ყოფნა. მათ ტანდემზე საუბრობს **იბნ ალ-კალანისიც.**

მათეოს ურჰაეცი წერს, *„აგვისტოს თვის 13-ს ღვთისმშობლის მარხვის ხუთშაბათს მოხდა სასტიკი ბრძოლა ორ მთას შორის. ლაშქართა საშინელი ყიჟინს მთები ბანს აძლევდნენ. მაშინ ღვთის წყალობამ უწია ქართველთა ლაშქარს და ბრძოლათა შენივთებისას თურქთა მთელი ლაშქარი სირბილით უკუაქცია. იმ დღეს მოხდა თურქთა ჯარების სასტიკი და საშინელი ხოცვა-ულეტა. მთათა ხევები და მდინარეები გვამებით აივსო და მთების ყოველი ქარაფნი დაფარა. თურქთა ლაშქარში დახოცილთა რიცხვი 400.000-ს უდრიდა, ხელთ იგდეს 30.000 კაცი, დაცემულთა ცხენებითა და იარაღით კი მთელი მინდვრების პირი დაიფარა. რვა დღის განმავლობაში ხაფხახთა და ქართველთა ჯარები ქალაქ ანის საზღვრებამდე სდევნიდნენ მათ.“* აქაც რამდენიმე საინტერესო დეტალია გასათვალისწინებელი: ბრძოლა მოხდა ორ მთას შორის, თუმცა არაა აუცილებელი რომ მაინცდამაინც ხეობა იგულისხმებოდეს (გოტიე როგორც წერს); არ ჩანს, ვინ დაიწყო ბრძოლა; გაქცეულთა ერთმა ნაწილმა გეზი ანისისკენ აიღო. რატომ ანისისკენ? ეგებ იმიტომ, რომ უკვე ნაცნობი გზით წასვლა ამჯობინეს, ანუ საქართველოსკენაც ანისის გავლით მოვიდნენ.

ალ-ჯაუზის თანახმად, *„შეხვედრის ადგილი დათქმული იყო თბილისის კართან. შეჩერდა იგი, ნეჯმ ად-დინ ილ-ღაზი თბილისიდან უფრო ნაკლებ, ვიდრე ნახევარი დღის სავალ გზაზე. მხარეების ლაშქართაგან არც ერთი არ მოსულიყო. ჩამოვიდა დავით მეფე მთიდან დიდი ლაშქრით, დაამარცხა ისინი და ხელთ იგდო მათი ქონება და მრავალი ნივთი. ნეჯმ ად-დინი და დუბაისი გაიქცნენ.“* აქ საუბარია ქართველთა ლაშქრის მთიდან ჩამოსვლაზე, ანუ მოწინააღმდეგე უფრო ქვევით იყო, ვიდრე ქართველები. რაც მთავარია, საუბარია მხოლოდ ილ-ღაზსა და დუბაისზე. სხვები ბრძოლაში არ ყოფილან. ვფიქრობთ, მართებული იყო **ო.ცქიტიშვილის** შენიშვნა, რომ ამ შემთხვევაში მემატიანე შეგნებულად ტყუის. ალ-ჯაუზი ცდილობს დააკნინოს ქართველთა გამარჯვება და ახსნა მოუძებნოს მუსლიმთა მარცხს.

ალ-ფარიკი ასე აღწერს ბრძოლის წინ არსებულ ვითარებას და თავად ბრძოლას, „Царь Давуд, царь грузин и абхазов, сильно теснил его (Тифлис). Тогда они (жители) отправились к султану Тогрулу, который находился в Джанзе и Арране. И он им дал наместника (шихне). Все же притеснение их со стороны царя грузин не прекратилось. Тогда они сошлись на том, чтобы платить ему ежегодно десять тысяч динаров и чтобы у них находился наместник только с десятью всадниками. Так они продолжали оставаться в течение некоторого времени. Затем они отправили Наджм

→

ის ჩემთვის ყველაფერი იყო

თამარ ტივაძე

გათენდა. რადიოში ჩემი მაღვიძარა ჟღერს...

სანოლი ცარიელია...

ისევ „გამასწრო!"

წამოვხტი, ოთახიდან გამოვვარდი, კარი გავაღე და... მზემ შემიჭყიტინა. მთელი სხეული გამითბო. ზღურბლიც კი ცხელი იყო. მესიამოვნა. გადავიფიქრესავით, რასაც ვაპირებდი, მარა... მოიცა, არ ვაპატიებ, რომ დამაგდო!

ფეხშიშველა გავრბივარ ეზოში, სახლის უკან შიშველი გორაა, პირს მისკენ ვასწორებ, ერთი ჩასუნთქვა და...

– ბაბოოო!!!! – ვყვირივარ გაფხრეწამდე... იქამდე, სანამ ჩემი ხმა ადრესატამდე არ მიაღწევს, თანაც, ისე ხმამაღლა, ძარღვები მებერება, სუნთქვა მიჭირს. ცრემლები მახრჩობს. თავს ვისჯი. თავბრუ მესხმის, სადაცაა გული შემიწუხდება. მაგრამ მე რა, ბაბომ იდარდოს, რომ დამტოვა და არ წამიყვანა!

მალევე, სადღაც შორიდან, გორის იქით, ხმა ისმის:

– მევედი, მევედიიი!

– სად წახვედიიი?!

– მოსკოვში! საანა წავიდოდი! – რბილი ბრაზი ეპარება ხმაში.

– მე რატო არ წამიყვანეე?!..

ასე იწყებოდა ყოველთვის ჩემი დილა სოფელში.

მთელი სოფელი, ბაღჩა-ბოსტანი, წყარო და მთა, ბაბოს კალთაზე გამობმულს მქონდა შემოვლილი. უჩემობას როგორ ვაპატიებდი!..

– მაშიკო, ამ ბოვშისგან შენ დატირება აღარ გეკუთვნის. იმდენი გიტირა, ქე შეასრულა შენი ანდერძი! იცინოდა ხოლმე მეზობელი ჟენია ბებია.

იმერელი ქალი იყო ბებიაჩემი, შავი, ეშხშეპარული. თეთრი, ცისფერთვალა, ულამაზესი პაპა მყავდა. ნამდვილი მესხი. თავიდანვე აუკრძალა თურმე, შენი იმერული წიკები ჩემს შვილებზე და შვილიშვილებზე არ დახარჯოო! ჰოდა, ასე გახდა იმერელი ბებია – ბაბო. უკეთეს შემთხვევაში – „ბაბუკო".

კილო მაინც ვერ დათმო.

8 შვილი გაუჩინა პაპას. ორი პატარა, ჯერ კიდევ 3-4 წლისები, საბძელში დაეწვა. ასანთზე უთამაშიათ. იმის შემდეგ ისე იყვნენ დაშინებულები, სრულწლოვნებამდე არცერთ შვილიშვილს ასანთი არ აგვინთია.

მე რომ დავიბადე, იმ ღამეს მამიდა გამითხოვდა. ბაბო არ პატიობდა თურმე, ეს რავა გაბედაო! ყველაზე ნაბოლარა რომ გათხოვდა, მე დავიტირე. არადა, წამიყვანა და სპეციალურად გამაცნო საქმრო: ეს ბიჭი მომწონს, მამიდა, უნდა გავყვეო. ეს „გავყვე" რომ ჩემგან წასვლას ნიშნავდა, მერე მივხვდი – გზიდან ხელი რომ დამიქნია.

– არ იტირო, მამიდა, მივდივარო!

ვიტირე კი არა, ღრიალით გავსკდი! ჩემი – „არ გათხოვდე, მამიდაა!!!" – მთელ სოფელს ესმოდა.

ჰოდა, ეს ნაბოლარა მამიდა სწორედ იმერლების რძალი გახდა. თუ წინამორბედები აქაურების ყაიდაზე გაათხოვა, ამას, უბრალოდ, როგორც აქაურებმა იციან, ვერ გაატანდა – იმერული სიამაყე არ მისცემდა ამის უფლებას.

,,შესარიგებლად" ამოსულ ხონელებს სულ კუდით ქვა ასროლინა!

პირველად ვნახე ბებიაჩემი ასეთი და არ მეჯერა.

სადღაც პაპას დავეთანხმე, იმერული წიკების აკრძალვაში.

გამოიტანა სკამი, დადგა ეზოში და დაელოდა მოყვრების მოახლოებას. როგორც კი იმ დისტანციაზე მოვიდნენ, საიდანაც ხმას გაიგონებდნენ, მოიძრო „მისდღემჩი" საგულდაგულოდ შეკრული თავშალი; თეთრმა, ქათქათა თმამ იხუვლა და ამდენი წლის მზესუნახავი დალალები მძიმედ დაეყარა შავ, მზემოკიდებულ სახეს. ღაწვები, მხრები და ტორსი დაუფარა. თმები კი იყო ულამაზესი, მაგრამ ბაბო იყო საშინელი სანახავი.

უცებ თმიდან ხელები გამოეყო, ბრჭყალებად გაიშალა და იკივლა: – ტიტუუუუუ!!!.. – და ჰაერი მძიმედ შეირხა.

სახეს იგლეჯდა ბაბო, ტორტმანებდა და კიოდა: – „ეს რა გამიკეთე! ეს რავა გაპატიო! არ დამენახო, არააა!!!"

დაკრძალვას გავდა ის დღე.

შეწუხდნენ მოსულები, თითქოს დაიბნენ, მგონი, გაქცევაც დააპირეს.

მოგვიანებით, როცა მშვიდობით დამთავრდა გაპარული პატარძლის „დატირება", ვკითხე. – რატომ ქენი ასე-თქო?

– „რავა, მაგათ ვათქმეინებდი, ქალი ისე გამომატანესო?!"

წესი ყოფილა, ეგენი ჩასკდნენ. მე კი ბაბო, როგორც ავსული, სამი ღამე ისე მესიზმრებოდა.

მართლა „სასტაული" ქალი იყო ბაბო!

როცა ვტიროდი, ბაბო და პაპა ქსოვას მასწავლიდნენ, ამბებს მიყვებოდნენ, სულს მიბერავდნენ და გულში მიხუტებდნენ.

პაპამ სამჯერ დაკლა „სამხთო", სამჯერ აიყვანა დიდი ოჯახი შორეთში, – ძაან ტირის ბავშვი და წუხდება, იქნებ შეეწიოსო.

ერთი ღამე პაპას გოგო ვიყავი, ერთი ღამე – ბაბოსი.

ახლად დამაჭრებულ ღვინოს მე და ბაბო მარანში ერთად ვწრუპავდით. მერე ჭუკივით ვთვრებოდი და ბაბო ცივ საფენებს მადებდა შუბლზე: – ბოვშია, არაფერი უჭირს, მაჭარი სასარგებლოაო.

პრასის სუნი ქონდა ჩემ ბაბოს, ყველაზე გემრიელი სუნი ამ ქვეყანაზე.

სწორედ ისეთი ბებია იყო „იმერულ ესკიზებში" რომაა. გამომაცილებდა უბნის ბოლომდე და მომაძახებდა: – „ჭკუით იარე, ჭკუით!" და სანამ თვალს არ მივეფარებოდი, იჯდა და მიცქერდა. მთელი სამყარო იყო ის ჩემთვის.

ჩვენი ოჯახი ის ადგილი იყო, სადაც ყველას მოუხაროდა. სადაც კერა თბილი იყო და ჭერი მაღალი, სადაც სიტყვა თბილად ითქმოდა და დარდი ზიარი იყო, სადაც გაკიცხულს სიყვარულით და მოფერებით ურჩევდნენ შეცდომებს – ჩვენია, ჭკუას ისწავლისო. სადაც ბიცოლას მაზლიშვილები „მაშიკოდედას" ეძახდნენ. უფროსს სიტყვა ეთქმოდა და უმცროსს ხათრი ქონდა. სადაც ოჯახის შვილიშვილები ყველას საზრუნავი ვიყავით. უთვალავი მამიდა და ბიძია მყავდა, თითქმის თანატოლი მამიდაშვილები. დღემდე ყველა მიყვარს.

ბებიებისა და ბაბუების სითბო არ მოგაკლოთ უფალმა!

ჩემი ანო მასწავლებელი

სკოლაში რომ შემიყვანეს, სამი კლასის პროგრამა უკვე ვიცოდი. უფროსი ძმა მყავდა და შემომესწავლა. მთელი სამი წელი ვფიქრობდი, ამდენი დებილი ერთად როგორ შეყარეს-მეთქი ერთ კლასში.

არასოდეს ასწავლოთ ბავშვებს სასკოლო პროგრამა!

მახსოვს, ჩემი მასწავლებლის ჩაცმულობა და მანერები უფრო მაინტერესებდა, ვიდრე გაკვეთილები. ბოლოს იმაზე ვმუშაობდი, ჩემი ხელწერა დამეხვეწა და როგორმე დამრიგებლის ხელწერისთვის მიმემგვანებინა. ამან ისეთი კარგი შედეგი გამოიღო, ყველა ჩემი საყვარელი მასწავლებლის კალიგრაფიის გამოსახვა, მათ შორის დედაჩემისაც, ადვილად შემეძლო. კარგი გამყალბებელი დადგა ჩემგან.

ერთხელ რუსულის მასწავლებელმა ზედიზედ სამი ორიანი დამიწერა, – კლასელი ბიჭის გალახვისათვის ჩემი მხარე არ დაიჭირა და მერე მასზე გაბრაზებული აღარ ვსწავლობდი. დამავალა, – დედაშენს ხელი მოაწერინე, ნახოს, რა შვილი ჰყავსო. აი, გამოვიყენე ჩემი „мастерство" და ხელმოწერილი დღიური ავაფარე სახეზე. ერთი კი შეიცხადა, დააკვირდა, მაგრამ „არავითარი განსხვავება", დამნებდა. წლის ბოლოს გაიგო და შემინდო.

ძალიან გემოვნებით იცვამდა ჩემი პირველი მასწავლებელი. ნამდვილი მასწავლებელი იყო სოფიო მასწავლებელი. სადა, დახვეწილი, მკაცრი და ყურადღებიანი. ვერაფერს გამოაპარებდი. მარტო მასთან ვმარცხდებოდი.

ჩემი კლასი ნარჩევი ბავშვებისაგან შედგებოდა: – ექიმის, პოლიციელის, ჩინოვნიკების შვილებისაგან. მე „ბლატით" შინაური ვიყავი – პაპას უარი ვერ უთხრა. მოგვიანებით ჩემი და ამავე მიზეზით აიყვანა, – გამიმართლებსო, მარა... ნაბოლარას სწავლა ნაკლებად გამოსდიოდა.

სოფიო მასწავლებელს ცოტა უცნაურად ვუყვარდი. საერთოდ, კლასში ყოველთვის უკან ვიჯექი, მაგრამ თუ დასწრება იყო, ღია გაკვეთილი ან სურათის გადაღება, წინ მსვამდა – ბრდღვიალებო.

როგორც ეძახიან, დაწყებითები რომ დავამთავრე და სართულითაც მაღლა გადავინაცვლე, თითქოს თავისუფლება ვიგრძენი. აქამდე უცნობი სახეების შესწავლა დავიწყე. რატომაა ეს მასწავლებელი ასე დაბალი? ან, ამ მასწავლებელს რატომ აქვს ასეთი კაცური ხმა? რატომ უქაფდება მასწავლებელს პირი საუბრისას? რამხელა მკერდი აქვს ან, რა ჯანდაბა აცვია და სხვ...

ისე გავერთე, სწავლა დამავიწყდა. მეოთხედი მთავრდება და ორიანებითაა ჩემი გრაფა გაძეძგილი. დაიბარეს სოფიო მასწავლებელი, ხომ არ გეშლება და ოროსანი ხუთოსნად შემოგვასაღეო?

მაშინ გავიგე, მართლა, როგორ ვუყვარდი ჩემს პირველ მასწავლებელს. ბოლო ამოსუნთქვამდე მიცავდა. – თქვენ გეშლებათ, ბატონო, ამისთანა ნიჭის პატრონი იშვიათია. არადა, ოთხი წლის მანძილზე ერთი თბილი სიტყვა არ უთქვამს ჩემთვის. სულ ზედამხედველის როლში იყო. ჩემს გამო მართლა გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ პოზიციას არც ის თმობს და არც მისი კოლეგები.

ჩემი მშობლები დაიბარეს, თქვენ ხომ არაფერი დამართეთ ამ ბავშვს, ასე რამ გამოცვალაო?

მახსოვს, დიდხანს, ძალიან დიდხანს საუბრობდნენ სკოლის უკანა ეზოში დედაჩემი და მშობლიური ენის მასწავლებელი, შემდგომში ჩემი დიდი მოძღვარი, ანო მასწავლებელი. ვუყურებდი და ინტერესით ვკვდებოდი.

სახლში დაბრუნებულ დედას ფეხზე გახდაც არ ვაცალე, მივვარდი, – მითხარი, ანომ რა გითხრა-მეთქი?

დედამ გაიღიმა, გაიცინა და...

– არაფერი, შენზე მითხრა, ულამაზესი და უნიჭიერესი გოგოა. ძალიან ლამაზად წერს და ყვება გაკვეთილებსო.

ყურებს არ ვუჯერებდი!

– ეეე... ნუ მატყუებ! მართალი თქვი, რა გითხრა?!

– ასე მითხრა, ლიტერატურულ საღამოს ვაკეთებთ მაღალკლასელებთან და შენი შვილი, როგორც ლექსების ყველაზე კარგი მთქმელი, უნდა გამოვიყვანოო.

– რა ლექსებისა, ქალო, ერთი ლექსიც არ მომიყოლია ბოლომდე გაკვეთილზე! – ვთქვი და ენაზე ვიკბინე, მაგრამ ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს.

– კარგის მეტი მაგ ქალს არაფერი უთქვამს შენზე და, რა ვიცი! – თავიდან მომიშორა დედამ.

მთელი ღამე ვერ დავიძინე. რა ვარიანტი არ მოვიგონე, რა არ გავიხსენე, მაგრამ ანო მასწავლებლის ქებადიდება ვერ აგხსენი. დედაჩემიც მთელ დღეს მაგის ქებაში ატარებდა: – რა კარგი ქალია, როგორი კულტურული, როგორ უყვარხარო...

მეორე დღეს მზერით ვხვრეტდი ანოს სახეს, რაღაცის აღმოჩენას ვცდილობდი. ან მე რით შევაყვარე თავი, ან რა აქვს ამ ქალს ისეთი, დედაჩემი რომ მოხიბლა-მეთქი.

ანო მასწავლებელმა კითხვა დამისვა, მეც ვიცოდი და მაშინვე ვუპასუხე. მერე კიდევ ჩამრთო სხვა აქტივობაში. ისიც მეადვილა და ძალიან შემაქო!..

ასე გაგრძელდა დიდხანს და, მას შემდეგ დავიწყე სწავლა ისე, რომ, შატალოზე გაქცეულები, ანო მასწავლებლის გაკვეთილზე ვბრუნდებოდით და მერე ისევ ვიპარებოდით. ის კი არ ლაპარაკობდა, ჭეშმარიტებას ღაღადებდა. ის იყო სული ჩემი სულთაგანი და ხორცი ჩემი ხორცთაგანი.

მოგვიანებით, უკვე მაღალკლასებში, როცა ანოს აქეთ ვაქებდი და ვადიდებდი, დედამ კარტი გახსნა და მისთვის ანო მასწავლებლის ნათქვამი მითხრა, – იქნებ შენ შვილს არ მოვწონვარ, ვერ მგუობს და უჭირს ჩემი გაგება. ან ხმა არ მოსწონს, ან სახე. ვცადოთ და ჩემი თავი მოვაწონოთო. შენ მხოლოდ კარგი ელაპარაკე ჩემზე და გადაეცი, რომ მეც ძალიან მომწონსო.

არც ლამაზი იყო და არც კალმით ნახატი ჩემი ანო მასწავლებელი, მაგრამ დიდი ადამიანი იყო, დიდი ღირსების მატარებელი და დღეს თუკი რამეა ჩემში კარგი და სათნო, მისი დამსახურებაა.

ერთხანს ცხოვრების მძიმე პერიოდი მქონდა, ფსიქოლოგიურად განადგურებული ვიყავი და ანო მასწავლებელს ვესტუმრე. არაფერი უკითხავს... ძველ დროს ვიხსენებდით. უცებ ავტირდი. სახეც არ შეცვლია, უბრალოდ მითხრა:

– რა გატირებს, საკუთარ უნიათობას დასტირი? ცრემლი მოიწმინდე და წელში გასწორდი! ყველაფერი გაქვს იმისთვის, რომ იბრძოლო. ცხოვრებას თვალი გაუსწორო და არ დაემალო...

და მე გავიმართე!

აი, ასეთი პედაგოგები იყვნენ ჩემ დროს. არც უფროსები და არც მენტორები. უბრალოდ, ბავშვების ზრუნვაზე ორიენტირებული ნამდვილი პედაგოგები!

[illegible]

ад-дину приглашение (прибыть). Вместе с ним выступил и Сейф ад-дауля Дубейс ибн Садака ал-Мазйади, который был мужем дочери Наджм ад-дина Гохар-хатун. Соединились же они еще в том году. И вот он выступил с войсками. Его сопровождали кази Элм-ад-дин ибн ал-Джабр(?) и его сын Абу-л-фатх, в настоящее время кази Мардина и везир Таммам ибн Абдун. Так они прибыли в Арзан ар-Рум. Там кази и везир поссорились. А он (Наджм. ад-дин) с войсками направился в Карс и вступил (туда) через Триялис (Триалети). Сосредоточились большие войска: султан Тогрул пришел со стороны Джанзы, а Фахр ад-дин Туган Арслан Горбатый — со стороны Дувина. И двигались войска до тех пор, пока между ними и Тифлисом не остались горы на полдня пути. Царь Давуд выступил с западной стороны, а его сын Димитрий обрушился на них с вершины горы, когда те находились у подножья ее. И там они сошлись в крупном бою. Было убито неисчислимое количество мусульман, потерпело поражение и было взято в плен несметное число мусульман и арабов. Они (грузины) захватили у них богатую добычу и до наших дней у них (встречаются) остатки этих пленных. Я сам видел это (поле) битвы, когда в пятьсот сорок восьмом году приехал в Тифлис. Я направился по заданию даря абхазов Димитрия во внутреннюю часть (области) Тифлиса. Мы шли по территории, составляющей семьдесят с лишним дней пути. (Он направился) в Албан и в сторону Дербенда. За несколько дней мы достигли обширного луга у одной горы. У подножья этой горы расположена высокая крепость. И вот царь остановился там. Царь абхазов сказал мне: „Такой-то, в этой крепости (находится) один пленный из взятых у Ильгази. Как только настанет завтрашний день, поднимись к нему, взгляни на него и спроси, откуда он". И вот я решился на это. С наступлением ночи царь получил сообщение о том, что некоторые области восстали против него. Тогда тотчас затрубили в рог похода, и царь двинулся, И бог не определил, чтобы мы встретились с ним. Когда мусульмане были разгромлены, Наджм ад-дин отправился с Дубейсом во главе двадцати всадников и вернулся в (свою) страну. И все, кто был с ним, ушли, а он вернулся в Майяфарикин". ამ ცნობაში ბევრი რამეა საინტერესო: კოალიციის მონაწილეები გაჩერდნენ თბილისიდან ნახევარი დღის სავალზე. ეს ემთხვევა ალ-ჯაუზის ცნობას; ირკვევა ქართველთა შეტევის მიმართულება. დავითმა აღმოსავლეთიდან დაარტყა მუსლიმთა კოალიციას, ხოლო დემეტრე მთიდან დაეშვა. წყაროდან ისე ჩანს, რომ ბრძოლა მთის ძირში გაიმართა; დასტურდება ილ-ღაზისა და დუბაისის ერთად მოქმედება.

იბნ ალ-ასირი მოგვითხრობს, რომ „В этом, 514 [1120], году произошло вторжение курджов, они же хазары, в мусульманские области. До этого они (часто) вторгались, но во дни Меликшаха и до конца царствования султана Мухаммеда они воздерживались. Однако с наступлением этого года они выступили вместе с кипчаками и другими соседними народами. Сговорившись путем переписки, живущие в соседстве с их (грузин) страной эмиры, собрались. Между ними были Иль-Гази, Дубайс ибн-Садака, находившийся (тогда у него), и царь Тогрул, сын Мухаммеда, и его атабек Кен-тугди. Тогрулу, принадлежали (тогда) две области Арран и Нахичевань до Арраса (Аракса). Собравшись, они направились к курджам и подошли к Тифлису. На стороне мусульман было много войск, приблизительно тридцать тысяч. Встретившись, обе армии выстроились, чтобы сразиться. Выступили вперед двести человек кипчаков. Мусульмане подумали, что они хотят сдаться по аману и поэтому не приняли необходимых мер предосторожности, смешались с ними и были встречены стрелами. Ряды мусульман пришли в расстройство и поэтому те, которые стояли дальше, вообразив, что началось бегство, обратились (также) в бегство. Войска бежали друг за другом и, из-за сильной давки, сшибали друг друга, вследствие чего многие из них были убиты. Неверующие преследовали их на расстоянии десяти фарсахов, убивая их и забирая в плен. Большинство их (мусульманских войск) было перебито и было взято в плен четыре тысячи человек, но царь Тогрул, Иль-Гази и Дубайс спаслись. Курджи снова ограбили мусульманские страны и осадили Тифлис". ძალიან საინტერესო და სხვა მემატიანეთაგან განსხვავებული ცნობებია დაცული იბნ ალ-ასირთან. არაბი ქრონისტის თანახმად, ბრძოლა მოხდა თბილისთან. როდესაც მონინააღმდეგეები საბრძოლველად განეწყვნენ, წინ გამოვიდა (საქართველოს ლაშქრის მხრიდან) 200 ყივჩაღი. მუსლიმებმა იფიქრეს, გვნებდებიანო, ყურადღება არ მიაქციეს და მათთან აირივნენ, ანუ თავის საბრძოლო წყობაში შეუშვეს. ამის მერე ყივჩაღებმა მათ ისრები დაუშინეს. მუსლიმთა რიგები აირია, უკანა რიგებში მყოფებმა იფიქრეს, რომ მეწინავეები დამარცხდნენ და გამოიქცნენ ბრძოლიდან, ამიტომ თავადაც გაიქცნენ. დაიწყო საშინელი ჭყლეტა და მრავალი დაიღუპა. ქართველები 10 ფარსანგის მანძილზე მისდევდნენ გაქცეულებს. მუსლიმთაგან უმეტესობა დაიღუპა და 4.000 ტყვედ ჩავარდა. ილ-ღაზი, დუბაისი და თოღრული გადარჩნენ.

დასასრული იქნება

ელეონორა გვარამაძე

სიზმარი

რისთვის მოვრბოდი და რას ვემგვანე,
საით გამრიყა წუთისოფელმა,
ჩავებღაუჭე საკუთარ „მეს“ და
მან უნაპიროდ სადღაც გამრიყა!
იყო სილურჯის უფერო გამა
ცა ცას არ ჰგვანდა
დაყურსდა სული –
ექოდ მესმოდა „ჰოე და ანი“,
სადღაც ცის კიდეს გამოჰკიდაო
უჟამოდ ნოემ ის კიდობანი...
მოვკარი ყური...
ჩამქრალი სულთქმით
თვალის შევლება ცის სინამდვილეს არ დაგიდევდა...
მე შევერცხლილი მოვრბოდი ისევ
და მეგონა, რომ დემონი მსდევდა...
იქნებ მართლაც და!
რაღაც იმგვარად ჩამობღოტილი,
სიქველით ნაძერწ სიჩუმეს ვითომ
განკითხვის გრძელი კუდ მარათონით
არონინებდა ვით სეფე ქალი...
და ის სიმძიმეც, ყოფით სიფხიზლის უსაზღვრობაში
კიდებდა ნარეცხს, შავი ლაქებით,
ზმანება ჩემი აფერადებდა სხვის ყოფით კაცთ დღეს...
ისევ გავრბოდი, სიმძიმის ყოფნით
მე შემესიტყვა დილა უცისკროდ,
შენ რომ ჩამორჩი ცხადში უმეცრად,
გინდა აქედან შენ გაიწიო?
რისთვის და რატომ?
დასჯილთა უტყვი დრო გაიყინა,
იცოდე, სადღაც, სივრცეში შენი, მისი და იმ სხვის
ცხოვრებაც გაქრა ათინათებად!
და კვლავ მირბიხარ?..
გამომეღვიძა
და სუნთქვა ჩემი სხეულზე თითქოს მარწუხებს ჰგვანდა...
სიფხიზლემ მიწყივ მე მიწილადა გზა სინანულის
„ბოდიში“ – რისთვის...
„გთხოვთ მაპატიოთ“ - დამაგვიანდა!

მამუკა ოჩიაური

ფუფალას სევდა

ვითომ შეგეშვა, უმისობამ დარდებს უფარა
ყოფა - ცხოვრება დაგიმშვიდა, გაგიიოლა,
ახლა სადა ხარ, სადა ჭკნები, ნეტავ ფუფალა,
დაუბერები დროს რად შერჩა შენი შიოლა.

რად არ მოვიდა, შეგეშველა, წლები ტვირთია,
მძიმე ტვირთია სატარებლად, ბარგი მძიმე და,
იქნებ შიოლაც მოგონილი ტკბილი მითია
და გულდათუთქულს მითი ჩუმად გისამძიმრებდა.

ცივდება ნელა ძლივს გამთბარი გული ეული,
დაუსრულებლად ელოდები სახემცინარე,
შიოლა ვითომ შენი ვნებით გადარეული,
შორს დარჩა, როგორც დაშრეტილი ცელქი
მდინარე.

გულზე მოგეშვა, უმისობამ დარდებს უფარა,
მარტო დარჩენილს არსებობა გაგიიოლა,
კენტად დამრჩალი დროს შემორჩი დღემდე
ფუფალა,
დაუბერები ოცნებებში დარჩა შიოლა.

წამოდი, ქალავ!

შენ ქადისკვერი, გატყობ, არ იცი,
ალპურ მდელოზე ნამიც ვერ ნახე,
წამოდი, ქალავ, როშკას დაგიცდი,
არხოტის ზეცამ ნახოს ეგ სახე.

ხევსური გქვია, მაგრამ ბარული
კილო გაქვს, კილო, სახის იერიც,
მინდა გაჩვენო კუთხე - მამული,
რომ იყო ლაღი და ბედნიერი.

გულანთებულნი „წელთგზას" დავლახავთ,
ქარებმა კალთა აქ დაარხიეს,
შენი ლამაზი თვალებით ნახავ,
ჩემს დაბადების ადგილს ახიელს.

ნახავ ნისლები მთას როგორ ინდობს,
მდინარე ქვებზე რომ ტოვებს დამღას,
ერთად გავივლით დიყიან მინდორს
და გვიმასპინძლებს სოფელი ამღა.

შენ აღმაფრენას გულში ვერ მალავ,
მოგაჯადოვა ცამ და მიწამა,
ნუ გაიოცებ, დღეიდან ქალავ,
ხალხმა არხოტის რძლად თუ გიწამა!

როგორ მინდოდა...

ჩემთვის გამქრალა შენი გზა - კვალი
და ოცნებებიც უკვე ბერწია,
როგორ მინდოდა ბავშვის აკვანი,
ჩვენ ორს ერთ ჭერქვეშ ერთად გვერწია.

ერთად გვეზარდა ჩვენი პატარა,
ლამაზი ბავშვი, ლაღი მზის სწორი,
ბედმა სხვადასხვა გზებით გვატარა,
არ გახდი არა, შენ ჩემი ცოლი.

ბედი გავუშვი, ხელი ვერ ვტაცე,
ბევრს ვნანობ ახლა, იმ ბავშვურ წლებზე,
იქნება ჯობდა, რომ მომეტაცე
და ჩვენ ორს გვევლო არხოტის მთებზე.

იქნება ჯობდა, შენი დალალი,
მაგ მხრებზე ნაბლის ტევრად მდგარიყო,
და ეგ ღიმილი მუდამ ალალი,
ჩემთვის არასდროს არ გამქრალიყო.

შენ გაგიხსენებ ამ ლექსის წერით,
წლებს გახსენების არ გასდის ვადა,
მართლა არ მესმის იმ ბედისწერის,
ერთმანეთისთვის რომ არ დაგვბადა.

იქნებ შენც ნანობ დამრჩალი კენტად,
თვალებს დააკლდა ცეცხლი და ვნება,
ვყოფილიყავით ორივე ერთად,
იყავი ურჩი და უკარება.

მართლა არ ვიცი შენი გზა - კვალი,
შენზე ფიქრები ისევ ბერწია,
როგორ მინდოდა ბავშვის აკვანი
ჩვენ ორს ერთ ჭერქვეშ ერთად გვერწია !

მზისს

როგორც ლოლო, მზის სხივებზე ფიქრად ვდნები,
ახლა გული შენთან ყოფნის დღეზე გოდებს,
ჩემო კარგო, ვხვდები, როგორ გენატრები,
დარდს გაუძელ, უსასრულოდ დამელოდე.

ბევრჯერ ვტეხე მე ღამეთა ტანი მუქი,
სანთლის შუქზე შენზე ბევრი ლექსი ვწერე,
ამ სიბნელეს მონატრების დასძლევს შუქი,
უსათუოდ დავბრუნდები, დამიჯერე!

გულს ატყვია ნაკვალევი დარდთა სეტყვის,
აღარ ვლაღობ და უშენოდ დღეებს ვათრევ,
რომ შევხვდებით, ვიცი, ჩუმად ყურში მეტყვი,
ჩემო კარგო, იცი, როგორ მომენატრე?!

მამელუქის სიკვდილი

კვდებოდა კაცი უცხო მიწაზე,
მას საქართველოს ნახვა უნდოდა,
დედის სითბო და დედის სინაზე
სადღაც შორიდან ჩუმად უხმობდა.

სულ თვალწინ ედგა ბავშვობა რაინდს
თავისი ოდა, მიწა ქართული,
ორმოცდაათი წელია რაიც,
ამ მხარეშია გადმოკარგული.

არის მდიდარი ოქრო და ვერცხლით,
აქვს თვისი წონა და თავკაცობა,
მაგრამ ყველაფერს გასცვლიდა ერთში, –
მშობელმა მიწამ ყველას აჯობა.

ნანად ნამღერი ჩაესმის დედის
ქართული მიწის ჩურჩული ჩუმი,
ვაგლახ, ღალატი თავისი ბედის,
როგორ უეცრად მოუკლა გული.

მას გული ჰქონდა, როგორც სალი კლდე,
უცბად რაღაცა ძალამ დაშალა
ხუთი წლის ბავშვი, აქ ტყვედ გაყიდეს,
ახლა მოხუცი არის ჭაღარა.

სიკვდილი კრთება იმის თვალებში
და ენატრება სიტყვა ქართული,
კვდება მოხუცი უცხო მხარეში
საქართველოდან ტყვედ გაყიდული !

კოცნა

მე ტრფობით დავიდაგე,
გულს უნდა ისრის ტყორცნა,
ბაგეს შეეხო ბაგე
და არ შევწყვიტეთ კოცნა .
მერე ვნებებით მთვრალმა,
საკინძის გავხსენ ღილი,
სამარადისო წამმა,
დრო გააჩერა მწირი.
გულს მოემატა ძგერა,
თრთოლვამ დაიპყრო გონი,
ესაა ბედისწერა,
ერთად შეგვყარა ორნი.
და სასთუმალზე თმების,
გაფენილიყო ფარჩა,
იმ გაფრენილი წლების,
მოგონებები დარჩა.
ვნების კოცონთა ალი,
ჩაუქრობელი მარად,
კაცისთვის სიტყვა – ქალი,
მაცოცხლებელი ძალა.
მე ტრფობით დავიდაგე,
გულს უნდა ისრის ტყორცნა
ბაგეს შეეხო ბაგე
და დაიბადა კოცნა !

გამოიღვიძე, ერო!!!

ქარი თეთრ ნისლთა ფარტენას ართავს,
გველ-ვეშაპივით კლდე გაწოლილა,
ქართველო, მტერი გვებრძვის და გვმართავს, –
როს გათენდება სიმშვიდის დილა?!

როს მოშუშდება იარა ყველა,
ნანგრევს აჯობებს მტკიცე ნაშენი,
სწორედ დღეს გინდა, მამულო შველა,
მაგრამ არვინ ჩანს მცველი, – მაშველი.

სოდომ - გომორის ტრიალებს ცეცხლი,
კანაფის ბოლი გვიხშობს გონებას,
ალბათ, ეშმასგან ავიღეთ ვერცხლი,
ქართველი ბოროტს რომ ემონება.

ჩვენში ვეძებოთ მიზეზი ამის,
იხრწნება ტანი მირონნაბანი,
გავყიდეთ სული, საფლავი მამის,
ხმალი, ფარი და მთელი მთა - ბარი.

ვივიწყებთ ენას, – კურთხეულ ენას,
დროა მტრისათვის ხმალი გავფეროთ,
ბოლო მოვუღოთ ამ დაღმადენას,
გამოიღვიძე, ქართველო ერო!

ქარი თეთრ ნისლთა ფარტენას ართავს,
ეშმამ მამული დაინაწილა,
ქართველო, მტერი გვებრძვის და გვმართავს,
როს გათენდება სიმშვიდის დილა?!

***

ჩემო ძველო რვეულო,
ჩემი სულის ნაწილო,
რითმავ გადარეულო,
ლექო აზრით ავსილო..

როცა ხალხში იელვებთ,
თქვით, კაცური, მართალი,
ქვეყნად გააძლიერეთ,
პოეზიის ხანძარი!

თარეშა

ღამე მოვიდა მთვარის გარეშე,
ქარი კი ფიჭვებს რწევით აძინებს,
სიბნელეს უყეფს რიხით თარეშა
და რიჟრაჟამდე ყეფით აცილებს.

ბნელს ისევ გასტეხს ძაღლის ყეფა და,
ის ჩვენთან არის დიდი ხანია,
კაცთ სიერთგულე, რაც კი ებადა,
გულით ჩვენამდე მოუტანია.

იქნებ შეიგრძნო სუნი ნადირის,
არ უნდა მტრისგან დაიდოს ვალი,
წუთით გადადო ძაღლმა ნადიმი,
დილამდე ისევ მოიცდის ძვალი.

როს გააცილებს უკუნეთ ღამეს,
ცაზე ვარსკვლავთა გაქრება მძივი,
მერე დაწვება, დახუჭავს თვალებს
და წამიერი წაიღებს ძილი.

ძაღლის ხმამ მთები მოითარეშა,
ქარი კი ფიჭვებს კვლავაც აძინებს
სიბნელეს უყეფს ისევ თარეშა
და რიჟრაჟამდე ასე აცილებს.

აქამდე ასეა...

მზექალი, მზეკარი,
მზეო, მზევინარი,
სხივები შეკარი,
ცით ჩამომდინარი.

ეს გული აანთე – გრძნობების ბუხარი,
მომენდე, გალაღდი არ იყო მწუხარი.

ცისმარი, ცისნამი,
ცირა და ციცინო,
იმ ბავშვურ დღეებზე ბევრი არ იცინო.

ხან ნინო, ხან ნანა და ხანაც ნანია,
დრო ვითომ დიდია, არადა, წამია.

ხანდახან წვიმაა, ხანდახან ფიფქია,
ხანდახან ფიქროა, ხანდახან – ფიქრია.

აქამდე ასეა,
დრომაც ვერ არია,
კაცი გულსავსეა,
თუ მასთან ქალია!

უშანგი ჯანგირაშვილი

ცოდვიანი ნაფიქრალი

თითქოს მომწყინდა დილაც, საღამოც,
დრო-ჟამის სრბოლა, დარი, ავდარი;
ხან – გაზაფხული, ხან – შემოდგომა,
ხან – ზაფხული და ხანაც-ზამთარი;

ეშმაკეულმა რად გამკრა ფიქრმა?
ო, მაპატიე, უფალო, გვედრი!
რა იქნებოდა ცვალებადობის
გარეშე ჩვენი ყოფა და ხვედრი?!

აცხონოს ღმერთმა პაპა გრიგოლი,
სიბერის ჟამს რომ იტყოდა ლოცვით:
„დავამძიმეო, ეს დედამიწა
ჩემი აქ ყოფნით, ძვლებით და ხორცით“...

მაშ, დაილოცოს კვლავ ყველაფერი
ეს წეს-განრიგი, ქვეყნად რაც არი!
კვლავ – გაზაფხული, კვლავ – შემოდგომა,
ისევ – ზაფხული, ისევ – ზამთარი...

გაჯირვება

„როგორ დავაღწიოთ თავი ვალებს,
რა ვჭამოთ, საიდან რა ვიშოვოთ,“ –
დავსხდებით ღამ-ღამობით
მე და ჩემი ქალი,
ვდარდობთ და... დარდიცაა უსაშველო...

უცნაური „შეცოდება“

ყოველდღიური გარჯა, ფუსფუსი,
არის ჯანსაღი ყოფის თვისება;
ნაგვის ყუთიც კი შემცოდებია,
უქმად რომ დგას და აღარ ივსება!

მეუღლეს

დიდი ხანია, შენი სიცოცხლეც მაბარია,
როგორც დედა-ჩიტს
თბილი კვერცხები ბუდეში;
ჩვენი ცხოვრების ჭაპან-წყვეტაში
არაფერი შეგვშლია
ჩვენს ერთობლივ სიცოცხლესთან.
და მინდა, რომ არაფერი შეგვეშალოს
წყეულ სიკვდილთანაც;
რომლის მოახლოებაზეც ისე ვთრთით,
როგორც საღამო ჟამს
შეყვითლებისკენ მიდრეკილი ფოთლები
ნიავის ოდნავ შემობერვაზეც კი...



მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური

(გაგრძელება. დასაწყ. იხ. NN6-9)

***

აქ რომ ეკლესიაა, ის წმინდა მარინეს ეკლესიაა. თითონ ეკლესიის სახელობის დღეობა იყო მარინობა. ცალი ხარით მიუზიდიათ ქვა. რო დამთავრდა მოზიდვა, ხარს ცალი რქა მოსტეხია და დამთავრების დროს ხარის რქა არის დახატული კედელზე. აღდგომა დღეს ხარს შემოიყვანდნენ, სადაც რომ პურ-მარილსა ჭამდენ. იმ ადგილას ორივე რქაზე სანთელს აუნთებდნენ. იდგა ხარი და სანთელი ანთებული ჰქონდა და წინ საჭმელი ეყარა, რომ თავი არ აქანაოს და დაიწვეს ის სანთელი ბოლომდე. ეს ხარი დალოცვილია, რო ხარმა დაიდო თავზე ხალხის შენახვა. რო იტყვიან, ხარმა სთქვა პირმა ნათელმა, მე დავიდებ თავზედაო ხალხის შენახვას: ხნა, ფარცხა, ზიდა. ამ ხარმა, რო ასე სთქვა, მოვიდნენ ანგელოზები და აკოცეს ორთავ რქაზედაო და უთხრეს: წადი ხარო, იმუშავე ერთგულად მთა და ბარზედაო“. კვირას არ შეიძლებოდა მუშაობა.

ქვამსრბოლა

ეს სოფელი არის ღობიეთის ახლოს, ასპინძის მხარეზე რო მიდიხარ, მარჯვნივ რჩება, იქ ქალია გაქვავებული, სარეცხ რეცხავს. აღდგომა რო მოახლოვდება, წინა კვირაში არი ხარება. დიდი უქმე არი და იმ დღით მუშაობა არ შეიძლება. ჩამოუვლია იესო ქრისტესაო ისე, როგორც მათხოვარს და უთქვია: „ქალო, თუ იცი, დღეს რა დღე არიო?“ ქალს უპასუხია, რო „დღეს არი ხარება და ჩემი ძმის გახარებაო“. იმას უთქვამს: „შენი მანდ გაქვავებაო“ და გაქვავებულია და გობი უდგია წინ.

ახალციხე. სონია ვასილის ასული გურგენიძე (49 წლის) და ელენე რაფაელის ასული გურგენიძე (56 წლის)

***

როგორც ახალციხე დაარსებულა, მამაპაპა, პაპის პაპა, აქა ვცხოვრობთ. ამ უბანში ცხოვრობდნენ 1828 წელს. რუსი რომ შემოსულა პასკევიჩის ქუჩა დაურქმევიათ. უფრო ხშირი იყო ჩემ ბავშვობაში, მაგრამ დაინგრა. ეკლესიის ზევით ისეთი ხშირი ქუჩა იყო და იქ ჩვენნაირი ქართველი კათოლიკეები ცხოვრობდნენ. 14 წლის ომი რო დაიწყო, მას შემდეგ დაიწყო დანგრევა და წავიდა მას შემდეგ ზოგი ბათომში, ზოგი ბაქოში, იმიტომ, რომ სასმელი წყალიც აღარ იყო და მიტომ დაინგრა აქაურობა. ძირითადად პატარა ვაჭრობას მისდევდნენ. ხელოსნებიც ბევრნი იყვნენ. წყლის გამოღმა ტყე ყოფილა, ეგ ეკლესია ტყეში ყოფილა. ტყე გაკაფეს და პირველად მალისი დაურქმევიათ, მერე ხალხი აქეთ რო გადმოსახლებულან, იქ მცხოვრებს ხბო დაუკარგავთ, ვერ უპოვიათ, მერე აქეთ მოსულა ამ ტყეში, ეკლესიის ახლოს უპოვიათ, მერე წასულან და უთქვამთ: „ჩვენ აქ კლდეში რა გვინდა, რო ვცხოვრობთო, წავიდეთ და ტყეში ვიცხოვროთო“. მერე წამოსულან, გაუკაფიათ ტყე და გაუკეთებიათ დარბაზები. უფრო გაგონილი მაქვს, რო აი ის ციხე რო აუშენებიათ, მაშინ დაურქმევიათ ახალ-ციხე. ყველაზე უფრო ძველი უბანი ახალციხეში არის ჩვენი უბანი. როცა ერზრუმუდან სომხები 1828 წელში გამოიქცევიან, მაშინ წყალ გაღმა დაიწყებენ მოსახლეობას. ხიდის გაღმა გაშენდება ქალაქი. ზემოთ რომ ეკლესიაა, მუზეუმი როა, ეგა ქართველებისა ყოფილა, მერე სომხობა რო გამრავლებულა, მიუყიდიათ სომხებისთვის ეგ ეკლესია. ამ ეკლესიას წმინდა ჯვრის ეკლესიას ეძახდნენ. სექტემბერში იყო ხოლმე ამის დღეობა. სამხთოები არ ყოფილა, როგორც ქართველობამ იცის, ისე კი დიდი ლოცვა-კურთხევა ყოფილა.

იოსეგ ივანეს ძე ქურჩიბაშვილი (67 წლისა)

მაისურაძეები

ჩვენი ნამდვილი გვარი ყოფილა მაისურაძე. მე მაგის გულისთვის ომიდან რო დავბრუნდი, ორი მაუზერი პირში მომცეს, უნდა დავეხვრიტე, სომეხიაო, სომხის გვარიაო და მე მაინც ჩემი გავიტანე, ქართველი ვარო. ოსმალო რო შემოსულა აქა, ჩემი პაპის პაპა თერძი ყოფილა (ე.ი. პარტნიო), ჩააბეზღეს, რო აქ კარგი თერძია და ის კარგ შუბას შეგიკერავსო, ფაშას ჩააბეზღეს. დაიბარა ახალციხეში, „შენ რა მოხელე ხარ?“ – „თერძი ვარ, ფაშაჯან“: „აბა, შენ უნდა შუბა შემიკეროო“. მისცემს მასალასა და რო კარგ შუბას შეუკერამს, იქიდან დაერქვა ქურჩიბაშოღლი, ე.ი. ქურჩიბაშვილი – კარგი ოსტატი – ქურჩი, ე.ი. შუბა, კარგი შემკერავი.

ახალციხეში თითქმის 450 წელია რაც გადმოსახლებულა ხალხი. უფრო ადრე ვალეში გადმოსახლებულან, მერე უდეში. მერე უთქვამთ: „ჩვენ გადმოსახლებულებს ქალაქიც გვინდა და სად გავაშენოთო“? და ამოურჩევიათ ეს ადგილი, მაშინ ძალისი ერქვა, ახალციხე კი არა. მერე ციხე აშენდა და აქეთ გადმოსახლებულან და დაარქვეს ახალციხე. ჩვენი გვარი მაისურაძეები ქალაქ გორიდანაა გადმოსახლებული. მენშევიკების დროსა ბევრმა გვარები გამოიცვალეს, მამა ჩემმაც უთხრა ჩემ უფროს ძმასა, – „მოდი შვილო, ჩვენც ჩვენ ძველ გვარზე გადავიდეთ“. ჩვენ ხუთი ძმანი ვიყავით, ხუთივე ბაქოში ვიყავით, ისე მოხდა, რომ ექვსი თვე აკრუჟენიაში იყო ბაქო, მშობლები აქ არიან, ახალციხეში, ჩვენ იქა ვართ, ჩვენ არ ვიცით ოსმალი შემოესია, დედ-მამა დახოცეს თუ არა, არც იმათ იცოდნენ ჩვენი ამბავი. მამა ჩემს უკვე მსუბუქი პარალიჩი დამართოდა. ჩვენები წავედით. ოთხი ვიყავით პირველ ომში წასული, რო წამოვსულიყავით, გზა აღარ იყო ბაქოდან თბილისზე. უფროსი ძმა რევოლუციონერი იყო ალიოშა ჯაფარიძესთან მუშაობდა და სტეფან შაუმიანთან. ამან უთხრა მამა ჩემსა: „არა, მამავ, შენ ახალციხეს გარეთ არ ყოფილხარ, ბაქოში რო ჟლეტა გაიმართა, აზერბაიჯანელებ ეგონათ ქართველი მუსულმანები ვართ, სომხებს ეგონათ სომხებიო, რუსებს კიდევ ძველად ქურჩიბაშოვი იყო და კუიბიშევის გვარისა არიან, ჩვენი გვარი ნამდვილი ინტერნაციონალნი გვარიაო და ისე იყოს, სჯობიაო. ისეთი ამბავი იყო 18 წელში, სომხები ცოცხალ-ცოცხალ ზღვაში იხრჩობოდნენ, ოსმალო და გერმანია რო შემოესია ბაქოში. ჩვენ ეზოში, ჭაში ჩავარდა ერთი ქალი, ოსმალი რო შემოესია. სომხები მაშინ რუსეთში წავიდნენ ასტრახანისკენ. ჩვენსა სამი ძმანი ტიფით ვიყავით ავათ. სამივე გადავრჩით. ტიფის მოწმობით ორი ძმა ასტრახანში წავედით და მერე მე მოვედი ნოვორასიისკში. ოთხი წელიწადი ჯარში ვიყავი გერმანიის ფრონტზე. როცა რო ფრონტიდან დავბრუნდით, ერთად ვცხოვრობდით. ვაჭრობა აღარ იყო რო შენთვინ დაგვეჭირა ბინა. ომიდან დაბრუნებული უფროს ძმასთან მივედით.

იოსეგ ივანეს ძე ქურჩიბაშვილი (67 წლისა)

***

რვა სულში მარტო დავრჩი. ეხლა მყავს ცოლი, მაგრამ... ბალიაშვილები აქაც არიან, სოფელ ხიზაბავრაშიც არიან, კახეთშიც ბევრნი არიან. სოფელია წყურთი და ჩვენ ვყოფილვართ მაგ სოფლიდგან. როდესაც რო თათარი შემოსეულა, გამოქცეულან მაგ სოფლიდგან, აქ დასახლებულან და ის სოფელი გადუნვია თათარსა. ბევრი ტყვეთ წაუყვანიათ, ჩვენ დავრჩენილვართ აქა. როდესაც სომხები გადმოუსახლებიათ, მაშინ იმ დამწვარ სოფელში სომხები ჩაუსახლებიათ. ჩვენი ძველი გვარი ბოლქვაძე ყოფილა. მაგ. სოფელთან მეზობელი სოფელია ელია, ტურათ უბანი, მიქელ წმინდა (იქ არი ეკლესია, მიწაშია და ყურძნის მტევნებია ზედ). თათრის დროს გადაკეთებულა ბოლქვაძე ბალიაშვილათ. ალბათ, ბალი-ოღლი დაწერეს. მეტრიკაში ბალიევი ენერა უნინ. ეხლა 10 კომლზე მეტი ვართ ბალიაშვილები.

გიორგი იაკობის ძე ბალიაშვილი (74 წლისა)

ხიზაბავრის ეკლესია

***

საყდარ გამოივლიდით, იქ პატარა სახლია, იმ სახლიდან გამოთხოვილი ვარ, რაც იყო წესრიგი, იმას ვსწავლობდით. 14 წლისა გავთხოვდი, ორი წლის შემდეგ დანიშნულ ვუცადე. მოათავა თავისი ჯარი, დაბრუნდა და მე მაშინ დავიწერე ჯვარი.

ამ სოფელში არც თათარია, არც სომეხი. ფარეხაშია ერთი სომეხი. ღელეც პატარაა და ქვია ქაჯეთი-ციხე.

დედოფალს თითონ ვაკეთებდით. პატარა ჩხირ ავიღებდით, მოვკმაზებდით, ორ ნემს შავს ამოუყრიდით მრგვლივ, ელამი არ გახდესო, უფრო შავი თვალი გვიყვარდა, ჩახალი (ჭრელი). აკვანში ჩავაწვენდით.

ბავშვი აკვანში იწვა 1-1/2 წელი. თუ სუსტია წლინახევრამდე აკვნიდან არ გადმოვიყვანდით, სამ მანეთს ან ხუთს მოგვცემდნენ. მე უმახარობლე და სამი მანეთი მამცა. კამარაზე ჩამოვკიდებდით მძივებსა და აჩხაკუნებდა ბავშვი. თუ რამე დეემართებოდა, წამლებ მივაშველებდით თვალისას. ალმასის თვალ წყალში გავავლებდით და გადავავლებდით, კარგი გიშერი შავი, იმასაც წყალში გავავლებდით და გადავავლებდით. ჯერ ვიტყვით ბუნებასა, შენ იცი წამალი და ამას უწამლე. საყმაწვილო წამალი გაგვილესავს, 5 მან. წაგვართვეს, ყველა შეზავებული იყო. ყვავილი როცა ქონდა ბავშვს, შიშით წამალს არ მივცემდით, თაფლის წყალს კედელზე შევასხამდით, ლოგინზე არა, რო ბუნი შეესეოდა და ვიტყოდით: „უფალო, თაფლის წყალი იმიტომ გვისხია, რომ შვება მისცე“.

***

ხიზაბავრა, სარო, თოკი, ვარგავი ამ სოფლებიდან სულ ადგილობრივები არიან. ხიზაბავრაში მეტი წილი არიან ველიჯანაშვილი, ხუციშვილი, მურადაშვილი, შემაზაშვილი, დათაშვილი. გოგალაძე, პაპაშვილი, ტატურაშვილი, ქუქჩიშვილი, თამაზაშვილი, მექოშვილი, მამუკაშვილი, გორელიშვილი, ველიჯანაშვილი. ველიჯანაშვილის ოჯახში 65 სული იყო. ზოგმა ველიჯანაშვილმა ჯანაშვილებად გადაიკეთეს გვარი. ორი ძმა არზიგიანები ურევია სომხები.

***

ამ სოფელში დაბადებული ვარ. ჩვენ ვიყავთ, ჩემო კეთილო, 45 სული ერთად. ოჯახის უფროსი იყო ბიძა ჩემი ვანოი. ვანოს ცოლი კი იყო ქალების უფროსი. მივდევდით მეურნეობას. ძროხა გვყავდა, ცხვარი, ცხენი, უკაცრავად ვიტყვი, ვირები. სამასი კაცი ყოფილან აქ თათრები, შემდეგ ჩვენ ავიყარენით 1918 წელს, წავედით საქართველოსაკენ და ცხრა თვე ვიყავით. ზოგი საგარეჯოში იყო, ზოგი სკრაში, ზოგი ბაკურიანში, მერე რაკი ითქვა: თქვენ ადგილშიო ისევ მოდითო“, ჩვენ ჩვენ სახლებში დავბრუნდით. კარგი და გონჯი არ იყო მაშინ, ისევ ჩვენ სახლებში მოვედით. იქიდან რო დავბრუნდით, თალანი (გატაცება) მოგვიწყეს, შვიდი კაცი მოგვიკლეს, დაიტაცეს ძროხა, ხარი, რამე და წავიდნენ. როდესაც რო გავიქეცით, მაშინ იარაღი გვქონდა, ჩვენ არ მივდიოდით აქედამა, მაგრამ მაშინ საქართველოს უფროსი იყო ჟორდანია და იმანა გვითხრა, უნდა წამოხვიდეთო და ავიყარენით. მერე თათრებმა თქვეს: „რა მაგარი ხალხი ყოფილა ხიზაბავრელები, რო არ შემოგვიშვეს ამდენი ხალხიო“. ხიზაბავრის უფროს ეფრემას უძახდით ჩვენ, ისიც ველიჯანაშვილი იყო, ეს თათრის დროს იყო. რო დავბრუნდით, თათრები იყვნენ აქ, მერე წავიდნენ. როცა სოფლებიდან ბაკურიანში მოვიდნენ საროდან, ხიზაბავრიდან, კოთელიიდან, ვარგავიდან, ბარალეთიდან, ქართველი ხალხი ვინც იყო, სკრიდანაც იყო მოსული. მითხრეს ქაშავაში (მზარეული) იყავიო. საქართველოს ჯარი ახალქალაქს რო ამოვიდა, მაშინ გამოგვიშვეს ბაკურიანიდან ჩვენ. აქ ტუნელი იყო და მანდ აფარებდნენ ძველად თავს. ლეკებმა ხიზა, ვარანტა, ოსპნაური გაავერანეს, ხიზაბავრას კი ვერაფერი უყვეს. ყოჩალი ხალხი იყო. ქვევით წავიდნენ, თევზი დაიჭირეს, ამოვიდნენ, ამოიტანეს, მოხარშეს, ცხელი პურიც დატოვეს ქვაზე, მერე როცა მოვიდნენ, ლეკის უფროსები, თქვეს: „ჩვენ, ამას, ხიზაბავრას, ვერაფერს უზამთ.“ ხიზა რო გაავერანეს, აქეთ გადმოიტანეს სიტყვა რაღა, ძალა, აქ კი ბავრა იყო და შეუერთდა. გახდა ერთი სოფელი ხიზაბავრა. ჩვენი ეკლესია იესოს გულზე იყო. აქ იმართებოდა ქრისტეს აღდგომა, ყველიერი, შობა. გვალვა რო დადგებოდა, ღვთისმშობელ გამოასვენებდნენ გარეთ და შეეხვეწებოდნენ. უიმისოდ არაფერი არ შეიძლება. აქ რამდენიმე თათარი ცხოვრობდა, ისინი იტყოდნენ ხოლმე „ქრისტიან სოფელში სეტყვა არ იქნება, არც მოვიდოდაო“.

***

ომამდე ამ სოფელში 800 კომლი იყო. აქედან წავიდნენ ყვარელის რაიონში სოფ. სანავარდოში, კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობაა და სოფელ მთის ძირში, აქ ლეკები ცხოვრობდენ, იქიდან გადაასახელეს და ჩაასახლეს ესენი. ლაგოდეხის რაიონში სოფ. ხიზა და სოფ. ხიზაბავრა აქედან წაღებული სახელებია. ბუდიონოვკაში რუსები ცხოვრობენ და იქ არის 50 კომლამდე. გორის რაიონში – სოფელი ახალ-ხიზაა, ს. სვენეთი – ტირიფონის ველზე, ახალქალაქის რაიონში სოფ. გოკიო, ადიგენის რაიონში სოფ. ქიქინეთი, ახალციხის რაიონში სოფ. თისელი, – თითოში 50 ოჯახია. სულ გამოანგარიშებულია მთლიანად 1900. გაბნეულები არიან წალკის რაიონშიც, აბასთუმანშიც. 1908 წელს წასულან გორის რაიონის ახალ ხიზაში, საციციანოში: ზურაბაშვილები, მურადაშვილები, მუგასაშვილები, კეღოშვილები, ბალიაშვილები და დასახლებულან იქ. ჩენი სოფლის მოსახლეობის გვარები ბოლოვდება შვილზე, თედორაძე და ანთაძეა მხოლოდ ძეზე რო მთავრდება.

პავლე გიორგის ძე ველიჯანაშვილი (81 წლისა)

***

აქა ვარ დაბადებული. აქ რაც გარშემო სოფლებია, სულ სომხები არიან და ჩამოსახლებულები არიან თურქეთიდან, 140 წელიწადის წინ. ჩვენ კი ადგილობრივი ვართ. მე რომ 10-12 წლის ვიყავი, მოჯამაგირეთ ვიყავი ოთხმოცი წლის კაცთან და ის იტყოდა ხოლმე, რომ „ამ სოფლიდან შვიდი კაცი (შვიდი წყვილი ხარი იყო) ხნიდა ყანასაო. გზაზე სოფელი არ იყოო. კობაძეები, ჩიტაძეები, ჩითაშვილები ძველი იყო. ეხლა ჩითაშვილები 50 კომლია. მანველოვები 60-მდეა. ამჟამად ხითაროვებზე მრავალი არ არის. მთავარი აქ არის მანველოვები, ჩიტაძეები, გოზალოვები, ჩიტაშვილები უკვე განაყოფები არიან. ჩამოსახლებული არის აქ თურქეთიდან ერთი კომლი – არუთინიანი სურენა გრიგოლის ძე. მამა მოკვდა და შვილი აქვე დარჩა. ზევით, ძველი გადმოცემით, ნასოფლარი ყოფილა. ორჯოჯლელი ქალი მიდიოდა ჭალაში სავაჭროთ, სადგური როა, იქ ქალაქია. ჭოროტაში ჭანგლეებს შეუჭამიათ ეს ქალი. იმ ადგილის სახელწოდება ყოფილა ოჯორჯალი. ვალე როა – აქ ყოფილა ტყე. ჯერ რომ სოფელი არ ყოფილა, მონადირეს უვლია, შეხვედრია ეკლესია 1200 წლის გაშენებული. ქალს ეკლესიის ძირზე მოუთესინა ფეტვი და უთქვამს: „თქვენთვის მომივალებიაო“. იქიდან დარქმევია ვალე. კიდევ ასე იტყვიან ძველად, ხომ თურქეთში ვაჭრობა იყო ხალხისა, აქედან გაყავდათ და ყიდდნენ ხალხსა და ვალის ხალხი იმ ყმიებს ყიდულობდნენ, ებრალებოდათ, შემოჰყავდათ სოფელში და აქ სტოვებდნენ, რო აღარ აწამონ. შეძლება რო არ ქონდა ხალხსა, მაინც ვალში შედიოდა, ყმას ყიდულობდა და იმის შემდეგ დაერქვა ვალე. ფაქტი ის არის, რომ ის ნაყიდი ხალხი დღესაც ცხოვრობენ ვალეში ნასყიდაშვილები (ნასყიდოვები). უფრო მისდევდნენ მეურნეობას, მებაღეობას (ხორბალი, ფეტვი, სიმინდი).

1928 წელს ერთმა მეცნიერმა წაიკითხა ქვაზე წარწერა: „მე ფეფრონა ჯაყელმა სამი ეკლესია ავაშენევო: ვალე, ჯაყი და სოფ. ალი (ჩვენი აღარ არის, იქ საზღვარია). ეს ეკლესია დათარიღებულია მე-7-მე-8 საუკუნით.

რელიგიური წესით აქ არსებობს ორი მერჯულე. ჩვენ, ქართველები ვართ, მაგრამ კათოლიკეები ვართ. კობაძეები კი მართლმადიდებლები არიან. ჩვენ ახალი ეკლესია ავაშენეთ, იმათ კი ძველი ეკლესია დარჩათ. ახალი 100 წლისაა, ჩვენი პაპების გაკეთებულია. პეტრე მოციქული როგორც იყო, პირველი ბავშვი რო მონათლულა, პეტრე დაურქმევია. ამას ჰქვია ღვთისმშობლის ეკლესია. ხვალ არის მაგის დღე. 1917 წლამდე ორივე ეკლესიაში ერთნაირად იყო წეს-ჩვეულება. ევროპა ადრე გადავიდა ახალ სტილზე და ჩვენ კათოლიკეებს ცარიზმმა, ნიკოლოზმა, ნება არ მოგვცა, რო ახალ სტილზე გადავსულიყავით. 1917 წელს გადავედით ახალ ტაქტიკაზე. მართლმადიდებელი ძველით 8 სექტემბრით ასრულებენ, ჩვენ კი ახალ 8 სექტემბერს, ისინი არ გადავიდნენ და იმიტომ ყველაფრით ერთი ვართ. კათოლიკეებს ცოტა ლოცვა მეტი აქვთ. ყველაზე დიდი დღეობაა აღდგომა, შობა, ნათლისღება, ხარება, ბზობა. გაზაფხულზე როცა დავთესავდით, ვიტყოდით: „ღმერთო, შენ მოგვე ბარაქაო“. თესვის დროს შევიდოდნენ ნაკვლევში, ხის კავებს ასნევდნენ და იტყოდნენ: „ღმერთო, შენ მოგვიმართე ხელი და ბარაქა მოგვეციო“. გვალვა რო წავიდოდა, აქ სოფელი ივლიტაა, მანდ სასნაულიანი ღვთისმშობელია, იმას ამოვბრძანებდით და ჩოქვა-ჩოქვით შემოუვლიდით ეკლესიას. ნაკურთხი ადამიანი გამოასვენებდა. ეხლაც კი არის წესი. ერთ დღეს ვალეში, უდეში, არალში, შემოვატარებდით ჩოქვა-ჩოქვით და მერე ისევ დავბრძანებდით.

ხვალ ღვთისმშობლობაა, ვალის ეკლესიის დღეობაა, იმ დროს მოდიან სხვა სოფლებიდანაც.

შობას უთიამთ, აღდგომასაც უთიამთ. ბუზმარეთის ეკლესია გავლენიანია. აი თუ ძროხა არ იწველება, მიდიან იქა და შემოვატარებთ. იქიდან მინას წამოიღებთ, წყალში გავლესავთ, მერე გადავავლებთ ზედ, პირში ჩავასხამთ და ძროხა გონზე მოვა.

გვალვის დროს ორი მოხუცი ქალი დაივლის და წყალობას მოკრიფავს: კვერცხი, ფული, ამას შეაგროვებენ. მერე ამ წირვებ აწირვინებენ (ე.ი. უპატრონო მიცვალებული ვინც არის, იმის ანგარიშზე), ღარიბებსაც დაეხმარებიან.

აღდგომის მეორე დღე არის მიცვალებულის მოხსენიების დღე. თუ მღვდელია, ვაკურთხებთ, გავშლით პატარა სუფრას.

ახალ წლის დღეს დედა გვეტყოდა: „აბა, ადექით, ოჯახში წყალობა შემოიტანეთო“. ჩვენც გავიდოდით, წყალს შემოვიტანდით. მერე დაგვსვამდა – არ გაინძრეთო და მერე მოგვცემდა ტკბილს:

„შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი,
ჩემი ფეხი, კვალი ანგელოზისა“.

აღდგომა სამი დღე იყო ხოლმე.

ახალციხე. ათანე სტეფანეს ძე ჩითაშვილი (60 წლისა).
სტეფანე პეტრეს ძე ხითაროვი (50 წლისა) (7. 09)

ნინო ღოღოგერიძე,
ექსპედიციის დღიური. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (შემოსულობათა წიგნი N665)
(გაგრძელება იქნება)

კახაბერ ჯაყელი

ერთ-ერთ ქართველ გმირზე ასე წერს ლადო ასათიანი თავის უკვდავ პოემაში „ბასიანის ბრძოლა":

„წამოიშალნენ ტალღებად მძვინვარე
სისხლის ღვარები
და გაიტაცეს ცხენდაცხენ ივანე
ციხისჯვარელი.
და რა ნახეს, რომ რაინდს გზა და კვალი
გაუტიალდა,
ალმართეს იქცევისები მათ თურქთა
ჩაფხუტიანთა.
ერთმა ახმახმა შორიდან ისრით გაუპო
გმირს წარბი,
მაგრამ მიუხტა ივანე გასაოცარი
სისწრაფით
და ისე დაჰკრა კეფაზე ხანჯალი
გაუღუნველი,
რომ ტვინი მისი ჰაერში ავარდა, როგორც
ღრუბელი,
და მერე, როცა მკლავმარდი წამოეშველა
გაგელი,
ერთად ეკვეთნენ უკეთურთ მამულის
მოამაგენი.

***

როდის უნდა დაბადებულიყო ივანე? ჯაყელთა საგვარეულოს მკვლევარი, ცნობილი ისტორიკოსი ბატონი მიხეილ ბახტაძე აცხადებს, რომ ივანე ციხისჯვარელი ჯაყელად იქცა სწორედ გიორგი რუსის დამარცხების შემდეგ. ამ ბრძოლაში ფაქტიურად დამარცხდნენ ბოცოს ძე ჯაყელები და მათი ადგილი ციხისჯვარელ-ჯაყელებმა დაიკავეს.

ისიც უნდა ითქვას, რომ ციხისჯვარელი ჯაყელები არიან პირდაპირი შთამომავლები ჯაყელთა საგვარეულოს საწყისში მყოფი მირიან ბაჰლაუნდისა და მისი მეუღლის ლატავრა ჩორჩანელისა. ფაქტიურად ჯაყელთა ყველა ადრეული შტოები, მათ შორის კალმახელები, ბოცოსძეები, ციხისჯვარელები, ლაკლაკისძეები, ამ ოჯახიდან მოდიან. ისინი თავიდან იწოდებოდნენ ახალ ჩორჩანელებად. შემდეგ მათი შტოები დაიყო იმის მიხედვით თუ რომელ ციხე-სიმაგრეს დაესაკუთრნენ და რომელი ხეობა იგდეს ხელთ. მთავარი ისაა, რომ ჯაყელთა პირველი და მეორე დინასტია სისხლით და გენეტიკით ერთი და იგივე იყო. ისინი ერთი თესლისაგან მოდიოდნენ და ამიტომაც მუდამ ერთად იდგნენ საერთო მტერთან ბრძოლაში.

საერთო მტრებზე როცა ვსაუბრობთ, ესენი, პირველ რიგში, იყვნენ ბაღვაშები. სწორედ ციხისჯვარელ - ჯაყელთა საგვარეულოს ერთ-ერთმა დამფუძნებელმა სულა კალმახის ერისთავმა, უეცარი სამხედრო მანევრის წარმატებით განხორციელების შედეგად 1057 წელს ხელთ იგდო უძლიერესი სეპარატისტი, კლდეკარის მთავარი – ლიპარიტ IV დიდი ბაღვაში და იგი მეფე ბაგრატ IV-ს მიჰგვარა! კლდეკარის ერისთავს სამსახურში დაუმარცხებელი „ვარანგები", ანუ დღევანდელი ენით რომ ვთქვათ, სკანდინავიელი ვიკინგები ჰყავდა. სულა კალმახელის მესხებმა დაამარცხეს ვიკინგები და ისინი აიძულეს საქართველო დაეტოვებინათ.

ამის შემდგომ უძლიერესი ლიპარიტი ბერად აღიკვეცა, ხოლო მეფის სპამ მიითვალა უმნიშვნელოვანესი სიმაგრენი ლიპარიტისანი: არტანუჯი, ყველი, უფლისციხე და ბირთვისი, ხოლო კლდეკარი დიდი ბრძოლის შემდეგ ჩაბარდა მოალყეებს.

სულა კალმახელის გმირობის შედეგად საქართველო გაერთიანდა, სეპარატისტული ანკლავი მოისპო და ქვეყანა გაძლიერდა. სწორედ ამგვარ ოჯახში დაიბადა და აღიზარდა სულას პირდაპირი შთამომავალი ივანე I ჯაყელი, რომელსაც „ყუარყუარაცა ეწოდების".

იგი თავიდან ციხისჯვარელი იყო, რადგან სულას, დიდმა მეფემ ბაგრატ IV-მ, ლიპარიტის შეპყრობისათვის, შთამომავლობით დაუმტკიცა ციხისჯვარი!

მაინც რა იყო ციხისჯვარი იმ პერიოდისთვის და რატომ ჯობდა იგი კალმახს? აი ეს კითხვა არ მასვენებდა მე, პირადად, დიდი ხნის განმავლობაში. არის სხვადასხვა მოსაზრებაც, რომ ფეოდალები, მეფეები და მთავრები ადგილ-მამულს იმის მიხედვით აფასებდნენ თუ როგორი შეაიარაღებული ჯარის შენახვა შეეძლო მას. ფეოდალის, მთავრის თუ მეფის სიცოცხლე შეიარაღებული ჯარის ოდენობაზე, განსწავლულობაზე და ერთგულებაზე იყო დამოკიდებული. ამას კი ეკონომიკური სახსარი სჭირდებოდა. ფული იმდენად არა, როგორც ნედლეული ჯარის შესანახად და მთავარი საჯარისო ნაწილის – ცხენოსანი ძალის გამოსაკვებად.

ისტორიაში ხშირად წავაწყდებით იმ ფაქტს, თუ როგორ მოუწონა ბიზანტიის იმპერატორმა ცხენკეთილობა ჯაყელთა შეურიგებელ მტერს – ლიპარიტ ბალუაშს ერთ-ერთი ბრძოლის დროს. ლიპარიტი ამ ომში შუბით შეიარაღებული, სწორედ ცხენზე ამხედრებული ავლებდა მუსრს ბიზანტიის მტრებს. მას ერთ-ერთი სომეხი ისტორიკოსი კუროპალატის სტატუსსაც აკუთვნებს. ხედავთ?! ჰიპოთეზის დონეზე დავტოვოთ ეს, თუმცა ეს თუ მართლა ასეა, მაშინ ჩანს ლიპარიტი კუროპალატობით ბაგრატიონებთან გაუტოლებიათ ბიზანტიის იმპერატორებს და მათ მოხელეებს.

ამას დიდი მითქმა-მოთქმა უნდა გამოეწვია სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში და გამოიწვია კიდეც. როგორც ჩანს, სულა კალმახელი ძლიერ ცხენოსან ჯარზე ოცნებობდა რომ კიდევ უფრო გაძლიერებულიყო, თავისი ოჯახი დაეცვა და ახალი მიწებიც შემოემტკიცებინა. ეს იყო ფეოდალის ბუნებრივი აზროვნება იმ ხანად.

ბაღვაშებმა ინოვაციური აზროვნება დაამკვიდრეს ქართველ ფეოდალებში და ისინიც ცდილობდნენ მათ დაწეოდნენ, როგორც საკუთარი მამულის მართვაში, ასევე დაცვაში. ძლიერი სიმაგრეები იყო საჭირო და ამ კუთხით კლდეკარი სამაგალითო გახლდათ. ეს იყო იმ დროისათვის თვისებრივად ახალი ტიპის სიმაგრე, რომელიც თავის თავსაც ირჩენდა და ჯარსაც კვებავდა.

ლიპარიტ დიდი ბაღვაში, როგორც ჩანს, კატაფრაქტი იყო სამხედრო სკოლით. კატაფრაქტი ნიშნავდა, რომელსაც სოლისებრად შეეძლო შეჭრა მოწინააღმდეგის განლაგებაში.

რა ღირდა ერთი კატაფრაქტის შეჭურვა? საინტერესოა დავითვალოთ კატაფრაქტის აღჭურვილობის ფასი. ცხენი, რომელიც ამგვარ რაინდს ატარებდა და თავადაც ბრწყინვალედ ომობდა, სწრაფად იცვლიდა ადგილს, მოწინააღმდეგეს მკერდით დაეჯახებოდა და წალეკავდა. იგი 300 ძროხა ღირდა. კატაფრაქტის შუბი 50 ძროხა ეღირებოდა. რაც შეეხება დიდ ქართულ ხრმალს, რომელსაც იმ დროს „შვეტს" უწოდებდნენ, ალბათ, ასევე 60 ძროხა ეღირებოდა. საბარკლულები, ჩაფხუტი, ფარი, უნაგირი – ესეც 100 ძროხა და თუ ამას დავითვლით, მივხვდებით, რომ ლიპარიტ ბაღვაშის პირადი აბჯარი და ცხენი მისი თორით, სადღაც 500-600 ძროხამდე ეღირებოდა.

როგორც ჩანს ბიზანტიის იმპერატორი დიდად სწყალობდა ბაღვაშს და მას, ალბათ, ფულსაც უგზავნიდა. ყველა ფეოდალი შენატროდა ლიპარიტის სამხედრო მდგომარეობას, რადგან მხოლოდ ხმალს შეეძლო იმ დროს უხიფათობის მოტანა – მეფეები და მთავრები მიილტვოდნენ სწორედ ამგვარი ფენომენი საკუთარი თავისთვისაც შეექმნათ.

სულა კალმახელი მიხვდა, რომ მას დიდი კავალერიის გამოსაკვებად ზეგანი სჭირდებოდა. ასეთი გახლდათ სწორედ ციხისჯვარი და თორი. განსაკუთრებით ციხისჯვარი, რომელსაც 5000 ცხენოსანის შენახვა შეეძლო. მეორეს მხრივ, ციხისჯვარს სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ადრე მსუბუქი კავალერია, დღევანდელი გაგებით, სამთო ცხენოსანი ჯარი, სამთო ბილიკებით ან უგზოდაც გადაადგილდებოდა, რადგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა უეცარ თავდასხმას.

***

ციხისჯვარი შესანიშნავი მდებარეობით გამოირჩევა, ადგილი საკმაოდ ფართოა. იქედან მიწვდენა შეიძლება ყველა მიმართულებით. დედაქალაქიც კონტროლდება და კლდეკარიც არ არის შორს. მთავარი ისაა, რომ ციხისჯვარი, როგორც ჩანს, ქრისტიანული კულტურის ტრადიციული ადგილიცაა. ამიტომაც, როდესაც სულას ბაგრატ IV -მ ციხისჯვარი არგუნა, ამით საფუძველი ჩაუყარა სამთო ცხენოსანი ჯარის გამოსაკვებ ბაზას საქართველოს ცენტრალურ ნაწილში და, ამგვარად, ხაზი გაესვა იმასაც, რომ სწორედ ციხისჯვარელები იქნებოდნენ მომავალი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მხედრები.

ისტორიამაც არ დაახანა და სულა კალმახელის შემდგომ ასპარეზზე მისი შთამომავალი ივანე ყუარყუარა ციხისჯვარელი – ჯაყელი გამოიყვანა.

***

როდესაც ქართულ წყაროებს ეცნობი, მოვლენასთან მიმართებაში პიროვნების ასაკის ალბათური გამოთვლა უნდა დაიწყო. ლოგიკურია ვიმსჯელოთ, რომ ივანე ჯაყელი თამარ მეფეზე 9 წლით იქნებოდა უმცროსი. თამარ მეფე 1160 წელს დაიბადა. მაშინ ივანე დაიბადებოდა 1169 წელს, როცა ბოცო ჯაყელი თამარის კბილა უნდა ყოფილიყო. ჯაყელები და ციხისჯვარელები ახლო ნათესავები იყვნენ. ბოცო, ალბათ, ჯაყის ციხეში დაიბადა. მას მეფემ 1184 წელს სამცხის სპასალარისა და სამცხის ერისთავის სახელო უწყალობა. ამ დროს ბოცო ჯაყელის ნათესავი ან ერთი წინაპრის განაყოფი ივანე ციხისჯვარელი 15 წლის იყო. ბოცო კი, ალბათ, 24 წლის გახლდათ. არსად არ ჩანს, რომ ციხისჯვარელებსა და ჯაყელებს ერთმანეთის მტრობა ჰქონდათ.

ქართველთა იმპერიის გაუტეხელი სპასალარი - (1169-1247)

მუსრეს და მუსრი გაავლეს ... მოკლულთა
დაგა ჯებირი,
მაინც ვერ გაძლა ბრძოლითა მარჯვენა
წარბგაჩეხილი! "

აი ეს, ვისაც ასე იხსენიებს ჩვენი სასიქადულო პოეტი, გახლავთ სწორედ ივანე ჯაყელ - ციხისჯვარელი. ამ კაცმა დიდხანს იცოცხლა, მოესწრო მონღოლების შემოსევას და ერთადერთი იყო საქართველოს ერისთავთა შორის, რომელიც მონღოლებს არ დანებდა. დაახლოებით 1242-1243 წლებში, ქართველთა სახელმწიფოს განდიდების იდეალზე შეყვარებულმა ივანე I-მა აქტიური მონაწილეობა მიიღო რუსუდანისა და დავითის ქუთაისიდან თბილისში გადმოსვლასა და დავით უფლისწულის მეფედ დამტკიცებაში.

ივანე ჯაყელი ქართველთა იმპერიის შექმნასაც და მის ნგრევასაც მოესწრო. თამარის უერთგულესი სარდალი, რომელიც თავდადებით ემსახურებოდა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას და ეთაყვანებოდა მეფეს, უეცრად უმეფოდ დარჩა. ეს დღევანდელი გადასახედიდან ძნელი წარმოსადგენია მიხვდე, რას ნიშნავს დარჩე მეფის გარეშე. ფეოდალური სახელმწიფო მეფის და მეფობის იდეალზე იყო აგებული! მეფე ერისა და ბერის წინაშე ღმერთთან მოსაუბრე წმინდანი იყო, რომელიც უფალს თავის ქვეყანას ავედრებდა. ასეთი იყო ივანე ჯაყელის სულიერი კუმირი – თამარი, რომელიც ბასიანის ბრძოლის დროს ფეხშიშველი გაემართა ვარძიის მონასტრისაკენ, რათა იქედან ღმრთისათვის მიემართა და მეფის ლოცვა აღევლინა. როდესაც ქართველები ბასიანის ველზე იბრძოდნენ, მათ თამარის ლოცვის დიდი იმედი ჰქონდათ. როგორც ცნობილია, ბასიანზე გამარჯვებულმა ქართულმა ჯარმა თავის მეფეს მიაშურა და სწორედ ვარძიის წინ გაიშალა გამარჯვების სუფრა. ისინი თავიანთ მეფესთან ერთად ხარობდნენ ქართული სახელმწიფოს გადარჩენას და გაძლიერებას".

სიყმაწვილეში ბასიანზე გამარჯვებული ივანე ჯაყელი, რომელსაც ყუარყუარაცა ეწოდების, უმეფოდ დარჩა მონღოლთა შემოსევის დროს. მაგრამ სარდალი არ დაიბნა! ქართველთა იმპერიის ერთადერთმა გაუტეხელმა სარდალმა სწორედ უმეფობის ხანაში დაამარცხა მცირე აზიის თურქები, რომელთაც დაიპყრეს სამხრეთ საქართველოს მიწა-წყალი. მას დახმარებისთვის მიმართეს სანაპირო თემების — ტაოს, შავშთა-კლარჯეთის, კოლა-არტაან-კარნიფორის გამგებლებმა. ივანე I-მა 10000-იანი ლაშქარი შეკრიბა. ბრძოლა მოხდა ვანის ვაკეზე. ქართველებმა გაიმარჯვეს. ბრძოლის შემდეგ ივანე I სამცხეს დაბრუნდა, ხოლო დამარცხებულ მტერს თავისი შვილიშვილები ივანე (პაპა) და სარგისი დაადევნა. მათ დაიბრუნეს მტრის მიერ დაკავებული ტერიტორია და თურქები საქართველოს საზღვრებიდან გააძევეს. ივანე I-მა აქტიური მონაწილეობა მიიღო ტახტის მემკვიდრის – დავით გიორგის ძის მოძებნასა და ჩამოყვანაში (შემდეგ იგი მეფედ დასამტკიცებლად ურდოში გაისტუმრეს). ამ პერიოდში მოღვაწე ციხისჯვარელი ჯაყელების საგვარეულო, როგორც ჩანს, უფრო ლაშა-გიორგის ძეს დავით ულუს მეფობას მიელტვის, ვიდრე რუსუდანის ძის დავით ნარინის ხელმწიფობას. შემდეგ ივანეს შვილიშვილი სარგის ჯაყელი ამ გზას გააგრძელებს და დავით ულუსთვის მონღოლებსაც შეებრძოლება და სეპარატისტ ქართველებს.

***

ივანე I კოხტასთავის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური და ინიციატორი იყო. სარგის და ბექა ჯაყელები უკვე ივანეს ფასეულობებზე გაიზარდნენ და ივანე ჯაყელის საქმის გამგრძელებლები იყვნენ. ივანესაც ჰყავდა თავისი კუმირი, იგი დიდი პაპის – სულა კალმახელის ფასეულობებზე იზრდებოდა.

ბექა I ჯაყელი საფარის მაკეტით

სპარსეთსა და პართიაში, შეჯავშნულ ცხენზე შემჯდარ შეჯავშნულ, გრძელშუბიან რაინდს ნიშნავდა, რომელსაც სოლისებრად შეეძლო შეჭრა მოწინააღმდეგის განლაგებაში.

ბოცო მალე დაწინაურდა და მას დიდი წარმატებაც ხვდა წილად. სირიიდან შემოჭრილ თურქებს ბოცო ჯაყელი გუზან ტაოსკარელთან ერთად დახვდა და უკუაქცია. შესაძლოა გუზან ტაოსკარელის მეგობრობამ უბიძგა ბოცო ჯაყელს გიორგი რუსის მხარეზე გადასვლა 1190 წელს. შესაძლოა სხვა მიზეზებიც იყო ამისათვის. მთავარი ისაა, რომ ციხისჯვარელებმა თავიანთი ნათესავის ბოცო ჯაყელის დამარცხება სწრაფად გამოიყენეს და ნიალის ბრძოლის შემდეგ ჯაყის ციხე აიღეს. ასე გახდნენ ციხისჯვარელები ჯაყელები.

მთავარი ისაა, რომ საქართველოს რეალური ისტორია ბიბლიურ ტრადიციას ეყრდნობა. არავინ არსაიდან არ მოდის. ყველა საკუთარი წინაპრის ტრადიციითა და მიმართულებით ვითარდება. ჩორჩანელთა ერთმა შთამომავლებმა შეცვალეს ჩორჩანელთა მეორე შთამომავლები. ასე შეიქმნა ჯაყელთა მეორე დინასტია 1191 წელს.

მაგრამ მაინც არ მასვენებს კითხვა – რატომ ჯობდა ჯაყი ციხისჯვარს?

პასუხი საფუძვლიანია და ის ამგვარად ჟღერს: ჯაყის ხეობა და ჯაყის წყალი ეს ძველი ფეოდალური სახლია. იგი მრავალ წყაროშია აღწერილი. ჯაყზე გადის ბიზანტიასთან დამაკავშირებელი მთავარი გზა. ბიზანტია იმ ეპოქის ესთეტიური აზროვნებაა. ბიზანტია ცივილიზაციაა, ფილოსოფიაა, პროზა, ხელოვნება, შეიარაღება, სამხედრო სტრატეგია და ტაქტიკაა, ანუ ყოველი ის, რასაც ქართველი მიელტვის ადრეულ და შემდგომ შუა საუკუნეებიდან მოყოლებული.

***

დავაკვირდეთ იმ პერიოდის ქართულ ფრესკებს. ამას წინათ ჯაყელთა საგვარეულო მონასტერში გახლდით და საფარის, წმინდა საბას მონასტერში შემძრა გაბრიელ მთავარანგელოზის ფრესკამ, რომელსაც წითელი მოსასხამი აქვს მოგდებული. ამ ფრესკაზე მთავარანგელოზი ქართველი მეომრის იდეალებს ასახავს. მას აცვია ბიზანტიური გლივარიუმი!

***

„გლივარიუმი" ბიზანტიური აბჯარი გახლავთ, მას ქართველნი დიდად ჰყვარობდნენ. გლივარიუმი მოქნილი იყო, მას დიდი პროფესიონალები ქმნიდნენ. ეს არ იყო მხოლოდ ჯაჭვის პერანგი, ეს იყო ფოლადის ფირფიტები, ჯაჭვი და ტყავი, უზადო დიზაინით შეკაზმული. გლივარიუმს ნაკლები სიმძიმე ჰქონდა და მასში აღჭურვილი მეომარი მოწინააღმდეგეს უვნებლად მიუახლოვდებოდა.

მთავარანგელოზს გლივარიუმს ზევით, წითელი მოსასხამი აცვია ამ ფრესკაზე. ეს იმასაც ნიშნავს, რომ იგი სისხლისათვის მზად არის. წითელი ფერის სამოსს ან მოსასხამს იცმევდნენ იმისათვის, რომ სისხლი მათთვის ნაკლებად შემაწუხებელი ყოფილიყო. სხვათა შორის, სწორედ წითელი იყო ჯაყელთა ფერი. „წითლოვანნიო" – ასე იხსენიებდნენ მათ. ბორჯომის რაიონში, ქვაბისხევის მონასტერში არსებულ უძველეს ფრესკებში წითელი ფერი სჭარბობს.

***

კლდეკარელი ბაღვაშების გაძლიერება იმის გამო მოხდა, რომ მათ ბიზანტიასთან ცხოველი ურთიერთობები ჰქონდათ. ციხისჯვარელმა ჯა-

ივანე I ჯაყელი ციხისჯვარელი

ყელებმა ბიზანტიის გზაზე დიდი პოლიტიკური მომავლის შექმნა განიზრახეს მაგრამ, ცოტა სათქმელს გავუსწრებ და ვიტყვი, რომ მათ ამ გზამ დიდი მსხვერპლი და სისხლი არგუნა. უკვე მომავალ წლებში, ბიზანტია ნელ-ნელა სუსტდებოდა. გზა, რომელსაც საქართველო ელინურ კულტურასთან უნდა დაეკავშირებინა, უეცრად მომთაბარე დამპყრობლების შემოჭრის გზად გადაიქცა.

მართალია მესხეთი ძალიან ძლიერად იქნა გამაგრებული ციხესიმაგრეებით იმ პერიოდში და მომავალში, მაგრამ სიმაგრეს მაინც მეორადი მნიშვნელობა ჰქონდა პროფესიონალურად გაწვრთნილ მტერთან ბრძოლის ჟამს. მესხეთს ფილოსოფიური, პროზაული და პოეტური სკოლები ჰქონდა დაფუძნებული და ამ სკოლების განვითარებას მშვიდობა უნდოდა. მშვიდობა კი დამთავრდა ძალიან მალე და მესხეთის გზა, იგივე ჯაყის გზა, სისხლის ფერი გახდა, როგორც საქართველოსათვის, ისე მისი ერთ-ერთი მთავარი რეგიონის – მესხეთისათვის.

მაგრამ აქაც, ჯაყელებმა დიდად იშრომეს, იომეს, იმძლავრეს, იდიპლომატეს და მათთვის უცნობი მაკიაველიზმის პარადოქსული გამოყენებით, თავიანთი მხარე მე-19 საუკუნემდე გადაკეტეს, არავინ მიაკარეს მათთვის სანუკვარს მესხეთს და ახალციხეს. ოლთისშიც ჰქონდათ ერთხანს დედაქალაქი, სადღაც შორს, სირიის საზღვართანაც ჰქონდათ მისტიური სასახლე – ისაყ ფაშასი, მაგრამ ახალციხე, რაბათი, საფარა, ზარზმა, ჭულე, ოძრხე, ოქროს ციხე, ვარძია, ვაჰანი, აწყური, ხერთვისი და თმოგვი, მათი მთავარი რეზიდენციები იყო, როგორც ამქვეყნად, ისე იმქვეყნადაც.

***

პროფ. მიხეილ ბახტაძის აზრით – ნიალის

ბრძოლის შემდგომ ივანე ჯაყელმა მიიღო ჯაყელთა ძველი თანამდებობები, სამცხის ერისთავობა და სამცხის სპასალარობა. შემდგომ მას ლაშა-გიორგიმ და რუსუდანმა უბოძეს მეჭურჭლეთუხუცესის სახელო. ფაქტიურად ივანე ჯაყელი მე-13 საუკუნის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პროვნება გახდა.

რატომ მოხდა მისი კარიერული ზრდა ასე სწრაფად? პასუხი მარტივია. ბაგრატიონები ხედავდნენ, რომ ჯაყელ ციხისჯვარელთა საგვარეულო ბოლო 300 წლის განმავლობაში, მათი არა მარტო ერთგული, არამედ უაღრესად თავზეხელაღებულიც კი იყო სამეფო კარის მტერთან ბრძოლაში. წინაპრების მსგავსად ჯაყელ - ციხისჯვარელებს სიფრთხილე არ ახასიათებდათ. მათთვის წითელი ფერის მიკუთვნება ეს არ იყო მხოლოდ ესთეტიური გემოვნება. ჯაყელებს მტრის სისხლი სწყუროდათ და არც საკუთარი სისხლის დანთხევისაგან იკავებდნენ თავს. შესაბამისად მათი მთავარი – გაბრიელ მთავარანგელოზის ტაძარი იმდენი წითლით არის შემოსილი, რომ უმალ იფიქრებ – იგი მტრის სისხლითაა გასვრილი, მაგრამ მაინც მუდამ მომღიმარია და გამარჯვებული.

***

ივანე ჯაყელ-ციხისჯვარელმა ნიალის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ სწრაფად გარდაქმნა თავისი სამხედრო ძალა და მომავალი ბრძოლებისთვის მომზადება დაიწყო. 1203 წელს გმირულად იბრძოლა ბასიანის ომში. ამ დროს, როგორც ჩანს, თორელთა და სამცხელთა ლაშქარში იბრძოდნენ ჯაყელ-ციხისჯვარელები. ბასიანის ომში ლიდერად და წარმართველად რამდენიმე სარდალია დასახელებული. წინამბრძოლნი კი ყოველთვის იყვნენ მესხნი, რომელთაც შალვა ახალციხელი უძღოდა. როგორც ჩანს, სამცხის სპასალარი სწორედ საქართველოს ავანგარდის სარდლის – შალვა ახალციხელის პირად დაქვემდებარებაში უნდა ყოფილიყო.

გადმოცემის თანახმად, ბასიანის ომში ივანე ჯაყელს წარბში მოარტყეს ქეიბური. როგორც ჩანს, სამცხის სპასალარს გახურებული ხელჩართული ბრძოლის დროს, ჩაფხუტი გადასძვრა, სხვანაირად, შეუძლებელი იქნებოდა, მისთვის ისრის სახეში მორტყმა მტრისაგან. ეს ფაქტი კი ბევრ იმ მნიშვნელოვან დეტალზე დაგვაფიქრებს, რომელიც ბასიანის ომის შესახებ მთლიანად და ღრმად შესწავლილი არ არის.

როგორც ვიცით, ქართველები მოულოდნელად წამოადგნენ თავს იკონიის თურქთა ლაშქარს. ამისათვის მათ ქარავნების მიმოსვლის შეჩერება მოუხდათ. ანუ ჯარი ფარულად მიდიოდა თურქებისკენ. შესაძლოა წინ მავალი რაზმი, წინამბრძოლები, უსაჭურვლოდ იყვნენ და როდესაც ისინი ეძგერენ მტერს, ამ დროს მათ ხელთ მხოლოდ ხანჯლები ეპყრათ.

ეს ყველაფერი ზუსტად არ არის მემატიანის მიერ აღწერილი. ფაქტია, რომ უჩაფხუტო სამცხის ერისთავს წარბი გაუპო მტრის მშვილდოსანმა. ივანეს ამის შემდეგაც ბოლომდე უომია ბასიანის ომში.

„მარჯვენაწარბგაჩეხილი„– ასე უწოდებს მას დიდი ქართველი პოეტი ლადო ასათიანი.

***

ივანე ჯაყელს ჰყავდა ერთი ვაჟი სახელად ბექა, რომელიც ლაშა-გიორგის პირად ამალაში იყო ჩარიცხული. როგორც ჩანს, მეფე-რაინდი, ლაშა-გიორგი, განსაკუთრებით აფასებდა ბექას თვისებებს. ისინი თავიანთი უშიშარობით პირველ ბრძოლაშივე გამოიცადნენ განძასთან.

„თჳთ მეფე ლაშა წინა მიეტევა მჴნედ და ძლიერად, თჳთ გოლიათი მკლავითა სჳანითა და ჴელითა გოლიათითა, რომლის თანა წინა-მბრძოლობდეს ძლიერად ყუარყუარე ჯაყელისა შვილი პირმშო (იგულისხმება ბექა),... ბოცო ბოცოს ძე, მემნას ძმა, რამეთუ ესენი წინა-განეწესნეს. ვითარ იხილეს სიმჴნე მათი განძელთა, სწრაფად ივლტოდეს პირისაგან მათისა, და სდევნეს ვითარ კართამდე ქალაქისად, მცირედღა შეივლტოდეს ქალაქად, და უმრავლესი ტყუე ყვეს და ზოგნი მოისრნეს “ (ჟამთააღმწერელი, გვ.525).

ბექა ივანეს ძე ჯაყელ-ციხისჯვარელი განძის ბრძოლაში ოცი წლის იქნებოდა. ე.ი. ის დაახლოებით 1190-1192 წლებში უნდა ყოფილიყო დაბადებული.

განსაკუთრებით საინტერესო კიდევ ერთი ფაქტი: ბექა ჯაყელი ლაშა-გიორგის ამალაში ბოცო ბოცოს ძესთან, ანუ ბოცო ჯაყელთან ერთად იბრძვის განძელთა წინააღმდეგ. რა არის ეს, თუ არა ლაშა-გიორგის მცდელობა – თავის დაკვირვების ქვეშ ამყოფოს როგორც ჯაყელი ციხისჯვარელები, ასევე ჯაყელი ბოცოსძეები.

***

საინტერესოა, რა დამოკიდებულება იქნებოდა ბექა ჯაყელ-ციხისჯვარელსა და ბოცო ბოცოს ძე ჯაყელს შორის? ალბათ, გულითადი. ახალგაზრდები, განსაკუთრებით ნათესავები, სწრაფად უახლოვდებიან ერთმანეთს და მათი მეგობრობა გულწრფელია. ეს ხდება შოთა რუსთაველის ეპოქაში. ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ შოთა რუსთველის ფილოსოფია უკვე ცნობილია ყველა ქართველისათვის. ამ პერიოდში, რა თქმა უნდა, შოთას წიგნი ჯერ არ არის დაგმობილი კლერიკალების მიერ. შესაძლოა ხალხი შოთას სტრიქონებს ხმამაღლა ზეპირად ამბობს და შოთა რუსთველის ესთეტიური ხედვა მეგობრობაზე უკვე გავრცელებულია სასახლის კარზე.

ცოტა ზედმეტად გაზვიადებული აზროვნება გამოგვდის. მაშინ, როცა 21-ე საუკუნეში ახალი წიგნი რამდენიმე წელი ვერ აღწევს ადამიანის გონებამდე, როგორ უნდა წარმოვიდგინოთ რომ მე-13 საუკუნის დასაწყისში „ვეფხისტყაოსანი“ უკვე ამგვარ ცნობილ პოემად გვევლინება?

ვფიქრობთ, შოთას სხვა ლექსებიც არსებობდა და ისინი უკვე პოპულარული იქნებოდა საქართველოს მცხოვრებთა შორის.

მთავარი ისაა, რომ ლაშა-გიორგის რაინდული შეხედულებები იმაშიც ვლინდება, რომ მას საკუთარ ამალაში, უფრო სწორად, სამეფო წინამბრძოლ მხედრობაში ორი ურთიერთ დაპირისპირებული ჯაყელი ჰყავს. ერთია ციხისჯვარელი ჯაყელი, გოლიათურად მებრძოლი ბექა, რომლის მამამ ჯაყის ციხე წაართვა ნათესავ ბოცოს და მეორეს მხრივ, ამავე ბოცოს, უფრო სწორად, დიდი ბოცო ჯაყელის შთამომავალ ბოცო ბოცოს ძეს, რომელმაც დაკარგა კიდევაც ჯაყის ციხე და საცხოვრებლად სხვა ხეობაში გადავიდა.

თავად ბრძოლის ამბებიდან ირკვევა, რომ ბექა ციხისჯვარელ-ჯაყელი და მისი თანარაზმელი, ბოცო, ერთად დგანან, ისინი მტერს თავდადებულად ებრძვიან და, ალბათ, ლაშა-გიორგის გულში ეღიმება კიდეც, რომ საკუთარ რაზმში ხედავს ამ ორ მერძოლს. ჩემის აზრით, ლაშა-გიორგი და მისი რაინდული ფილოსოფია თავგადასავლების სურვილით ჰკვებავს ამ რაინდებს. „რად ვებრძოლოთ ერთმანეთს ჯაყის გულისათვის, მაშინ, როცა წინ ირანისა და ხორეზმის ციხეებია, ისინი დავიპყროთ, ან, იქნებ, მალე ჯვაროსნულ ლაშქრობაში მივიღოთ წილი და პალესტინაში დავაარსოთ ახალი საქართველო“.

აშკარაა, რომ ახალგაზრდა მეომრებს ლაშა-გიორგის იდეალიზმი ასაზრდოვებს. ისინიც ერთად შეკრული მტერს ძალიან ძლიერ დარტყმას აყენებენ, მაგრამ საქართველოს ჯარის მთავარსარდალი მხარგრძელი გაბრაზებულია. მიუღებელია მისთვის მეფისა და მისი ამალის მხრიდან სამხედრო სტრატეგიის კანონების დარღვევა. ამ საკითხში მხარგრძელი, რა თქმა უნდა, მართალია.

*

მეფეთ - მეფე ლაშა-გიორგი ჯვაროსნული ომისთის ემზადება. განუწყვეტლივ მზადდება იარაღი და ცხენთა აღკაზმულობა. ქართული ჯარი იერუსალიმისკენ გალაშქრებას გეგმავს. მაგრამ ამ დროს გამოჩნდნენ მონღოლები. მათ ორი გენიალური სარდალი მოუძღვოდა – ჯვებე და სუბდაი. ისინი საქართველოს სამეფოს სამხრეთ პროვინციებში შემოიჭრნენ. მეფე ლაშა-გიორგიმ ჯარი შეყარა და მდინარე ბერდუჯის ნაპირზე, საგიმის ველზე, გაუმართა ბრძოლა მონღოლთ. სამცხის სპასალარის ვაჟი ბექა ივანეს ძე ჯაყელი, ლაშა-გიორგის გვერდით იდგა ბერდუჯის ომში. როგორც ჩანს, თავად მეფე-რაინდი ლაშა-გიორგი ამ ბრძოლის დროს წინა ხაზზე იბრძოდა. ქართველებმა მონღოლებს ძლიერად დაჰკრეს. ამ დროს მონღოლები გაიქცნენ. ბექა ჯაყელი წინამბრძოლთა შორის იყო. მონღოლებმა ქართველთა მძიმე კავალერია შეიტყუეს და ფლანგებიდან დაარტყეს. ამ ილეთს „მანგუდაი“ ერქვა. ამას მონღოლები კარგად იყენებდნენ ევროპული ტიპის ჯარის წინააღმდეგ. ქართული ჯარიც ევროპული სისტემით იბრძოდა. ეს იყო რაინდული ლაშქარი და მას მძიმე ცხენოსან ჯარზე ჰქონდა დიდი იმედები დაფუძნებული. ქართველები მონღოლებს სამჯერ სჭარბობდნენ.

ბერდუჯის ბრძოლა ქართველთა მარცხით დამთავრდა. მძიმედ დაიჭრა ლაშა-გიორგი. მონღოლებმა ქართველებს ალყა შემოარტყეს, მაგრამ ალყა არ დაუხურავთ, პირიქით, ქართველებს გაქცევის საშუალება მისცეს. უკან დახევის დროს დაიღუპა უამრავი ქართველი. როგორც ჩანს, ბექა ჯაყელი ქართველთა უკან დახევას იფარავდა. მისთვის უჩვეულო იყო ბრძოლიდან გაქცევა.

„ ივლტოდეს ქართველნი და სპანი და თჳთ მეფე ლაშა, და ურიცხჳ სული ქრისტიანე მოკუდა, სადა-იგი დიდიცა ივანე ათაბაგი, სამცხისა სპასალარი, ძლით, ცოცხალი განერა, და მეჭურჭლეთ-უხუცესის ყუარყუარეს შვილი ბექაი მოიკლა, ძლიერად ბრძოლილი.“ – ამბობს ჟამთააღმწერელი.

ივანე ჯაყელის ტრაგედია დიდი იყო. მას დაეღუპა ერთადერთი ვაჟი, მაგრამ დარჩა შვილიშვილები მისგან.

*

1235 წლის ახლო ხანებში, მონღოლთა მეორე შემოსევისას, ქართველმა მთავრებმა მტერს მორჩილება გამოუცხადეს, გამონაკლისი იყო სამცხე, რომელმაც რუსუდან მეფის გამო, მონღოლებს მორჩილებაზე უარი უთხრა. განრისხებულმა ჩაღათა ნოინმა დალაშქრა და სასტიკად მოაოხრა სამცხე. ივანე ჯაყელ-ციხისჯვარელი არ დანებდა მონღოლთ, ის თავისი შვილიშვილებითა და ლაშქრით ციხისჯვარში ჩაიკეტა და მონღოლებს იქიდან იგერიებდა.

„ამათ ულხინებელთა ჭირთაგან შეიწრებულნი მთავარნი საქართველოსანი ყოველნი მიენდვნეს თათართა, ჰერ-კახნი და ქართველნი, თორელი გამრეკელი, თმოგუელი სარგის, კაცი სწავლული და ფილასოფოსი და მრავალღონე. ხოლო მესხნი სათნოებისათჳს მეფისა რუსუდანისა არა მიენდვნეს. ამისთჳს განძჳნებულმან ჩაღატა ნოინ აღიმჴედრა სამცხესა ზედა, არამედ მესხნი შეიწრებულნი შიშისაგან შეივლტოდეს ციხეთა შინა. ესრეთ მოისრა და ტყუე იქმნა სული მრავალი სამცხეს, და ბევრი ერი მოიკლა.“

*

ივანე ციხისჯვარელი, რუსუდან მეფისაგან პირდაპირი ბრძანებით ბოლოს მაინც დაუზავდა მონღოლს. ჩაღატა ნოინმა დიდი პატივით მიიღო ჯაყელი და სამცხეში სისხლისმღვრელი ომი დროებით შეწყდა.

*

1247 წელს ივანე I ჯაყელი ცოცხალი აღარ არის. ის, ალბათ საფარაში დაკრძალეს. სამცხეს მისი შვილიშვილი სარგის ჯაყელი ციხისჯვარელი დაეპატრონა. მან სამცხეში მიიპატიჟა ლაშა-გიორგის ვაჟი, მეფე საქართველოისა დავით ულუ. მონღოლთაგან შევიწროვებული მემკვიდრე გიორგი ლაშასი, აჯანყების გზას დაადგა. მეფე და მისი ერთგული სარგის ჯაყელი მონღოლთა იმპერიას ხმლით ხელში დაუპირისპირდნენ. თითქოს ივანე ჯაყელ-ციხისჯვარელი გაცოცხლდა, სამცხის მთავარი შვილიშვილში განივთდა. სულთა მატიანეებიდან ცნობილია რომ ამ პერიოდის ჯაყელები დიდ პატივს მიაგებდნენ გმირი წინაპრების, სულა კალმახელის, ივანე ციხისჯვარელის, მირიან ბაჰლაუნდისა და ლატავრა დედოფლის სულებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი მუდამ მზად იყვნენ თავგანწირვისათვის.

1261 წლის მაისში ყაენის ბრძანებით არღუნი დიდძალი ჯარით კვლავ შევიდა სამცხეში, მაგრამ დავით VII-ის ხელში ჩაგდება ვერ მოახერხა, ვერც ჯაყელთა რეზიდენცია – ციხისჯვარი აიღო და ივნისში უკან გაბრუნდა.

ამგვარი მარცხი მონღოლებს არ ახსოვდათ!

შემდგომ წლებში სამცხე გადაიქცევა საქართველოს ბეღელად. ამას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სარგისის ვაჟი, ივანე ჯაყელის შვილთა შვილი, გენიალური პოლიტიკური მოღვაწე, სარდალი და დიპლომატი, ბექა სარგისის-ძე ჯაყელი. მის დროს სამცხის სამთავრო გაიზრდება და ტაშისკარიდან ერზრუმამდე მიაღწევს. ჯაყელებს დაუნათესავდებიან ტრაპეზუნის იმპერატორები კომნენოსთა გვარიდან. ბექას ერთ ქალიშვილს –ნათელას, საქართველოს მონარქი, დემეტრე II შეირთავს, ბექას მეორე ქალიშვილს ჯიაჯაყს ცოლად და დედოფლად დაისვამს ტრაპიზონის ბერძენი იმპერატორი, ბექას მესამე ქალიშვილს ბექაჰანუმს ყირიმის ნახევარკუნძულის გენუელი მთავარი შეირთავს. ყველა მიელტვის მესხეთის ბრძენ მთავართან დამოყვრებას. მესხნი ჯაყელთა ხელმძღვანელობით არაერთ ბრძოლას მოიგებენ საქართველოს პოლიტიკური ერთობის აღდგენისათვის. რაც მთავარია, ბექა მანდატურთუხუცესი სწორედ სამცხეში აღზრდის თავის შვილიშვილს, საქართველოს მომავალ ხელმწიფეს, გიორგი ბრწყინვალეს.

ამას დაემატება ისიც, რომ ჯაყელები გააგრძელებენ ვარძიის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობას. ააშენებენ საფარის წმინდა საბას ტაძარს, ზარზმას, მათი მოღვაწეობა გასცდება სამცხეს და ისინი ხევისბერ ღუნიასთან ერთად აღაშენებენ გერგეტის სამებას. ამ ამბებთან ერთად ჯაყელები აქტიურობენ იერუსალიმში, სწორედ ქრისტეს საფლავის მიდამოებში მათ აქვთ საგვარეულო ტაძარი, რომელიც საქართველოს კულტურის კერაა.

ჯობა მოღებაძე — 45

რა ჩქარა გადის დრო, ჩვენო ჯობა, თითქოს გუშინ იყო ახლადფეხადგმულ ჩვენი გაზეთის რედაქციაში ფეხი რომ შემოდგი და ლექსების დასტა დაგვიტოვე. თუმცა, სამწუხაროდ, იმხანად, ვერცერთი ლექსი ვერ დაგიბეჭდეთ. მერე და მერე თქვენი მონდომებული, მართლაც შეუპოვარი შრომითა და დიდი მონდომებით, თქვენ „ლიტერატურულ მესხეთთან" ერთად გაიზარდეთ და დღეს, როგორც წარმატებული პოეტი, ამშვენებთ ქართულ მწერლობას.

თქვენი ლექსები ოც წელზე მეტია იბეჭდება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე და სასიხარულოა, რომ ისინი ჭეშმარიტად წრფელი გულით შეიყვარა ქართველმა მკითხველმა. სასიხარულოა ისიც, რომ თქვენი რამდენიმე ლექსი ამშვენებს „ქართული პოეზიის ანთოლოგიას", ხართ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი და პროდუქტიული შემოქმედი.

სექტემბერი შენი თვეა, 2021 წელი – შენი საიუბილეო წელი, ჩვენო ჯობა. ამიტომაც გვსურს საქართველოს მწერალთა კავშირის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ორგანიზაციისა და გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის" სახელით სულითა და გულით მოგილოცოთ იუბილე და გვჯერა, თქვენი ჭეშმარიტი პოეზიით ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებთ ქართულ მწერლობაში.

კობა მოღებაძე

***

ჩემი წილი ჭაღარით და
ჩემი წილი სიკეთით,
ჯერ თუ ღმერთი არ წამიყვანს
ჩვეულ შარას მივყვები.
ჩემი წილი ცა და მიწა,
ჩემი წილი სათქმელი...
მონატრებად გადაიქცა
დრო, ნაკლებად ნაფერი.
ჩემი წილი საქართველო,
ჩემი წილი მესხობა,
არასოდეს დემეთმობა,
საამაყოდ მეყოფა.
ჩემი წილი ჭაღარით და
ჩემი წილი სიკეთით,
ჯერ თუ ღმერთი არ წამიყვანს
ჩვეულ შარას მივყვები.

გურჯო, გამაგონე ეგ ხმა!

ორჰან ბერიძეს, თურქეთში მცხოვრებ ღირსეულ ქართველს, რუსთაველის კულტურის ცენტრის დამაარსებელს

ქართულგულმხურვალე რომ ხარ,
უკვდავსასწაული გენის,
გურჯო, გაგვაგონე ეგ ხმა,
სიტყვა ფარნავაზის ენის.
ორჰან, გამოღმიდან გიხმობ,
ორჰან, შენი მოდგმა გნატრობს,
განძად წაწყმედილო სისხლო,
მანდაც ქართველურად სახლობ.
ქართულით ამაყო რომ ხარ,
ენას წაგიხდენენ ვერსად,
მარად გაგვაგონე ეგ ხმა,
აქეთ სიმღერად და ლექსად.

***

ვედრება ღმერთს რომ
მივაწვდინო,
სანთელო, ლოცვაში იღვენთეო,
იქნებ ახდენამდე მიმაცილოთ,
რწმენით ნაარსებო იმედებო.

***

წმინდა ნასაყდრალო,
მაინც მლოცველისკენ ილტვი,
ნეტავ ეგ მიდამო
რამდენ კაცის ლოცვას ითვლის.

***

პეშვი არ გითრთის, სამსალას
მთავაზობ, როგორც ღვინოს,
სიყვარულისთვის უფალმა
ბადაგით მაზღვევინოს...

***

„მიშელი" ვერ გიშველის,
თუ არ გინდობს შინ შენი.

ჩემო შვილებო

ჩემო შვილებო,
თქვენით მიყვარს დილა-საღამო,
– ყვავილობაა სიხარულის
მთელი სამყარო.
წამად სიშორით ნატრული ვარ
თქვენს სიახლოვეს,
რაღა მასევდებს, რა მაშფოთებს
თქვენს მამა-მშობელს?!
უფლისა მიმართ მადლიერი
ზეცას ავხედავ,
შვილებო, თქვენით
ბედნიერი მქვია სახელად!

გამოთხოვება

აღარასოდესობა
გულზე როგორ მესობა,
ცათა სასუფევლისკენ
სულის უწმინდესობავ.
არც რა გახლავს საგზალი
გარდა უანგარობის,
ნათელ გექმნეს გზა-კვალი,
იქაც, უფლის წყალობის...
აღარასოდესობა
გულზე როგორ მესობა,
– წამი გამოთხოვების,
– ცრემლით უმწარესობა.

აიმღვრევა ეს დინება

აიმღვრევა ეს დინება,
შური თუა ახლო-მახლოს,
ანგელოზის სხეულიდან
სატანა ვით გავასახლო?..
შენ კი გული გეტკინება,
შენთვის მყოფს რომ
დაგელახვროს,
ოცნებაა – ყოფნა მშვიდად,
სად არ უნდა დაესახლო.
აიმღვრევა ეს დინება,
შენ კი გული გეტკინება,
როს იერით ანგელოზის
სული ბოროტს ეპირება...
მიწას თალხი ეფინება
ზიზღი თუა ახლო-მახლოს,
ანგელოზის სხეულიდან
სატანა ვით გავასახლო?..

***

ვხარობ იმერ-ამერით და
უფრო დიდი არე მინდა.
საუკუნე გასულია ოცნებათა
აფრენიდან.
რას მალევენ კულისებში?
რას გვიმხელენ არუნიდან?
შევატოვეთ მიწა ხელში
ვითომ სტუმართ ასე მშვიდად.
რად ვერ ვიტათ მოძმის
მწვერვალს?!
რად ვერ ვხვდებით ცისკარს
მშვიდად?!
გარე მიწას გვეცილება,
შინა – შურით ზურგში
გვირტყამს.
ვცოცხლობ იმერ-ამერით და
ყველგან მეტი რწმენა გვინდა,
საუკუნე დათვლილია
ქრისტეს ტანჯვა-წამებიდან.
სად წასულა ძველი სითბო,
ან ქართული სული წმინდა?
ვინც ადათის წაშლას ითხოვს,
ვერ ავიტან, არ ავიტან!

***

რაც მეტ სირცხვილს შეჭამს კაცი,
მით მეტ სიამაყეს აცლის...

***

როცა ცხოვრება მღლის,
ხალისი მოაქვს შვილს,
ეს წყალობაა ღვთის,
ვისთვის სიცოცხლე ღირს.

ვასო სადათიერაშვილის დღიური

ქუთაისი

(გაგრძელება. დასაწყ. წინა ნომერში)

ქუთაისში იწყება ჩემთვის სულ ახალი ცხოვრება, რომელმაც ჩემი სიყმაწვილე საკმაოდ დასჩაგრა. აქ იწყება ჩემთვის მეტად მწარე და აუტანელი ცხოვრება. დღესაც რომ გადავხედავ ჩემს ქუთაისში გატარებულს ცხოვრებას, გული მისივდება და ვღონდები. ნუთუ არ შეიძლებოდა, სხვა პირობებში გამეტარებინა ჩემი სიყმაწვილე?

ქუთაისში რომ ჩამოვედით, მახსოვს კარგათ, პირველად დიდია ვნახე. იმან სიყვარულიანად მიმიღო და მომიალერსა. მერე მომცა წითლად შეღებილი კოჭები და მითხრა მათით მეთამაშა. მე კოჭობანა არ ვიცოდი და ამიტომ მაჩვენეს. დაასირავეს კოჭები, მერე გადენენ განზე და ერთის კოჭით დასირავებულებს დაუმიზნეს. რამდენჯერაც მიარტყამდნენ, კოჭები სირიდან ტრიალით გახტოდნენ და ეს მე ძალიან მიხაროდა. მალე შევისწავლე ეს თამაში, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა, არ შემესწავლა, რადგან შემდეგში მან ბევრი უსიამოვნება მომაყენა. ამას ჩემის მოთხრობიდან დაინახავთ.

სანამ ჩემს ამბავს გავაგრძელებდე, საჭიროა გაგაცნოთ დედაჩემის მშობლების სახლობა. ეს შესდგებოდა პაპა ჩემისა, დიდიასი და ხუთის ბიძით; პირველს ერქვა ანტონა, მის მიმდევნოს ბაგრატა, მერე ალექსანდრე. ამას მოსდევდა ალიოზი (შემდეგში შიო) და უნცროს ერქვა სიმონი. მთელი ოჯახობა ერთად სცხოვრობდა. ანტონა იყო ვაჭარი და შემდეგში ქუთაისის ყაფანი ეჭირა. ბაგრატა იყო მეფურნე და ფურნე ჰქონდა. ალექსანდრე სალდათობიდან იყო დაბრუნებული და ბაგრატას შველოდა. ალიოზი სტამბოლში იყო ქართველ კათოლიკე მამათა მონასტერში და მღვდლად იყო ნაკურთხი (დღეს იგი ამ მონასტრის წინამძღვარია). სიმონი ამ დროს კათოლიკების ეკლესიის კანდელაკი იყო და აგრეთვე, კოკოჩევის აფთიაქში მუშაობდა (შემდეგში ეს აფთიაქი შეისყიდა და დაერქვა სიმონ მათნაშვილის და ამხ. აფთიაქი. ბოლშევიკების შემოსევის დროს, 1921 წელს. ეს აფთიაქი რუსებმა ჩამოართვეს). ამ ოჯახობის ხასიათსაც მოკლედ გაცნობებთ.

პაპაჩემი იყო ძლიერ სასტიკი ადამიანი, ძალიან ადვილად ჯავრდებოდა და ვაი იმას, ვინც ამისთანა დროს ხელში მოხვდებოდა, არ დაინდობდა და გამეტებით სცემდა. ამის გარდა უყვარდა სმა და ჩხუბში არა იშვიათად ჩარეულა. დიდია ჩემი თუმცა მკაცრი იყო, მაგრამ სამართლიანი და გულკეთილი. ეს ბევრჯერ გამომესარჩლებოდა. ანტონა იყო ძალიან ამაყი, თავისი ცოლის ყურმოჭრილი მონა, უყვარდა სმა, ამ მდგომარეობაში ჩემს მშობლებს ბევრ უსიამოვნებას აყენებდა. ჩვენთვის, თავის ცოლის წყალობით, ხელმოკუმული იყო, სხვებისთვის კი (თავის ცოლის ნათლულებისთვის) ხელგაშლილი და გულუხვი. ეს დედაჩემს გულს უკლავდა. ამ ძმისგან



ძველი ქუთაისი

დედაჩემმა ბევრი უსამართლობა გამოიარა და ბევრი იტანჯა. დღესაც მისგან გასახარელი არა აქვს რა და ყველა ეს თავის ცოლის წყალობით, რომელიც განხორციელებული ჭინკაა. ამ პიროვნების დახასიათებას საჭიროდ არა ვრაცხ. რადგან არა მსურს ჩვენს გვარს ამითი ჩირქი შევცხო, მხოლოდ საკმარისია, თუ რომ ვიტყვი, რომ ეს ადამიანი ენად გაკრეფილი იყო; ამ მნიშვნელობის ახსნას კი მკითხველებს მივანდობ.

ბაგრატა იყო მხიარული ხასიათისა, დიდი ეშმაკი კაცი, გამხდარი ტანისა, უყვარდა ძალიან სმა და ქეიფი. ნასვამი ძალიან დაჯინებული იყო და გვაქცევდა, მაგრამ საკმაოდ ხელგაშლილი იყო. ლოთობამ გადაიტანა იგი, თორემ სხვაფრივ დასაწუნი არ იყო.

ალექსანდრე იყო ნამდვილი სურათი ყაზბეგისა და მასაც შეგვიძლია არხეინად დაუძახოთ „მოჩხუბარიძე". ეს იყო მეტად მშვიდი და წყნარი, ნამდვილი სურათი ალექსანდრე ყაზბეგის „მოძღვარ ონოფრესი" მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ალიოზს არ უყვარს.

სიმონი იყო თუმცა მკაცრი ხასიათისა, მაგრამ სამართლიანი, მშობლების მოყვარე და მზრუნველი, მხიარული და მუყაითი ადამიანი, ყველგან მიღებული და პატივცემული და ყველას საყვარელი, სმა არ უყვარდა. ეს ზრუნავდა თავგამოდებით ჩვენთვის და ჩვენ ნამდვილი მამობა გაგვიწია. ამას ვერასდროს უსაქმურად ვერ დაინახავდით. თუმცა კი ჩვენ ხშირად მკაცრად გვეპყრობოდა (ე.ი. მე და ჩემს ძმას პეტრეს), მაგრამ ეს მომეტებულად ჩვენივე ბრალი იყო. მართალია შესაძლებელი იყო, ჩვენ სხვანაირად მოგვქცეოდა, მაგრამ თითონ საშინლად მკაცრად აღზრდილი, სხვებსაც უნებლიედ ამნაირათვე ეპყრობოდა და ამის გარდა საქმე დროს არ აძლევდა, დამშვიდებით მოგვპყრობოდა. მისდა საქებურად კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენთვის თავი არ დაუზოგია და თუ დღეს რამე ვარ, მიმეტებული წილი მის წყალობითა ვარ. ჩვენ მისგან იმდენად დავალებული ვართ, რომ არ ვიცი, თუ ოდესმე შევსძლებ სამაგიეროს გადახდას. ყველა შემთხვევაში ვუძღვნი მას ამ ადგილას ჩემს გულითადს მადლობასა.

ეხლა რა ჩვენი ოჯახობა გაგაცანით, შეგვიძლია ჩემი ამბავი გავაგრძელოთ.

აბანოში სიმღერებს დაჩვეული, მე ქუთაისშიც ვმღეროდი. მეზობლები დამიძახებდნენ და მამღერებდნენ. ბოლოს სახლში ეს დამიშალეს. რადგან ხალხი მასხრად მიგდებდა.

არ იქნებოდა ერთი წელიწადი გასული, რაც ჩვენ ქუთაისში ჩამოვედით, როდესაც მამაჩემი ლოგინად ჩავარდა. მიზეზად ციება მოიყვანეს. ნამდვილი მიზეზი კი შემდეგში გავიგე. სანამ მამა ჩემი შეძლებულად იყო, ჩემ უფროს ბიძებთან დაახლოება არ უნდოდა, რადგან მათს ხასიათს იცნობდა. ეხლა როდესაც გაღატაკებული იყო, იგი იძულებული გახდა, იმათსა შეეფარა თავი. ესენი კი, იმის მაგიერ, რომ ამ ბედისაგან მწარედ გამოცდილი ადამიანისათვის თანაეგრძნოთ, მას ჰლანძღავდნენ და ყველანაირ დამცირებას აყენებდნენ. მამაჩემი ამას მოთმინებით იტანდა. ერთხელ მამაჩემი ბაგრატასა და ალექსანდრესთან ერთად აბანოში წასულიყვნენ. ბანების შემდეგ ესვათ. მამა ჩემი აქაც ქირდად აუგდიათ და ბაგრატა მთვრალობაში ისე გათამამებულიყო, რომ მამაჩემისთვის სილა გაერტყა. ესღა აკლდა, რომ ვარამი გავსებოდა. მამაჩემს თავის გადასაყოლებლად ძალზე ესვა და ნაბანევისთვის სიცივეს დაეკრა. მოვიდა შინ და ჩაწვა ლოგინში, რომ აღარ ამდგარიყო. დარდმა და უკაცურმა მოპყრობამ სიცოცხლე მოუსწრაფა სიცოცხლით სავსე ადამიანს. 38 წლისა იგი მიწას მივაბარეთ.

კარგად მახსოვს, მე მამაჩემს ავათმყოფობისს დროს გვერდიდან არ ვცილდებოდი, თავთან ვუჯექი და ვტიტინებდი. ეს იყო იმისი ერთად ერთი თავის გართობა. ის ხშირათ მეტყოდა ხოლმე: – „შვილო, შენა ხარ ჩემი იმედიო". მამაჩემი ისეთი დასუსტებული იყო, რომ კარში მარტო ვერ გავიდოდა. საჭირო იყო მიშველებოდა ვინმე, მაგრამ, საზოგადოთ, არავის აწუხებდა. თუ რომ კარში გასვლა მოუნდებოდა, მეტყოდა ხოლმე, შვილო, ჯოხი მომაწოდეო და მეც მივცემდი. ცალი ხელით ჯოხზე დაეყრდნობოდა ხოლმე, მეორეთი კი მხარზე და მეტყოდა:

– „შეგიძლია მატაროო?" მე, რასაკვირველია, „ჰოს" ვეუბნე-

ბოდი და ისიც გაიღიმებოდა. ამოუდგებოდა გვერდით და დამყავდა ცოტაოდენი. ეს მე ძალიან მიხაროდა და მაამაყებდა.

ქუთაისში ჩემს დროს რუსები ქუჩა-ქუჩა მაროჟნისა და კვასს ჰყიდნენ. მამაჩემი ხშირად სჭამდა მაროჟნის, რადგამ წყურვილს რაოდენათმე უკლავდა და პირს უსველებდა. ერთ დღესაც ჩამოატარეს მაროჟნი. მამა ჩემმა სთხოვა, დედას ეყიდნა. ეტყობა მამა ჩემი ძალიან ავათ იყო, რომ დედამ უთხრა: – „არ შემიძლია, ვერ გიყიდიო, ექიმისგან დაშლილიაო“. მამა ბევრს ეხვეწა, მაგრამ დედამ არა ჰქნა, რადგან მართლა დაშლილი ჰქონდა. მამა რომ გარდაიცვალა, დედა ჩემი ხშირად იტყოდა ოხვრით: – „ნეტავი იმ დღეს მაროჟნი მეყიდა და მომაკვდავისთვის ბოლო ნატვრა მაინც შემესრულებინაო“.

რამდენიმე დღის შემდეგ მე მამაჩემის ლოგინიდან მომაშორეს და მეზობლებთან გამგზავნეს. მე ვერ ვხვდებოდი, თუ ამას რისთვის შვრებოდნენ. პირველ ხანს მე დავმორჩილდი, მაგრამ ბოლოს ცდა მომწყინდა და მამასთან წასვლა მოვინდომე. ძალიან გამიკვირდა, რომ სახლში არ გამიშვეს. ბევრი ვეხვეწნე, მაგრამ ჩემმა ხვეწნამ არ გასჭრა. მე ტირილი დავიწყე და მეზობლები მეალერსებოდნენ და ცდილობდნენ ჩემს დამშვიდებას. მთხოვდნენ, კიდევ მემღერა, მაგრამ მე სიმღერისთვის არა მცალოდა. ვიჯექი მთელი საათობით და ფანჯრიდან კარში დაღონებით ვიცქეროდი. ღამეც მეზობლებთან გავატარე.

მოვიდა მამას დამარხვის დღე და მაშინ შემატყობინეს, რომ მამაჩემი გარდაცვლილიყო. მე მოვრთე ტირილი და სანამ არ დავიღალე, არ გავჩუმებულვარ. შუადღის შემდეგ მამაჩემი სახლიდან გამოასვენეს და სასაფლაოზე გაასვენეს. მე ერთ ეტლში ჩავჯექი და მიცვალებულის კუბოს ხალხის უკან გავყევი. შუა გზაში დავინახე დედაჩემი. საბრალო ადამიანი მთლად ცრემლად იღვრებოდა. მას მხრებში ამოსდგომოდნენ რამდენიმე მეგობარი ქალი და ძალით სახლში მიჰყავდათ, რადგან მეტის მწუხარებით ძალიან დასუსტებულიყო და სიხარულის სახსარი აღარ ჰქონდა. რომ ჩამოატარეს, იმისთანა მწუხარე თვალებით შემომხედა, რომ ცრემლები ღაპაღუპით წამომაყრევინა თვალებიდან. ეს სურათი ცხოვლად ჩამებეჭდა გუნებაში და დღესაც მკაფიოდ მიდგია თვალწინ. ამის გახსენებაზე მე გული მეხუთება და ცრემლები მერევა თვალებში. საბრალო დედავ, რომ გცოდნოდა მაშინ, თუ რამდენი მწუხარება უნდა გაგევლო ჩენთვის?.. მე სასაფლაომდი გავყევი და სხვა ყმაწვილებთან ერთად უკან დავბრუნდი. სახლში რომ შევედი, გაშლილი სუფრა დამხვდა. ჩვენი ნათესაობა შეყრილიყო რამდენიმე სხვა სტუმრებთან ერთად და ქელეხი გაემართათ. მე რომ შევდიოდი შინ, პაპაჩემს ღვინის ფიალა ეჭირა ხელში და მამა ჩემზე სიტყვას ამბობდა. ის იყო სიტყვა დაამთავრა და წარმოსთქვა „მისი სულის საცხონებლადაო“, რომ უცბათ ფიალა ხელიდან გაუვარდა, ღვინო დაიღვარა და ფიალა დაიმსხვრა. – „ეს იმის კერძი ყოფილაო“, – წარმოსთქვა პაპაჩემმა და სხვა ფიალა აიღო, შემდეგ რა მოხდა, მე აღარ მახსოვს..

აქ იწყება ჩემი ობლობა და თუ ობლობა რა მწარეა, ამას ჩემი მოთხრობა ნათლად გაჩვენებს.

ქუთაისში მე კათოლიკების სახალხო სასწავლებელში მიმაბარეს. კარგად მახსოვს, ჩემს განყოფილებაში პირველი მოსწავლე ვიყავი და წლის ბოლოს ნიშნები რომ დაგვირიგეს, მე მთლად ხუთები მქონდა. მე, როგორც ზემოთ მოგახსენეთ,, ბუნებით ძალიან ცელქი ვიყავი, ამასთანავე, ღონიერიც და მიყვარდა ჩემს ტოლებთან ჭიდაობა. ვაი იმას, ვინც მე წამეჩხუბებოდა: შავს დღეს დავაყენებდი. ბევრჯერ გამილახია ჩემი მოწინააღმდეგეები. ჩემი ამხანაგები, რასაკვირველია, მაქებებდნენ ჭიდაობაში და ჩხუბში და მეც ამითი გაამაყებული ყველას ვეტაკებოდი და მიწაზე ვანარცხებდი.

როგორც ეტყობა, ქუთაისის ჰაერი არ შემეგუვა, რადგან ავათ გავხდი და ჩემმა მშობლებმა ჰავის გამოსაცვლელად ბიძაჩემ იოსებ სადათიერაშვილთან წაღვერში გამგზავნა. წაღვერი ბორჯომისა და ბაკურიანის შუა მდებარეობს. მშვენიერი კოხტა სოფელია ქალაქური სახლებით. ბიძაჩემი იოსები აქა მსახურობდა რკინიგზაზე. ის აქ ცხოვრობდა თავისი ცოლითა და ერთის ქალიშვილით. ამისი ცოლი რუსი იყო და ბერწი. რადგან შვილი ძალიან უნდოდათ, ერთ ღარიბ რუსის ოჯახობის ქალიშვილი (ჯერ კიდევ უსუსური)) ეშვილათ და შვილივითა ზდიდნენ. ამას თამროს უძახდნენ. მე რომ ამათსა მოვედი, მე თამაროს დავუმეგობრდი და დღემუდამ იმასთან ერთად ტყე-ღრეში დავეხეტებოდით. წაღვერში ერთი დიდი საქანელა იყო, შევსვამდი თამაროს ერთ თავზე, მეორეზე დავდგებოდი მე, ჩავბუქნავდი და ისე ვქანაობდით, რომ ხანდისხან თამაროს თავბრუ დაესხმებოდა და მორთავდა ყვირილს. მე ბუქნას მოუკლებდი და ისიც ჩაჩუმდებოდა. ჩვენ ხშირად დავიარებოდით მთაში მაყვლის საკრეფად. ერთხელაც რომ მაყვალს ვკრიფავდით, თამარომ ყვირილი მორთო. მე მივირბინე მასთან და ერთ ბუჩქთან რაღაცა ვერცხლისფერი გრძელი ცხოველი დავინახე. მე არ ვიცოდი რა იყო და დავავლე ხელი, ავიტაცე ჰაერში და შინჯვა დავიწყე. ის რაღაცა შეინძრა და დაიკლაკვნა. მე ეს ძალიან მომეწონა და თამაროს საჩვენებლად წაუყვანე. იმან რომ ის დაინახა, მორთო ღრიალი, სახლში გავარდა და დამიყვირა: „გადააგდე, გველია, გიკბენსო“. მე ამ სიტყვების გაგონებაზე შემეშინდა, გადავტყორცნე და თამაროს უკან გამოუდექი.

მე, როგორც ზემოთ მოვიხსენიე, ავად ვიყავი. ავადმყოფობაში ფაღარათი დამჩემდა და როგორც ბოვშვს ბევრჯერ მიხდებოდა ხოლმე, რომ საცვალს ვისვრიდი. ბიცოლა ჩემი პირველ ხანებში მირეცხავდა სარეცხს, ბოლოს კი გამიწყრა, თუ როდისმე მომიხდებოდა კიდევ, ჯერ კარგა მცემდა, მერე მომცემდა ჩემს სარეცხს, გამგზავნიდა წყაროზე და იქ მევე უნდა მერეცხა სარეცხი. მე ეს, რასაკვირველია, ჯანმრთელობას უფრო მიკლებდა, რადგან სინოტივეს უნდა მოვრიდებულიყავი. ეხლა კი მთელი დღე გალუმპული დავრბოდი. ეს ბიცოლაჩემს ფეხებზე ეკიდა. საზოგადოთ, ის მე გულცივად მექცეოდა, ბევრს მლახავდა. ბევრჯერ მიტირნია ხოლმე, მაგრამ რა გამეგებოდა? ბიძაჩემი სახლში არ იყო მთელი დღე და ბიცოლა ჩემი, მაშასადამე, როგორც უნდოდა, ისე მექცეოდა. ბიძაჩემი, ცოტა არ იყოს, სუსტი ხასიათის კაცი იყო და მის ცოლს იგი მთლად დაემონავებინა; ამიტომ მე ხეირიანად ვერ გამომესარჩლებოდა. – კარგათ მახსოვს, რომ ჩემს ჩამოსაყვანად დედა ჩემს ძმა ანტონა გამოეგზავნა. წაღვერიდან ჩამსვეს ნახირის ვაგონში და ისევ გამაგზავნეს. მე მარტოთ მარტო ვიყავი ვაგონში და შიშით გული მისკდებოდა, რადგან არ ვიცოდი, სად მივდიოდი. ვაგონის ჭუჭრუტანიდან რომ გავიხედე, მოპირდაპირე მხარეს ერთი სხვა მატარებელი მოდიოდა, – „ვაი თუ იმ მატარებელში უნდა გადავმჯდარიყავი თქო“. – გავიფიქრე და ტირილი დავიწყე, რადგან ეხლა ხომ გზას ავუქციეთქო! როგორც იყო, რიონში ბიძაჩემმა ანტონამ ნამდვილ სამგზავრო მატარებელში ჩამსვა და ცოტა ხანში სახლში ვიყავით. დედამ რომ დამინახა, თავში ხელი შემოიკრა: „ვაი შენს დედასა, შვილო, სთქვა დედაჩემმა, რა ღუჟღუჟა ბოვში გაუგზავნე და რა მიბრუნდებაო“.

რადგანაც სასწავლებელზე ვლაპარაკობ, აქვე მოვიყვან ყველა ჩემს მოგონებებს სასწავლებლიდან. ერთხელ დიდი დასვენება გვქონდა და ეზოში ვთამაშობდით. მთავარი განყოფილების მოსწავლეები ბღლაძულობდნენ და მეც ვუყურებდი. ესენი ჩხუბში ისე გაერთნენ, რომ ზარების რეკა ვერც კი გაიგეს. უცბად გამოჩნდა ბიძა ჩემი სიმონი, რომლისთვისაც ეს შემთხვევა შეეტყობინებინათ. დაგვკრიბა ყველა, ვინც გვნახა, შეგვიყვანა მონასტრის დარბაზში, ჩამოგვასირავა და თვითეულს ჩვენგანს კაი მათრახები გვითავაზა. ბიძა ჩემი სიმონი, როგორც უკვე ნათქვამი მაქვს, კანდელაკი იყო და ეს მეხმარებოდა ეკლესიაში ბანკოების დასაწმენდათ, წირვის მოსახმარებლად და სხვა. ერთ დღეს ეკლესიაში ბანკოები უნდა დამეწმინდა. დიდი დასვენება რომ გვქონდა, ვსთხოვე ერთს ჩემს თანამოსწავლე სალაღოვს, მომხმარებოდა. შევედით ეკლესიაში და დავიწყეთ ბანკოების წმენდა. ეკლესია ცარიელი იყო. მე შარდის დაქცევა მომინდა. ამიტომ სალაღოვს ვუთხარი: – შენ დაწმინდე, მე კარში გასვლა მინდა და ეხლავე მოვალ. როცა დავბრუნდი, დაწმენდა გავათავეთ და სასწავლებელში დავბრუნდით.

გაიარა რამდენიმე ხანმა და უცბათ ხმა გავარდა, ეკლესიის ყუთი გაუძარცვიათ და 30 მანეთი მოუპარიათო. რასაკვირველია, ეჭვი ჩემზე შემოაგდეს. მე ვუამბე, როგორც ვიცოდი. სალაღოვიც უარზე იდგა. არ გასულა ბევრი ხანი და გავიგეთ, რომ სალაღოვს გაეტეხა ყუთი, მოეპარა ფული, ჩაეფლა ეზოში და დროს ქეიფსა და ლოთობაში ატარებდა. ეს შემდეგმა შემთხვევამ გამოააშკარავა. სალაღოვს თავისი თანამოსწავლე თუმანოვი მიეწვია თურმე: ჩამჯდარიყვნენ ეტლში და ქუთაისში დაქრიალებდნენ. მეეტლისთვის სალაღოვს მანეთიანი უჩუქნია. ერთ მათხოვრისთვის აბაზიანი გადუგდია და მერე ბოთლებით ღვინო ესვა. ეს თუმანოვს გაჰკვირვებია და მეორე დღეს სასწავლებელში უამბო. ეს დონ დამიანეს და ბიძა ჩემის ყურსაც მისწვდენოდა, მოეხდინა გამოძიება და სალაღოვი გამომტყდარიყო. მოსთხარეს თურმე ნაჩვენები ადგილები და რამდენიმე მანეთიღა ეშოვნათ. სალაღოვი დონ დამიანეს საშინლად უცემია და სასწავლებლიდან გაუგდია. ამნაირად გადავრჩი ეჭვიანობას.



ძველი წაღვერი

მე ჩემის ცელქობისთვის ხშირად გაულახივართ, რაც მე ვუცემივართ, არა მგონია სხვა ვინმე ეცემოთ, ხანდისხან ისე გავაბრაზებდი, რომ ჯაჭვებითაც კი დამაბამდნენ, უსადილოდ დამაგდებდნენ. არასდროს არ დამავიწყდება შემდეგი შემთხვევა. მე რაღაცა დიდი დანაშაული ჩამედინა. აღარ მახსოვს რა. მოვიდა ბიძაჩემი სიმონი სახლში, ჯერ ერთი ლაზათიანად მიმბეგვა, ფეხებით კარგა გამთელა, მერე ჯაჭვები დამადო და სალოგინეში, ე.ი. ლოგინის საწყობ ოთახში ჩამკეტა და დედაჩემს სასტიკად აუკრძალა, ჩემთვის რამე მოეცა. ლოგინის საწყობი ოთახი ბალკონზე აკრია, ბალკონი კი რიონს გადაჰყურებს. სადილობამ გაიარა, სამხარმა გაიარა და კუჭმა მეტის შიმშილისაგან ტკივილი დამიწყო. დედა ვერაფერს მომცემდა, რადგან კარები დაკეტილი იყო და გასაღები კი სიმონს თან წაეღო. დედაჩემს შევცოდებოდი და ეთხოვნა ალიოზისთვის, ჩემთვის როგორმე საჭმელი მოეცა. დედამ ერთი პატარა ხონჯა გააკეთა, შიგ ჩადო საჭმელი და ყველი-პური. ალიოზმა ერთი სარი გაუყარა ხონჯას და ბალკონიდან სარკმელში შემომაწოდა. ამნაირათ მომაწოდეს საჭმელი. როდესაც გავძეხი, რიონს დაუწყე ყურება. ამ დროს რიონმა უპატრონო შეშა ჩამოატარა ისე ახლოს, რომ ბოვშვსაც კი შეეძლო მისი დაჭერა. მე შეშას ხშირად ვიჭერდი და ამიტომ ძალიან დამენანა, რომ არ შემეძლო ჩარბენა და მათი დაჭერა.

მე ძალიან მიყვარდა თევზაობა, თევზს რომ დავიჭერდი, მაშინათვე ტაშტით წყალს დავსდგამდი, შიგ ვუშვებდი და საათობით ვუყურებდი თუ როგორ სცურავდნენ. ერთხელ ერთი საკმაოდ მოზრდილი თევზი დავიჭირე და ტაშტში ჩავამწყვდიე. დაღამდა და მეც ტაშტს ნახევრად გადავაფარე შეშა, ნახევარი კი თავისუფალი დავტოვე, რადგან მეგონა, თუ უთუოდ ჰაერი უნდა მიუვიდეს, თორემ მოკვდება თქო. მეორე დილას ჩავირბინე სამზარეულოში და მინდოდა ჩემი თევზის ნახვა, მაგრამ ცარიელი ტაშტი დამხვდა. თურმე, ღამეს კატებს ეგრძნოთ თევზს სუნი, ამოეგდოთ ტაშტიდან და შეეჭამათ. ამის შემდეგ მე კატების დიდი მტერი ვიყავი.

ერთხელ რიონი ადიდებულიყო და მღვრიე წყალი მოჰქონდა. მე ანკესი მქონდა გადაგდებული. გამოვწიე და რაღაც მოჰყვა. მე დამპალი შეშა მეგონა და გულმოსულს მინდოდა რიონში გადამეგდო ისა. ის იყო ხელი უნდა დამევლო, როდესაც ის უცბათ შეინძრა და შეშის მაგივრად ვეება თევზი კი გამოდგა. დავეტაკე საჩქაროდ და მთელის ძალით ზედ დავაწექი, რადგან ძალიან მიიბრძოდა წყლისკენ. მოვრთე ყვირილი და დედას უყვიროდი, საჩქაროდ გამოეგზავნა ჩემი ძმა ტაშტით. ისიც მაშინვე ჩამოფრინდა. დავტოვეთ თევზი ტაშტში და დიდის სიამაყით გავსწიეთ სახლში. დედაჩემს თევზი ძალიან მოეწონა და სადილისთვის შეუწვა სიმონს და ალიოზს, მე კი თხის კუდიც არ მარგუნეს.

საზოგადოდ, მე ცხოველების დიდი მეგობარი ვიყავი. თუ როდესმე რომელიმე ფრინველს ან სხვა რამეს ხელში ჩავიგდებდი, მე მას დიდის სიყვარულით ვექცეოდი.

ერთ დროს მამიდაჩემთან წავედი სოფელ უდეში, ახალციხის მახლობლად. იქ კურდღლები ჰყვანდათ. იმდენი ვეჯიჯღინე, რომ ბოლოს ქუთაისში დაბრუნების დროს ორი დედალ-მამალი კურდღელი მაჩუქეს. სახლში ესენი ბოჩკაში ჩავამწყვრიე მარანში და ზედ ფიცრები გადავაფარე. ერთ დღეს დილით კურდღლების სანახავად რომ ჩავედი, შუა მარანში ნახევრად შეჭმულები დამხვდნენ. კატებს მიეგნოთ, ამოეგდოთ ბოჩკიდან, დაეჭრათ და შეეჭამათ. ამ დღიდან მე კატების დიდი მტერი შევიქენი და სადაც მოვახელებდი, ქვას მივაზელდი.

ერთხელ ჩემს ძმასთან და მეზობლის ბოვშვებთან ერთად რიონის ნაპირზე ვთამაშობდი. რიონს კლდეები ჩაჰყვებოდა და ამ კლდეებში ხშირად ხვრელებსაც შეხვდებოდით. ერთი ამისთანა ხვრელი ზედ რიონზე გადიოდა, ამ ხვრელის წინ იდგა ჩვენი მეზობლის ბოვშვი, იგი ცოტა ენაჩლუნგი იყო და რაღაცას შვრებოდა. მე იქ მივედი – „ვაშო, შიგ კვატაა“, – მითხრა იმან. შევიხედე ხვრელში და მართლა ერთი კვატა დავინახე. თურმე რიონს ჩამოჰყოლოდა და თავი აქ შეეფარებინა. ჩვენ მეზობლის ბოვშვს შესვლისა ეშინოდა და კვატას გარედან ქვებს ესროდა, რომ კარში გამოეგდო. მე რომ ეს დავინახე, ძალიან გამეხარდა. შევედი ხვრელში და კვატა მალე დავიჭირე. გახარებულმა სახლში გავაქანე. ჩვენმა მეზობელმა ჩხუბი აგვიტეხა: – „კვატა ჩვენ გვერგება, რადგან პირველი ჩვენმა შვილმა დაინახაო“, ჩვენ კი ვეუბნებოდით: – „თუ კი ნახა, რისთვის არ დაიჭირა, ჩვენ ხომ მოვალე არა ვართ, რასაც ნახავთ, იმის დაჭერაში მოგეშველოთ თქო“. კვატა, რასაკვირველია, ჩვენ დაგვრჩა. მე მას ძალიან ვუვლიდი და ვანებივრებდი. საუბედუროდ, რამდენიმე თვის შემდეგ ჭირმა მომიკლა. მე ამაზე ძალიან ვიტირე, მერე ავიღე მკვდარი კვატა, ჩავიტანე რიონზე, ჩვენს ბალკონის გვერდით ხვრელში ამოუთხარე საფლავი და შიგ დავმარხე.

სახალხო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მე ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიაში მიმაბარეს. მე პირველ ხანებში კარგა ვბეჯითობდი, მერე კი მოუკლე თანდათანობით და უფრო გართობაზე ვფიქრობდი, ვიდრე სწავლაზე. მე დიდის გულდასმით ვთამაშობდი და ვცელქობდი, ეს კი სხვებს, ე.ი. ჩემს მასწავლებლებს არ მოსწონდათ და ჩემდა უნებურათ, ყველაზე ანცათ ვითვლებოდი, რაც არ უნდა მომხდარიყო, თუ გინდ მე შიგ არ ვრეულიყავი, უთუოდ მე დამსახავდნენ დამნაშავეთ, ეს სხვა ჩემ ამხანაგებმა მალე დაინახეს და თუ რამეს ჩაიდენდნენ, თავის გამოსახსნელად მე გადმომაბრალებდნენ და მე კი არავინ მიჯერიდა. ვინ მოსთვლის რამდენი ღილები უჭმევიათ ჩემთვის, რამდენჯერ ყურები აუწითლებიათ ჩემთვის.

ეს კი ხშირად სხვების გულისათვის გამივარდა მთელს გიმნაზიაში ცუდი სახელი. ამ ამბავმა სახლამდისაც მიაღწია. რამდენჯერმე გიმნაზიიდანაც კი გამაგდეს, მაგრამ ბიძა ჩემი სიმონი ისევ მაღებინებდა. ეს, რასაკვირველია, გამოძიებას ვერ შეუდგებოდა და რაც სასწავლებელში მაკლდა, იმას სახლში მისრულებდნენ. მე ბიძა ჩემს საყვედურს ვერ ვეტყვი, რადგან მან საქმის მდგომარეობა არ იცოდა და მე კი თავს მის წინაშე ვერ ვიმართლებდი, მე იმისი ისე მეშინოდა, რომ მას რომ დავინახავდი, ენა მუცელში ჩამიძვრებოდა და კანკალს დავიწყებდი. ეს კი ბიძაჩემს დანაშაულის ცნობას მიაწერდა და, რასაკვირველია, რომ მაშინ მე გალახვა არ ამცილდებოდა.

ერთხელ, ის იყო გაკვეთილი გათავდა, მე კლასიდან შურდულივით გამოვარდი და ეზოში გავარდი. გიმნაზიის კარები ძალზე გავაღე, მაგრამ ჩემს შემდეგ სხვებიც ბევრნი ფეხ და ფეხ მომდევდნენ. შუა ეზოში ვიქნებოდი,

გაგრძელება გვ.10 ▶

დეზიუცანცური წინდაუხედაობა?!.

ჯემალ მეხრიშვილი

მკითხველები, ალბათ, შემაჩვენებენ, ანდა შეიძლება შემიბრალონ კიდეც, როგორც კი შეიტყობენ - ამ წერილზე ფიქრით თავს რვა წელი ვიტანჯავდი! ბოლოს თუ მაინც გადავწყვიტე მისი დაწერა, მხოლოდ ამ რწმენით გულმოცემულმა - აქ მარტო ჩემი კი არა, თავისთავად მილიონობით პიროვნების განცდების, მოგონებების, ღირსებისა და პირის გემოს დაცვაც გამომივა!

მაშ, დავიწყოთ!

ჟურნალში ,,არილი“ (N3, 2014) დაიბეჭდა **ივანე ფეზუაშვილის** თორმეტგვერდიანი მოთხრობა **,,ცა“**. მკითხველებს ეს ცა ზეცა ნუ ეგონებათ - ცა თბილისში ჩამოსული ჩინელი ქალიშვილია, ქართველ ახალგაზრდას რომ შეუყვარდება.

მოთხრობის მხატვრულობასა და ენობრივ-გრამატიკულ კატეგორიებზე მსჯელობასაც რომ გამოვუდგე, ეს ძალიან შორს გადაგვიტყუებს! ამიტომ პირდაპირ იმ ,,ეკლიდან“ დავიწყებ, ტექსტის დასაწყისშივე მწარედ რომ მიჩხვლიტა და ეს შეშუპებული ნაჩხვლეტი იქნებ ამ წერილის გამოქვეყნებამ მაინც ჩამიყუჩოს!

მთავარი პერსონაჟი, თბილისელი ახალგაზრდა კაცი, ერთ-ერთ ტელეარხში რომ უმუშავია, აი, რას გვეუბნება. სტილი ხელუხლებელია!

,,ერთი წელია რაც არ ვმუშაობ და უფულოდ დავხეტიალობ, მამიდაჩემის კისერზე ვარ და მისი გადამკიდე ისეთ უმსგავსო საჭმელებს ვუმუღამებ, როგორიც ხორციანი ბორში და მწვანე ლობიოა“.

ეს რომ ამოვიკითხე, იმავწამიერად ვიგრძენ, როგორ შემიგინეს სოფლად გავლილი ბავშვობა! მწვანე ლობიო და უმსგავსი?! ღმერთო!.. სად გაგონილა სასარგებლო ვიტამინებით სავსე მწვანე ლობიოს უმსგავსობა?! მასზე გემრიელი, სურნელოვანი, მაწიერი, მსუბუქი, ადვილად ასათვისებელი და უვნებელი სხვა რომელი კერძი შეიძლება იყოს?!. ესეც რომ არა, მშობელი დედის (გამზრდელი ბებიის, მამიდის, დეიდის, ძალოს...) ამაგიანი ხელებით მომზადებულ ნებისმიერ საჭმელს რა სინდისით უნდა უწოდო **,,უმსგავსო“** ანუ უმსგავსი?!

დაუფიქრებელი ავტორი ან რა უფლებით ლანძღავს რუსი (და არა მარტო რუსი) ხალხის საყვარელ წვნიან კერძს, **ხორციან ბორშჩს?!**

ჩემი ,,შეგნებული“ ბავშვობა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დაიწყო. ნამარ ქვეყანას უჭირდა, მაგრამ ჩვენ, სოფლის აჭალბუჭულები ამას ვერცა ვხვდებოდით, რადგან ის ყველაფერი მიმდინარე ცხოვრების ჩვეულებრივ ნორმად გვეჩვენებოდა!.. მამაჩემი გუთნისდედა იყო და გაზაფხულობით მინდვრიდან კონა-კონა სატაცურს ჩამოგვიტანდა ხოლმე!.. დედას კი, როგორც საერთოდ, ყველა დედას, ისეთი გემრიელი ხელი ჰქონდა, მზესუმზირის ზეთში მოთუშული ხახვით შენელებული მხლის კერძების გემომ გონებაში სამუდამოდ ჩამიჭდია მათი დაუვიწყარი სახელები: ხაჭიჭოლა... არჯაკელი... მაკრატელა... შავჩოხა... ციკნიყურა... მხალშავა...

მე და ჩემს უმცროს ძმას დედა ზოგჯერ გაგვაფრთხილებდა: ძალიან არ იცელქოთ და მეზობლებს თავ-პირი არ მოაჭამოთ!.. სადილად ესა და ეს კერძი უნდა დაგახვედროთო!

ჩვენც დაიმედებით გავრბოდით ტოლ-სწორებისკენ. მეზობლების ეზო-ყურეში თანატოლებთან ნათამაშევ-ნაცელქარები შინ რომ მივიდოდით, დედის გამკაცრებული სახის დანახვა მუხლებს მკვეთდა.

– მე აქედან თვალ-ყური მეჭირა - ის რა ამბავში იყავით, ჰა?! რას იტყვიან მეზობლები?!. ამიტომ არაფერიც არ მოგიმზადეთ - იყავით ახლა ცარიელ პურსა და მწვანილზე!.. მეტის ღირსნი არა ხართ!..

ჩემს გახეტება-გაორებას საზღვარი არ ედებოდა ხოლმე! კი, სხვებივით ჩვენცა ვცელქობდით, მაგრამ არც ისე, რომ... თვალი მრავალი წლის მერეღა ამეხილა და როცა გამახსენდება, ტკბილ-მწარე მოგონება გულზე რბილი მარწუხივით შემომეჭირება ხოლმე: მაშინ დედა წინდახედულად შეპირებული კერძის მოუმზადებლობას ვითომ წრეგადასული სიცელქისთვის ჩვენი დასჯით იმიტომ ამართლებდა, იმჟამინდელი ოჯახური უქონლობა ადვილად რომ გადაგვეტანა!.. ხოლო ზაფხულობით ზოგჯერ თუ მწვანე ლობიოც გვექნებოდა, ეს ხომ რაღაც სასწაულს ეფარდებოდა!

ვგუმანობ, საქმეში ჩაუხედავი უმალ შემომეკითხება: თუკი სოფლად ცხოვრობდით, რატომ ზოგჯერ და არა რამდენჯერაც მოგეგუნებებოდათო?!

ახლავე აგიხსნით! ჩვენი სოფელი ოზაანი ქიზიყში, გომბორის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთის დაბოლოების კალთებზეა შეფენილი. აქ ნიადაგი საკმაოდ მწირია, ხოლო საბჭოთა ეპოქაში გლეხი ძირითადად კოლმეურნეობაზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, კერძო საკუთრებაში მიწის მცირე ნაკვეთები ეძლეოდათ, რაც საარსებო ნათესულობის მოსაყვანად არანაირად არ ჰყოფნიდათ!

ჰოდა, ჩვენი უბნის რომელიმე წვრილშვილი, გაჭირვებული ანდა სულწასული ზაფხულობით თუ ხშირ-ხშირად მიმართავდა ქორფა კარტოფილსა და მწვანე ლობიოს, ოხეტაანთ ომახიანი ნინო ბებია ყველას გასაგონად ხმაანევით კიცხავდა.

– სუ ნედლობაში რომ ამოჭამოთ, მემრე რაღა გეშველებათ, თქვე უბედურებო?!. ზამთარს დიდი ტ... აქვს - რო ჩამოგვიჯდება, ვინ იცის, როდისღა ადგება და წავა! მაშინ ვინ რას მოგცემთ, ჰა?!.. გეყოფათ, გეყოფათ!..

ბავშვობის მოგონებებსაც რომ თავი დავანებო, ვინ იცის, ჩვენი პლანეტის რამდენი მილიონი მოქალაქის ნუგბარი კერძია მწვანე ლობიო და ხორციანი ბორშჩი!.. თვითონ ავტორსა და მის პერსონაჟს შეიძლება არც ერთი მათგანი არ ეპიტნავებოდეს! ეს მათი ნება და უფლებაა – ამისთვის ვერავინ გაკიცხავს, ვინაიდან გემოვნებაზე არ დაობენ! მაგრამ მაშინ ეს ყველაფერი სხვანაირად უნდა თქმულიყო და არა ასე როყიოდ!

* * *

ამასთან დაკავშირებით კიდევ არის ერთი მოვლენა, რომლის ცქერამ სიცოცხლე სატანჯველად მიქცია და რაკი იმედი არა მაქვს, მასზე სალაპარაკოდ უფრო მოსახდენი შემთხვევა და ადგილი გამომიჩნდება, ბარემ აქვე შევეხები.

თბილისის ნებისმიერი კუთხე. დილაა. დედებსა თუ ბებიებს შინიდან ხელჩავლებულები გამოჰყავთ ბაგა-ბაღის აღსაზრდელები ანდა დაწყებითი სკოლის მოსწავლეები. პატარები როგორც კი თვალშეჩვეულ მობღუნძულ სავაჭრო ჯიხურს დაინახავენ, შეუფერებლად ცოცხლდებიან, უფროსებს მაშინვე ხელს წაართმევენ ხოლმე, თავქუდმოგლეჯით გარბიან და წინასწარ საამისოდ მოცემული ფულით (!!!) თვალმახარ ჭრაჭუნა პაკეტებში უნაკლოდ შეფუთულ რომელიმე უცხოურ მშრალ სასუსნავს ერთმანეთის დასწრებით ყიდულობენ და რამდენიმე დღის ნამშევებივით იქვე შეექცევიან!!! ბავშვების პატრონები კი ყოველივე ამას თავმომწონე მოთმინებით უცქერიან და იცდიან!

აბა, როგორ არ ჩაგიკვდება გული! კი მაგრამ, ეს ბავშვები შინიდან ორიოდე წუთის უკან არ გამოიყვანეს - ნუთუ არ ასაუზმეს?! ჯიხურებში ალახმალახ ნაყიდი რაღაც მშრალი, ერთფეროვანი სატყუარას იმედით ჩვენს პატარებს შინ თუ აღარ ასაუზმებენ, ეს ხომ ნამდვილი საშინელებაა, ხოლო თუ ასაუზმებენ, მაშინ ასმაგი საშინელება - საყვარელი დედიკოს ხელით მომზადებულ ქართულ საუზმეს ნუთუ აღარ ახლავს იმდენი მადლი და მაწიერება, პატარას ბაგა-ბაღამდე ან სკოლამდე მაინც მიჰყვეს?!

თანაც ეს მეორდება ყოველ შესვენებასა და ნასკოლევსაც! საქმე უკვე იქამდეა მისული, ურთიერთწამხედურობითა და პატრონების გულგრილობით ჩვენს პატარებსა და ჭაბუკ-ქალიშვილებსაც თითქმის აღარაფრად უღირთ საუკუნეთა მანძილზე დახვეწილი ქართული ოჯახური სამზარეულო და ჭრაჭუნა პაკეტებში უნაკლოდ შენიღბული რაგინდარა წამტყუებელი სასუსნავი სიცოცხლეს ურჩევიათ - ხელს სულ ამ პაკეტებში აფათურებენ და აზრჩაუტანებლად ისმუსნებიან!

არადა, საცა სამართალია, ტრადიციულ ქართულ ოჯახში აღზრდილ მოზარდს დედის ხელით მომზადებული წყალტურტურაც[1] კი უნდა ერჩიოს ამდენი საეჭვო ხარისხის, ხშირად ყავლგასულ სასუსნავს!

პირდაპირ უნდა ითქვას - ბევრი ამ ,,გასართობი“ სასუსნავთაგანი, მაგალითად, შემწვარი, მაგრამ გამომშრალ-გამოფიტული კარტოფილი ისეთი საშინელი მლაშეა, როგორც იტყვიან ხოლმე, ყვავს დააჩხავლებს!!!

რაღაც დამამცირებელ-გასაჩხრეკი პარადოქსი იქმნება: მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დაუღალავად გვმოძღვრავენ - **შაქარი** და **მარილი** თეთრი სიკვდილიაო! ამ ჭრაჭუნა პაკეტებით **,,ცივილიზებულად“** შემოთავაზებული, ნაირ-ნაირი მიმზიდველი სახელწოდების განზრახ გადამლაშებული სასუსნავებით კი ჩვენს ნორჩ თაობას მტარვალურად **,,ამარილებენ!“**

ჰოდა, თუ დაუფიქრდები, თვალის ამხელი სასოწარკვეთა მაშინვე გპოულობს: ამგვარი მრავალნაცადი ხერხით ბნელეთის მოციქულები ვითომ შეფარულად, მაგრამ როგორი აშკარა შეუპოვრობით გვინადგურებენ მომავალი თაობის ჯანმრთელობას და თან რა გეგმაზომიერად გვისპობენ ჩვენს სასიცოცხლო წყაროს - ქართული ოჯახური სამზარეულოს მრავალსაუკუნოვან ჯანსაღ ტრადიციებს!

მე პატარა კაცი ვარ და მეტს ვეღარაფერს ვიტყვი. აქ გადამწყვეტი სიტყვა ამ სფეროს გამოცდილ სპეციალისტებს ეკუთვნით!

2021

1 წყალტურუტურა (მესხ.) - წყალწყალა, ცხიმოკლებული წვნიანი საჭმელი.

ვასო სადათიერაშვილის დღიური

◀ დასაწყისი გვ. 8

ქუთაისი

როდესაც მოისმა კარების ჯახუნი და შუშამ მიწაზე წკრიალი მოიღო, ეზოში 20-ოდე ყმაწვილამდი ვიქნებოდით, სადათიეროვი გავიდა პირველიო. ბევრი ვიფიცე, ბევრი ვეხვეწე, რომ მე ბრალი არ მქონოდა, რომ მე შუა ეზოს გადაცილებული ვიყავი და ჩემს შემდეგ ბევრი სხვები გამოვიდნენ კარში, სხვა შუშა გატყდებოდა, მაგრამ ვინ დამიჯერავდა? მგონი შუშა ბიძა ჩემმა გადაიხადა, მე კი რაც დამემართა, იმას მკითხველი ადვილად წარმოიდგენს.

ერთი შემთხვევაც არ დამავიწყდება, თუმცა აქ ნამდვილი ბრალიერი მე ვიყავი. სწავლა ახლად გვქონდა დაწყობილი და მთლად ახალთახალი წიგნები მქონდა. ერთ დღეს დასვენებიდამ რომ კლასში შევედით, მე შევამჩნიე, რომ ვიღაცას ჩემი გეოგრაფიის წიგნი მოეპარა, რადგან მთლად ახალი იყო და, ალბათ, მოსწონებოდა. მე იმის მაგიერ რომ მასწავლებლისთვის მეთქვა, ჩემს მეზობელს ავწკაპნე თავის წიგნი. მე ეს უფრო შიშით მომივიდა, ვიდრე განგებ, რადგან სახლში გალახვის მეშინოდა და კლასში კი არავინ არ დამიჯერებდა. უთუოდ სახლში დაგავიწყდებოდა ან დაკარგავდა სადმეო და აქ ბრალი და ცილისწამების შედეგი კი კლასიდან გაძევება იყო, რომ რამდენიმე კვირის შემდეგ ჩემმა მეზობელმა იცნო თავისი წიგნი და დამაბეზღა. მე სახლში დამითხოვეს. მოვიდა ბიძაჩემი და ჩემი მშობლები და დიდის ვაივაგლახით დაარწმუნეს მასწავლებლები, რომ წიგნი ჩემი იყო და მე კი ის მელნითა და კარანდაშით დამეთხუპნა . მე ამას ვიფიცებოდი და მართლა კი არ დამიჯერეს? მე ეს შემთხვევა დღესაც მაკვირვებს. რასაკვირველია, მე არც ეხლა ამცდა გალახვა. ამნაირად მიდიოდა ჩემი ცხოვრება გიმნაზიაში. ყველასაგან მოძულებული ვიყავი, ყველა მდევნიდა და სადაც მომიხელთებდა, თავში მირტყამდა. მე არავინ მექომაგებოდა, სახლშიც ნამდვილი არავინ იცოდა და ჩემი ყმაწვილობა კი ამ გარემოების ქვეშ იჩაგრებოდა.

ეხლა მსურს რამდენიმე თვალსაჩინო თავგადასავალი ჩემის ქუთაისის ცხოვრებიდან გიამბოთ.

ქუთაისისი კათოლიკების ეკლესიას თან ახლდა ხუცთა სამყოფიც. აქ მე ხშირად ვიყავი ხოლმე და მეკარეს ადგილობას ვასრულებდი, როდესაც მეკარე შინ არ იყო, ერთხელაც მეკარე სადღაც გაეგზავნათ და მე იქ ვიყავი. მომწონდა ჯდომა და უჯრებს დაუწყე ჩხრეკა. ქაღალდები დამხვდა შიგ. მთელი უჯრა გადავთვალიერე, მაგრამ ჩემი საკბილო ვერა ვნახე. ქაღალდები ისევ უჯრაში ჩავაწყე და იქვე გვერდით მყოფ სამწერლო ოთახებში შეველი. იქ კედელზე კალენდარი ვნახე, მე ამისი ბევრი არა გამეგებოდა რა. კალენდარზე 17 ეწერა. გადავფურცლე და რამდენჯერმე 17 შემხვდა. მოდი ავაგლიჯეგ რამდენიმეს. 17 ხომ 17-ათქო; მერე ქაღალდებით ვითამეშებ, ამას კი ვერავინ გამიგებს თქო. ავაგლიჯე სამი ოთხი თვლა ერთბაშად და მეკარეს ოთახში თამაში დავიწყე. საღამოზე სახლში წავედი. გავიდა რამდენიმე ხანი. ერთხელაც ვნახე, შუადღისას მოვიდა ბიძაჩემი სიმონი გაცეცხლებული. იმან დამიძახა მაშინათვე და მკითხა: „კანცელარიაში შენ ააგლიჯე კალენდარიო“? მე ენა გამიშრა და კანკალმა ამიტანა. ღმერთო ჩემო, ვიფიქრე ჩემთვის, ქაჯია თუ რა არის. ეს საიდან შეიტყო თქო“. მე სიმართლე ვაღიარე. ამას ბიძაჩემი, როგორც ჩანს, არ მოელოდა და გაუკვირდა. მერე მკითხა, თუ რა მექნა ქაღალდები მეკარის ოთახში. მე აქაც ისე ვუამბე, როგორც მომექმედა: ეს ბიძაჩემს არ სჯეროდა და ეგონა, რომ ქაღალდები დამეხია, მე ვფიცულობდი, რომ ქაღალდები როგორც იყო ისევ უკან ჩამელაგებინა. მაგრამ ის არ მიჯერიდა, ბოლოს იმდენი მცემა, რომ ტყვილი მათქმევინა და მაშინ დამეხსნა თავს.

ერთხელ კიდევ მონასტრის მეკარეობას ვასრულებდი. კარში საშინელი ქარი ჰბერავდა. უცბათ ეზოში რაღაცის წკრიალი მომესმა. ავედი იქ და დავინახე, რომ ეზოში გასასვლელი კარი ღია იყო და შუშა ჩამტვრეული. მე კარი დავხურე და ჩემს ოთახში დავბრუნდი. მეორე თუ მესამე დღეს მოვიდა ბიძა ჩემი სახლში და მკითხა, თუ შუშა რისთვის გამეტეხა. მე ამაზე უარი ვუთხარი და ვუამბე, რაც ვიცოდი. იმან ფეხები დამიბაკუნა, გიცნობ, რაცა ხარო, შენ გასტეხავდიო, ჩქარა მითხარი, რითი გატეხეო. მე ვტიროდი და ვიფიცებდი, მაგრამ ის არ ჩამომეშვა, იმდენი მცემა, რომ ბოლოს ტყვილი მათქმევინა, არ ვიცოდი, რა მომემეზებინა და უთხარი: „ნაცარი შევაყარე და გატყდა თქო“. მე დღესაც ვერ წარმომიდგენია, თუ ვისმეს შეუძლია ნაცრის შეყრით შუშის დამსხვრევა. დედა ჩემი და დიდია ჩემი ჩემს საქციელმა ჩემს სიმართლეში დააჯერა და მტკიცე იყვნენ, რომ თუ მართლა შუშა მე გამეტეხა, შიშით იმის წინ (ტექსტი ნაკლულია)

პაპა ჩემი, როგორც წინეთ მაქვს მოხსენებული, ძალიან ცხარი ადამიანი იყო. იმას პატარა ბოვშვები უყვარდა და დიდები კი არა. ჩემი ძმა ჩემზე ბევრით პატარა იყო, ეს იმის სიყვარული იყო და იმის გულისთვის მე ბევრჯელ გავლახულვარ. მე რომ სტამბოლში წავედი, ამას გადავრჩი. ბიძა ჩემ ბაგრატას ორი შვილი ჰყავდა, ერთი ვაჟი და ერთიც ქალიშვილი. პაპა ჩემს მთელი თავისი სიყვარული ჩემს ძმიდან ბაგრატას შვილ გრიშაზე გადაეტანა და როგორც საბრალო დედაჩემი მიამბობდა ხოლმე შემდეგში, ჩემს საწყალ ძმას მისგან ბევრი შავი დღე უნახია, იმდენს სცემდაო, რომ ცხვიპირიდან სისხლს ადენინებდაო. ყველა შემთხვევაში, მე მისგან ბევრი უბედურება მინახია და აქედან მინდა ჩემს მკითხველებს ერთი ეპიზოდი ვუამბო: ერთხელ მე და ჩემი ძმა ჩვენ სახლის წინ ვთამაშობდით. სახლის ქვეშ ქუჩის პირისკენ პაპა ჩემს ჰქონდა დუქანი. ჩვენ შევხურდით თამაშობაში და დავიწყეთ ხმაურობა და ერთმანეთთან კინკლაობა. უცბათ გამოჩნდა პაპაჩემი, ხელში ვეება გათლილი ჯოხი ეჭირა და გამომექანა. ის იყო უნდა დამწვდენოდა, როდესაც მე განზე გავხტი. დაუსხლტი ხელიდან და გავიქეცი. ჩემზედ გადმოქანებულმა ამ მოქმედებით თავი ვეღარ შეიმაგრა და იმოდნა კაცი სიგრძეზე მიწაზე გაიშხლართა. ვაი, ეს შენ ასე გინდაო და წამოხტა ფეხზე და გაბრაზებული გამომიდგა უკან. მე მოუსვი ფეხი და რიონზე ჩავირბინე. პაპაჩემმა არ მომისვენა და აქაც ჩამომყვა. მე სხვა გზა აღარ მქონდა და დავყევი რიონს. ქვებზე ჭინკასავით დავხტოდი და პაპაჩემი მალე უკან დავიგდე. იმან რა დაინახა, რომ ვერას გააწყობდა, მუშტი დამიქნია და მამაყვირა: „სად წამიხვალ, სახლში მოხვალ, სისხლს გარწყევინებო“. მე საღამომდი სახლში არ შევბრუნებულვარ. საღამოს კარებში ვიცდიდი. შინ ბიძაჩემი სიმონი, პაპა ჩემი, დიდია და დედა ჩემი იყვნენ და მუსაიფობდნენ. დედამ თვალი მიყო, შევსულიყავი. შეველი კანკალით და პაპაჩემზე ბიძაჩემმა ბოდიში მომახდევინა და ამნაირათ ცემას გადავრჩი, მაგრამ, ვაი, ჩემი ბრალი, რომ პაპაჩემს სიბრაზის დროს სულში ჩავვარდნოდი, მგონი ცოცხალი ვეღარ გადავურჩებოდი. ის მე არ დამინდობდა და უღვთოდ ძვლებს დამინაყავდა იმოდენა კეტით.

მე საზოგადოდ ძალიან მიყვარდა ფურნეში ყოფნა. იქ ხშირად დახლში ვიჯექი და პურსა ვყიდდი. ხშირათ ჩემი ბიძა ბაგრატა ან ალექსანდრე წავიდოდნენ სადმე და მე მარტო დამაგდებდნენ ფურნეში....

შუშანა ფუტკარაძე, როინ მალაყმაძე, თამილა ლომთათიძე, ელზა ფუტკარაძე, ნაილა ჩელებაძე, შორენა ფუტკარაძე.

„წერილები სტამბოლის ქართულ სავანიდან“.

მესხეთის და ჯავახეთის ბანადრება

ქართველ კათოლიკეთა ერთმა მოძღვარმა თავის ქადაგებაში წარმოსთქვა შემდეგი: ქართველთ გათათრების და ტანჯვა-ვაების ისტორია რომ დაიწეროს, 24-ს ტომზედ ნაკლები არ გამოვაო. ჭეშმარიტად ეს ასე იქნებოდა, რომ თავის დროს ვისმეს ხელი მიეყო, ცნობები ეგროვებინა და თან ეწერა. ქართველთ გათათრება ადვილად არ მომხდარა, მას დიდი, ვრცელი ისტორია აქვს. სამწუხაროდ ამ გათათრების შესახებ-კი ჩვენ ბევრი არაფერი ცნობები გვაქვს. როგორც კვლავაც გვითქვამს, ამ საგნის შესახებ არც „ქართლის ცხოვრება“-ში და არც სხვა ისტორიულს წიგნებში მოიპოვება რამე, ჩვენი ძველი მწერლობა ამაზედ მდუმარებს.

მესხეთი და ჯავახეთი ოსმალთ ადრიდგანვე გაათათრეს. ლაზისტანი, არტაანი, არდანუჯი, ლივანა, აჭარა, თორთომი, ოლთისი და სხვა უშორესი ადგილები გათათრებული არ იყო, რომ მესხეთის და ჯავახეთის ქართველებს გათათრება დაუწყეს 1635 წ.

1635 წ., ახალციხე ოსმალეთის მთავარ საფაშალიკო ქალაქად დაინიშნა და ფაშად დადგენილ იქმნა ბექა ათაბაგი, რომელიც პირველად გათათრდა და სახელად საფარა ეწოდა.

რადგანაც ახალციხე ოსმალეთის ასეთ ცენტრად დაინიშნა, ამიტომ ოსმალეთის მთავრობაც იმას სცდილობდა, რომ ამ ადგილის გარშემო მცხოვრებნიც მუსულმანის სარწმუნოების მიმდევარნი ყოფილიყვნენ. ამიტომ ქართველებს ძალით დაუწყეს გათათრება და ამ გათათრებისთვის მახვილსაც ხმარობდნენ, არც მესხ-ჯავახნი აკლებდნენ მათ მტრობას. მესხთაგან მათ საქმე ძლიერ უჭირდებოდათ, ქართველთ გათათრება ერთობ ძნელდებოდა. მესხნი და ჯავახნი ჩვეულებრივის გმირობით ებრძოდნენ ოსმალთა სასულიერო წოდებას და არსად და არას დროს ადვილად არ ემორჩილებოდნენ, დროის განმავლობის და ჟამთა ვითარების მეოხებით, მესხნი და ჯავახნიც მოიღალნენ ბრძოლაში და ამიტომ, ზოგიერთს ადგილებში იწყეს შავის ბედის მორჩილება, სჯულის გამოცვლა. სჯულის გამოცვლას დიდად ერიდებოდა მესხელ და ჯავახელი ქართველი დედაკაცობა. ამის საფუძვლად კმარა გავიხსენოთ თუნდ როსტომ ფაშა ჯაყელის ცოლის მაგალითი, რომელმაც დიდის ტანჯვით დასთმო ქრისტიანობა და ისლამს დაუკავშირდა, ამით დააწყნარა მან თავის ქმრის როსტომ ფაშას გული. სამცხეში ქრისტიან ქართველთ საქმე ისე გამწვავდა, რომ 1713 წ. ახალციხეში საქვეყნოდ იქმნა დახრჩობილი ელისე არქიმანდრიტი. ოსმალეთის მთავრობას საკმარისად მობეზრდა ქართველ ქრისტიანებთან ბრძოლა, ისლამის გავრცელება და ამიტომ მესხეთსა და ჯავახეთში შემოიღეს ისეთი წესები, რაც ქართველთ გათათრებას ხელს უწყობდა.

აი ეს წესებიც:

1).მოლის თუ ხოჯისაგან მინარეთიდგან დაძახილ ლოცვის დროს, რომ ქრისტიან ქართველს ან გაეცინა, ან დაყვირებით გაეჯავრებინა, ან კენჭი ესროლა და სხვა ამგვარი, ამ ქართველს უსათუოდ სიკვდილით სასჯელი ელოდა და მამულების წართმევა. ეს ეპატიებოდა მაშინ, როცა იგი გათათრდებოდა.

2).ჯამეს წინ თუ გაევლო ქართველს და აქ რამე სიტყვა ეთქვა თათრის წინააღმდეგ, ან ჯამეში ლოცვის, ბანვის და სხვა დროს, იმას სიკვდილი ელოდა, პატიება მხოლოდ გათათრების მეოხებით მოხდებოდა.

3).ქართველს აგინა თათარმა, შეუგინა ყველაფერი, ქართველმაც პასუხი მისცა და სამაგიერო გადუხადა სიტყვით, ან საქმით, და შეუგინა ზოგიერთი რამ სარწმუნოების მხარეები, მას სასჯელად სიკვდილი ელოდა, სიკვდილი ეპატიებოდა გათათრებით.

4).ქართველმა თუ თათრის სასაფლაოზე გაიარა და იქ რამე დაბილწა, იმას სასჯელად ეკუთვნის დარბევა, მამულების წართმევა, ეს ეპატიება მხოლოდ გათათრებით.

5).ქართველმა თათრის „მეჯლისს“ ყადებს, მათ მასლაათს და ხაფიზ (ღვთის-მეტყველი) ხოჯებს პატივი არ სცა ედოვნ-ხანაში, მის სასჯელად დარბევა და მამულის წართმევაა, პატიება გათათრებით ელოდა.

6).ქრისტიანმა ქართველმა ქართველისაგან ფული ისესხა და აღარ მისცა, ან ფული დასტყუა და უარი სთქვა, ამხანაგი იყო და ამხანაგს უღალატა და ფული გამორჩა, იმუშავა და ფული არ მისცა, იყიდა რამე და სამაგიერო არ გადაუხადა, ყველა ეს მას ეპატიებოდა გათათრებით.

7).ქართველმა მოკლა თავის მამა, დედა, ცოლი, დაჲ, ან ძმა, გინდ სხვა მონათესავენიც და მასთან აიკლო დახოცილის ოჯახიც, ქართველს ყველა ეს ეპატიებოდა გათათრებით.

8).ქართველმა იქურდა, გაჰქურდა ეკკლესიები, ეკკლესიების ნივთები აქა-იქ დაჰყიდა, ამას გარდა მოჰკლა მღვდელი, მთავარი დიაკონი და აიკლო მათი სახლ-კარი, მას პატიება ელოდა მხოლოდ გათათრებით.

9. ქართველს საფაშო ხარჯი რომ ვერ გადაეხადნა და გინდ სიღარიბის გამო მას ამის გადახდა ვერ შესძლებოდა, ამის პატივობა მას გათათრებით ელოდა.

თუმცა მესხელ და ჯავახელ ქართველ ქრისტიანებს დაუწყეს გადაგვარება, მაგრამ იყვნენ მათში ისეთნიც, რომელნიც თვით უკანასკნელ სისხლის წვეთამდინაც-კი იღწვოდნენ მწარეთ, ყოველგვარ საიდუმლო საშუალებას ხმარობდნენ და თათრობას-კი არ უკავშირდებოდნენ, თუ უკავშირდებოდნენ და იმასაც ისე, რომ ისლამთან ერთად ქრისტიანობას არ ჰკარგავდნენ და საიდუმლოთ ინახავდნენ, გარეგან-კი ისლამს აღიარებდნენ. ასეთ ჩუმ ქრისტიანთ ქართველთა რიცხვმა ჯავახეთში 1830 წლამდე მოახწია, ასევე იყო მურღულის ხეობისაკენ და პარხალში, რომელ ქრისტიანეთ მომსწრეთ და მნახველად ითვლებოდნენ გრიგოლ გურიელი და დიმ. ბაქრაძე. მურღულის ჩუმ ქრისტიან ქართველთ მოძღვარი ღებრაძე ყოფილა, – მღებროვი, ტრაპიზონში ნამყოფი, ბერძნების სკოლაში ნასწავლი და იქვე ნაკურთხი იყო ბერძნის ეპისკოპოსისაგან. საინტერესო აქ ერთი ის არის, რომ ტრაპოზონის ბერძენთ სკოლაში გაზრდილს ქართველს და მასთანავე ბერძნულის ენით განვითარებული ქართული ენა და ისიც ძველი ხუცურის წიგნების კითხვა და მასთანავე დიდის შიშით და ძრწოლით ქართული ენით ქადაგება, იმ ენით მოქმედება და გრძნობა, რომელი ენაც ოსმალთაგან სასტიკათაც იდევნებოდა.



გერმანული გამოცემა. ახალციხე. გრავიურა, მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი

ოსმალეთის საქართველოში, აქა-იქ, სადაც-კი ქართველთ შეინახეს მამა-პაპეული სჯული და ენა, მათში სამღვდელონი ყოველთვის ერთის ოჯახიდგან გამოდიოდნენ. მღვდელი-მამა რომ მოკვდებოდა, მის სიკვდილის შემდეგ მღვდელობა შვილს რჩებოდა, რომელსაც თვით მამა ამზადებდა, მომზადების შემდეგ ამ სამღვდელო პირს ტრაპიზონს გზავნიდნენ და იქ აკურთხებინებდნენ ბერძნის ეპისკოპოსს. ქართლსა და იმერეთში გადმოსვლას-კი ვერ ბედავდნენ, რადგანაც ოსმალთა სასულიერო წოდებისა ეშინოდათ, რომ არ შეგვიტყონო. რამდენსაც ოსმალნი რომელიმე კუთხის ქართველთ უფრო სტანჯავდნენ სარწმუნოების ცვლილებისთვის, იმდენი საუკეთესო ქართველნი და მებრძოლნიც იქ უფრო ხშირად ჩნდებოდნენ. ასეთია, მაგალითებრ, ჯავახეთი და მესხეთი.

ასპინძის ომის შემდეგ ოსმალთა ჯავახეთში არამც თუ მართლ-მადიდებელთ, არამედ ქართველ კათოლიკეთაც-კი დაუწყეს დევნა. არსად აღარავინ იტყვის, თქმის ნებასაც არ აძლევდნენ და რამდენიმე ალაგას სტანჯეს ქრისტიანები. ასპინძის, სოფ. ბალაჯარის და ახალ-შენის ქართველი კათოლიკეებიც-კი დასაჯეს და გაათათრეს ასპინძის ხევსა კაცები ზუბალაშვილები და სხვანი. ოსმალთა შთამომავალი ფანატიკ ზუბალაშვილები დღესაც სცხოვრობენ ასპინძას და ზოგიერთი ოსმალეთშიაც წავიდნენ. ამ დროს, ოსმალნი ისე ამხედრდნენ ქართველებზედ, რომ მათ წინააღმდეგ ვეღარას აწყობდნენ თვით ქართველთ მხნე მტრებიც. სწორედ ამ დროს გაათათრეს მათ დიდი ძალი ქართველ კათოლიკებისა. თუმც ასეთი საშინელი გარემოება დატრიალდა ოსმალთაგან, თუმცა ქართველთ დევნის ზომა საზღვარს გადადიოდა, მაგრამ ამ დროსაც-კი ქართველთ შორის არ მოსპობილან აქა-იქ თითო ოროლა ჩუმი ქრისტიან მოძღვართ რიცხვი, რომელთაც ხალხში აქა იქ თავ-გადადებითაც უღვაწნიათ. ასეთი პირების რიცხვს ეკუთვნიან ვასილი და საბა მღვდელი ორბელიანები, რომელნიც XVIII საუკუნის დამლევს სცხოვრობდნენ. გრიგოლ მღვდელი, დესიოდე ეპისკოპოსი, ტომით ბერძენი.

მესხეთს ქართველთა საიდუმლო ქრისტიანეთა რიცხვი ყოველთვის არსებობდა და მათი რიცხვი 25 სოფელზედ მეტი ყოფილა. ამათს საიდუმლო მღვდელს ოსმალურად ეცვა, თავზედ სარუღი ეხურა ან დოლობანდი. ხშირად ჩოხასაც იცვამდნენ ზედ ნაბადს ისხამდნენ და საეკკლესიო ნივთებს და წიგნებს ნაბდის ქვეშ მალავდნენ.

თავიანთი სალოცავი ოთახი გაკეთებული ჰქონდათ დარნების მსგავსად, თხრილებში, სათონეში და სხვ. საიდუმლო მღვდელი ამ ადგილებში ულოცავდნენ ჩუმ ქრისტიანებს. საღმრთო მსახურებას ისე ოსტატურად ასრულებდნენ, რომ მათის მოქმედებისა ვერავისრა ესმოდა.

ასეთი მღვდლები 1839 წლამდე ყოფილან და საიდუმლო ქრისტიანებიც მრავლად ჰყოლიათ; ეს საიდუმლო ქრისტიანი მღვდელნი და ერნი სისწორით ასრულებდნენ თვით მუსულმანთა სჯულის წესებსაც. ჯამეში ერთგულად დაიარებოდნენ და ყოველს სავალდებულო წესსაც ასრულებდნენ და ისე, რომ კაცი თავის დღეში ვერ იფიქრებდა, იგინი ნამდვილი მუსულმანები არიან და მათში ქრისტიანობისა არა არსებობსრაო.

ამით ეს პირნი დიდს შნოს, დიდს ოსტატობას იჩენდნენ. ასრულებდნენ ქართველთ დღეასასწაულებს, მაგალითებრ, აღდგომას; იცოდნენ კვერცხის შელებვა, მილოცვა, საღმრთოს დაკვლა და სხ,

წმინდა სანთელს, ნართს და სხვა ამგვარებსაც თვითონვე ამზადებდნენ, ზიარება, სეფისკვერის დარიგება, ზეთის ცხებაც სცოდნიათ.

საიდუმლო ქრისტიანეთა ასპარეზზედ დიდად დაიმსახურეს თავი რამდენიმე საიდუმლო მღვდლებმა, ორბელიანებმა, ხმალაძეებმა და სალარიძეებმა. ამათ შორის ფრიად გამოჩენილი ყოფილა ვასილი მღვდელი ორბელიანი, რომელიც იერუსალიმიდამ 1757 წ. მოსულა საქართველოში. ეს მღვდელი ანაფორას თურმე აშკარად ატარებდა. ამავ ვასილის დროს ყოფილან მღვდლებად გრიგოლი, დიმიტრი და დესპოდე ეპისკოპოზი. ესენი ყველგან ქართველთ ამხნევებდნენ, მომავლის იმედებს უნერგავდნენ და თან არწმუნებდნენ, მაგრად იყავით, მომავალი ჩვენია, ჩვენ ქრისტიან ქართველებთან დავკავშირდებითო. საიდუმლო ქართველნიც, რასაკვირველია, გმირულად მოქმედებდნენ და იღწვოდნენ, ყველაფერს ითმენდნენ.

1805 წელს მღვდლების ამბავი შეუტყვია ვიღაც ფანატიკოს, ხოჯას. დავა აუტეხია და ეს დავა კონსტანტინეპოლს წასულა. იქაური შეიხ-ულისლამი დიდად განრისხებულა. იქიდამ ახალციხის სელიმ ფაშას დიდი საყვედური და მუქარის წერილი მოსვლია. ფაშა გაცეცხლებულა, მაშინვე დაუბარებია ეს მღვდელი და უკითხავს:

– შევიტყე, ქრისტიანების სჯულს არა სჯერდებით და სხვებსაც ახვევთ თავზედ?

– არა, ჩვენო ფაშავ, ჩვენ იმდენი დრო სადა გვაქვს და ან როგორ მოვახერხებთ ამას.

– მე დამარწმუნეს, მასთან დიდი საყვედურიც მომივიდა. გთხოვთ, ჩემს საბრძანებელს მოშორდეთ და წახვიდეთ აქედან.

– ჩვენ მაგას ვერ ვიზამთ.

– დახოცილ იქნებით და აქ-კი არ დაშთებით!

– დაგვხოცეთ, მაინც ბოლო ეგ არის ჩვენი.

– უსათუოდ მოისპობით, მოშორდით აქაურობას.

– ერთს წუთსაც ნუ გვაცოცხლებთ, თუ ჩვენზედ რამე ეჭვს იქონიებთ. თუ ან ვისმე თათარს ათქმევინებთ, რომ იმას ჩვენ ქრისტიანულად ვალოცებთ, ან მათში სადმე რამე გვექადაგოს ქართველებზედ.

– მაშ თქვენ თათრის ოჯახებში რად დაიარებით, იმათში რა გესაქმებათ, რა გინდათ?

– ისინი ჩვენი დოსტები არიან.

– მე ეგ არ ვიცი; ბრძანება ასეთია, ან მოშორდით ახალციხეს და ან გათათრდით.

– ვერც ახალციხეს მოვშორდებით, ვერც გავთათრდებით.

– იმას გარეშე, რომ თქვენ ჩვენს თათრებში ქრისტიანობას ავრცელებთ და ქართულათ ლაპარაკობთ, ახალციხიდამ რუსის მთავრობას ცნობებსაც უგზავნით, აქ რუსების მოყვანა გინდათ. თუ არ წახვალთ, იცოდეთ, დაიხოცებით. მე გიბრძანებთ, წახვიდეთ. ფაშამ დარიგება მისცა და შინ გაისტუმრა. საპასუხო დროდ მეორე დღე იყო დანიშნული, მაგრამ მეორე დღესაც იგივე პასუხი მიიღო ფაშამ, რომელიც დაემუქრა: საქმე სიკვდილით გათავდებაო.

ესენი წავიდნენ შინ, შეკრიბეს ქრისტიანი ქართველები და გადაწყვიტეს: ჩვენ აქედან ფეხს არ მოვიცვლითო.

დანიშნულ დღეს წავიდნენ ფაშასთან და მოახსენეს, აქედან ვერსად წავალთ და ვერც გავთათრდებითო. ფაშას ჯავრი მოუვიდა და კვალად მისცა სამი დღის ვადა.

მესამე დღეს წარსდგნენ ფაშის წინაშე და ასეთი პასუხი მისცეს: „ვიდრე ცოცხლები ვართ, აქედან წასულებს ვერ გვნახავ, აქ დავრჩებით და აქვე დავიხოცებით“.

ფაშამ გადასწყვიტა, ეს სამივე კაცი სიკვდილით დაესაჯა. ახალციხის ციხის გალავანში ფაშა სცხოვრობდა, მისი მედრესეც იქ იყო და ქრისტიანეთ საჯალათოც. აქ პირველად თავი მოსჭრეს ვასილ მღვდელს ორბელიანს, რომელმაც თავის მოჭრის წინად ფაშას მუქარით უთხრა:

– ყველას ხომ ვერ დასჭრი თავებს, დღეს თუ ხვალ სამაგიერო მოგეკითხება ქრისტიანთაგან.

ვასილის შემდეგ, დესპოდე ეპისკოპოსი სტანჯეს, ჰგვემეს და თავი გააგდებინეს. გრიგოლ მღვდელს ამათის საცოდაობის ცქერით გული წაუვიდა და გარდაიცვალა ისე, რომ მისი დასჯა და თავის მოჭრა ვეღარ მოასწრეს.

ეს შემთხვევა მოხდა 1806 წ., შემოდგომის პირზედ. ამათი წამების ამბავი ახალციხეში მალე მოიფინა. ფაშასათვის მოუხსენებიათ, მაგ დახოცილებს ერთი ამხანაგიც ჰყავსო. ეს ყოფილა მთავარი სტეფანე ლორთქიფანიძე. ფაშას სტეფანე დაუბარებია, ფული მიუცია და თან დაუვალებია, ეს გვამები თქვენებურის წესით დაასაფლავეო. ლორთქიფანიძეს წაუსვენებია და დაუსაფლავებია იქ, სადაც დღეს ახალციხის ქართველთ წმ. მარინეს ეკკლესიაა, ხსენებული ტაძრის ერთს კედელზედ არის ქართული წარწერა, რომელიც ცხადად მოწმობს ვასილი მღვდლის ამაგს.

ამათ შემდეგ ახალციხეში მოღვაწეობდნენ იოსებ მღვდელი ორბელიანი, ძე ვასილისა და პეტრე მღვდელი ხმალაძე და სხვანი.

ზაქარია ჭიჭინაძე,

გაზეთი „ივერია“, 1902 წ. NN 220 - 222

მატიანე

ბორჯომის ხეობა. 1890-იანი წლები

განცხადება

ჩვენი გაზეთის ერთგულო მკითხველო!

„კორონა-ვირუსის“ პანდემიასთან დაკავშირებით დაწესებული რეგულაციების გამო ზოგიერთ ხელმომწერთან გართულდა ჩვენი გაზეთის დროული მიწოდება. იმედია ეს პრობლემა მალე მოიხსნება და უკლებლივ ყველა ხელმომწერი შეუფერხებლად მიიღებს ჩვენი გაზეთის დარჩენილ ეგზემპლარებს.

ამასთან გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩვენი გაზეთის რთული ფინანსური მდგომარეობაც და ვისაც არ გადაუხდია გაზეთის 2021 წლის ხელმოწერის ღირებულება, შესაბამისი თანხა ჩაგვირიცხოთ მითითებულ ანგარიშზე:

შპს გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“
„ლიბერთი ბანკის“ ასპინძის ფილიალი
ს/კოდი 223100908
ანგ.№ GE72LBO113115795007000

წინასწარ გიხდით მადლობას თანადგომისათვის.
რედაქცია

ფოლკლორი

ზარმაცს

ზურგზე რას წევხარ ძმობილო,
როგორ შესცქერი ცასაო,
ღმერთი ქადა-პურს როდი ჰყრის,
რათ არ გაამძრევ მკლავსაო.

რას ეუბნები შენს ცოლ-შვილს,
როს გასცქერიან გზასაო,
შენი იმედით ხარობენ,
მამა გვევლება თავსაო.

საღამოს მოვა, მოგვიტანს
პურს, კარაქსა და თაფლსაო,
შენ კი სულ ჩრდილში გორაობ
და არ მიბაძავ კარგსაო.

ადექ, ნუ წევხარ ძმობილო,
საქმეს მოჰკიდე ხელიო,
თუ გსურს ცოლ-შვილი ახარო
და ჩაისველო ყელიო.

ზარმაცი არავის უყვარს,
მიბაძე მშრომელ ხალხსაო,
ღმერთი ქადა-პურს როდი ჰყრის
თუ არ გაამძრევ კლავსაო,
თუ არ მოიდენ შუბლზე ოფლს
ვინ აგიშენებს სახლსაო.

1981 წ.

რუსუდან მეფის დროს

ძველ დროში ვნახე სამშობლო
რუსუდან მეფის ხელშია,
დაუჯაბნიათ ქართველი
გაუტეხიათ წელშია.
შალვას, ივანეს უმტყუნეს,
დადიანების გვარსაო,
ოთხი ათასი მესხელი
შეაკვდა ომის ველსაო.
მხარგრძელიც უკან გაიქცა,
ასე უშველა თავსაო,
ურჯულოების სიმრავლემ
მტვერი ადინა ქვასაო,
გადაწვა მთელი ქვეყანა,
ალი ადინა ცასაო,
ჯალალედინსაც არ შერჩა, –
მონღოლი ესხმის თავსაო,
ძლივს დააღწია, რა ყოფით,
კარვიდან ცეცხლის ალსაო,
ქამარ-ხანჯალიც იქ დარჩა
ისრე მოახტა ცხენსაო,
თამთაზე გაბრაზებული
შალვაზე იყრის ჯავრსაო,
შუა გააპეს გორელი,
შალვას მოჰკვეთავს თავსაო,
თამთას უგზავნის საჩუქრად
ცრემლით აუვსებს თვალსაო,
თურმან-თორელიც გამორბის,
მოაღწევს სამშობლოსაო,
ექვსი წლით მონათ ყოფილი
ჯალალედინის ხელსაო,
და ასრე ტირის მტირალი
ცრემლმორეულის ხმაზედა:
მიყვარხარ ჩემო სამშობლოვ,
არ გაგცვლი სხვის ბაღნარზედა,
თუ მოვკვდე, დაე, აქ მოვკვდე,
მიწა მაყარონ გულზედა,
ოღონდ მტრის ჯავრი ვიყარო,
ლახვარი დავცე გულზედა,
ოღონდ ურჯულოს მტრის ხელით
ნუღარ გვაცვამენ ჯვარზედა.

1981 წ.

სამი ლამაზი

წვიმა მოდის, მთის მინდორი გზა ხდება,
ჩემი ცრემლის ნაკადული ზღვა ხდება,
სამი ტურფა ერთმეორეს შეხვდება
და დაიწყეს ერთიმეორის ქება.
... ერთი შევიყვარო, ორს ხათრი რჩება,
ორი შევიყვარო, ერთი დარჩება,
სწორეს ვიტყვი, სამივეზე თვალი მრჩება,
ვერცერთს გავუბედე და გული მწყდება.
ერთს თითზე ეკეთა ძვირფასი ლალი,
მეორეს გულზე აქვს ალმასის თვალი,
მესამეს მორთული სამაჯით კლავი,
რომელს შევაბრალო არ ვიცი თავი.
პირველს ამშვენებდა ლოყა წითელი,
მეორეს – წვრილი ლერწამი წელი,
მესამეს კოკობი მკერდზე ვარდები,
ვერცერთს გავუბედე ჩემი დარდები.

13.08. 1960 წ.

წყაროზე მიმავალს

ტურფა ქალი ვნახე გზაზე,
კოკით მიდის იგი წყალზე,
თავშალი აქვს იმას კლავზე,
მღერის ნაზად ის ტკბილ ხმაზე.
ირხეოდა ნაზად ტანში,
სევდით სავსე იყო თქმაში,
თვალი გავაყოლე გზაში,
მეც გულს სევდა მეცა სვლაში.
ვფიცავ სვინდისს, ჩემსა მზესა,
თუ ის უარს არ მეტყვისა,
მიყვარს იგი, ვაძლევ ფიცსა,
თუ სხვა სატრფო არა ჰყავსა.
მაშინ რა ვქნა თუ სხვას ჰყვარობს
და იმიტომ ასე ლამობს,
სიყვარული ჩემი არ აქვს
სიტკბოება ჩამიმწაროს.
მე ვიტანჯო, მან იხაროს
და ვინც სურდეს, შეიყვაროს,
არ დავწყევლი, გაიხაროს,
იდღეგრძელოს და იხაროს.

ჩემი ცხოვრება

მე გიგა მქვია სახელად,
მაისურაძე გვარადა,
მწყემსი ვარ, ფერმის საქონელს
ვაძოებ მთა და ბარადა.
შვიდი წელიწადი ვიშრომე
მემინდვრე ბრიგადირადა,
ხან ფერმის გამგე, ხან საწყობს
ვუვლიდი მე ერთგულადა.
პასუხისგებაში არ ვიყავ,
ვშრომობდი მე ერთგულადა,
ბევრჯერ ტყის ხანძრის დაცვაზე
მე ჯილდო მომცეს ფულადა.
საზღვრის დაცვაზე მადლობა
გამომიცხადეს გულითა,
ეხლაც მტერს თვალებს ვადევნებ,
არ დავეცემი სულითა.
ვერ მომატყუებს დუშმანი
ვერცხლის, ვერც ოქროს ფულითა,
წარსულში გამოცდილი ვარ
და არც ვენდობი რჯულითა.
ძმა და ბიძები მომიკლეს,
ურჯულოებმა მტრულადა,
ახლა რათ მინდა თურქებთან
რომ ვიყო მეგობრულათა.
სამოცი წლის ვარ მე ახლა,
ჯერ მაგარი ვარ გულითა,
და მსურს სუყველა დავწერო,
რაც გამიგია ყურითა.
სწავლა არა მაქვს იმდენი,
დავწერო სუფთა ენითა,
პოეტი არ ვარ, მწყემსი ვარ,
გაიგეთ ჩემი ენითა.
ხან მამაპაპას ვიგონებ,
ხან ვიტყვი ახალ წესითა,
მსურს მთაში ვასიამოვნო
მწყემსები ჩემი მღერითა.

15.05.1961 წ.

ჩემი ნატვრა

ღმერთო, მაღირსე იგი დღე,
ჩემ ბაღში ვარდი ჰყვაოდეს,
ბულბული თავის ნაზი ხმით
ტკბილად ჩვენთანვე მღეროდეს.
და ჩემ ცოლშვილთან იმ ბაღში
სიამოვნებით ვტკბებოდე,
მე რაღა მომკლავს თუ მართლა
ეს საქმე ამიხდებოდეს.

პირველი გაცნობა

ქალოჯან, შენი გაცნობა
დამიჯდა მეტად ძვირია,
მახსოვს ხელის ჩამორთმევა,
ბროლის თითები რბილია.
შენ რომ მე სიტყვა მითხარი
საამური და ტკბილია,
არას დროს არ მავიწყდება
რომ არ ვთქვა, ხომ ტყუილია?
მერე შენმა ნათელ სხივმა
მე დამწვა და დამანელა,
შემიშალა ჭკუა, მცნება,
დამიდუმა სწრაფად ენა.
რაც გაგიცან იმის შემდეგ
არ მაკლია გულთა კრთომა,
შენი ეშხი მწვავს და მდაგავს
გინდა მქონდეს მე აღდგომა.
ახლა ამას გევედრები,
კვდარსა სული ჩამიბრუნე,
ნუ გამიშვამ უნუგეშოდ
სამარიდან დამაბრუნე.

1972 წელი, 14. 05

გიგა

მესხელი ვარ, გიგა მქვია,
ხელში ჯოხი ამიღია,
ერთი პატარა ფანქარი
და რვეული წამიღია.
მთაში საქონელს ვაძოვებ,
მერხად მე ქვა დამიდია,
სანამ თვალი მიჭრის, ვწერო,
იქ ვეღარა წამიღია.
უნდა ვწერო ჩემო ძმაო,
რაკი ქვეყნად ცოცხლად დავრჩი,
რაკი ბატონებს და ბეგებს
სიკვდილიდან გადავურჩი.
მათაც არ შერჩათ სიგლახე,
მათშიც იყო ბევრი ურჩი,
მოვკიდეთ და გავატანანეთ
თავეთ ნაბადი და ხურჯი.
გამაგრდა და გაიწმინდა
როგორც წყალში ხიდის ბურჯი
და მსურს მეც ლექსები ვწერო,
როგორც ძველათ იეთიმ გურჯი.

ავტორ-მთქმელი **გიგა მაისურაძე**, 86 წლის, ახალციხის რაიონის სოფ. მუსხი, ჩაწერილია 1988 წელს

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს.
სარეგისტრაციო N19/4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო: დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit.meskheti@gmail.com
lit_meskheti@yahoo.com